

მთავარი თემა:

თბილისი

თბილისი, ხომოხს ჯალბაჯიდი დანდშაფტი • "ქვიდი თბილისის ახალი სისოსხი": მუნამე აბანი • SOS! ბაჩი ავინაბაჩი • ვისიჩი ანდანი - მანანის თუ ადამიანის? • შულუდი შინაქდებოგების ანდანი

რეპორტაჟი
"ვიონეხიდი"
მოსავანი
83. 22

ჟურნალისტური
გამოძიება
მეხიჩი
მოვანჭეაბის
ნიდნალბეაბ
83. 44

კომენტარი
"ახითვიდთა
მეხშის" და
"ეხოვნიდი
ნიდის"
შინახეაბ
83. 12



ISSN 1987-7528



9 771987 752008

 **FM**
სამუზიკო
98.0





მთავარი რედაქტორი

შორენა შავერდაშვილი

აღმასრულებელი რედაქტორი

სოფო ბუკია

რედაქტორი /საზოგადოება/

თამარ ბაბუაძე

ვებგვერდის რედაქტორი

ნანა საჯავია

შურნაღისტი:

მაია ნიკლაური, ეკა ჭითანავა, თამარ ფარადაშვილი, ცირა გვასალია, მალხაზ ჭკადუა

კონტრიბუცი:

გიორგი ცხადაია, მანანა ვარდიანი, ნანა საჯავია, მარკ მალენი, კახა თოლორდვა, ოლესია ვართანიანი, მარიამ ამურველაშვილი

რედაქცია:

ფოტო-რედაქტორი
ლევან ხერხეულიძე
გრაფიკული დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე
რედაქტორ-სტილისტი პაატა შამუგია
კორექტორი თამარ ლონდაძე

ბამოცემლობა:

დირექტორი
ქეთევან ბაბუნაშვილი,
გაყიდვებისა და ბიზნესის
განვითარების მენეჯერი
რუსუდან ბარათაშვილი,
კლიენტთა მომსახურების და
დისტრიბუციის მენეჯერი
ნათია რუსაძე,
გაყიდვების მენეჯერები:
ლევან ჯაბუა, სოფო პაპუნაშვილი,
ქეთევან ქავთარაძე, ქეთევან
მეგრელიძე, ელენე ხარაზაშვილი,
მარიამ მიქელაშვილი, ზურაბ
ზანდარაშვილი, თინა ოსეფაშვილი
დისტრიბუტორი ზვიად შენგელია

მთავარი თემა



ფოტო: მარია ქორიჯიშვილი

თბილისი, ხობოხს ხატახუნი დასახლება

როგორ ვითარდება თბილისი? თბილისის განვითარების შესახებ ბოლო წლების დისკუსიებში თვალსაზრისთა ერთგვარი სივინროვის განცდა ჩნდება. მენაშენეები, არქიტექტორები, ქალაქგეგმარებლები, ძეგლთა დამცველები და სხვა, ამ საქმესთან პროფესიულად დაკავშირებული თუ დაუკავშირებელი ადამიანები ხშირად პირადი ინტერესების, პროფესიული ან სხვა ცალმხრივობის გამო შეურიგებელ პოზიციებზე დგანან. იქნებ ჯობდა, თბილისისთვის ისე შეგვეხედა, რომ მივახლოვებოდით პრობლემის საფუძვლებს, გადაკვეთის ნერტილები აღმოგვეჩინა და ამით კონსტრუქციული დისკუსიის ფართო პლატფორმა შეგვექმნა!

▶ მთავარი თემა
33.26



"ქველი თბილისის ახალი სისოსხა" - მესაბე აბაჯი

▶ ლუკა ბაქრაძე
33.30




SOS! ბაჩა ავცაბაჩი

▶ ნანო ზაზანაშვილი
33.36



ვისია ქაქაქი - მანქანის თუ ადამიანის?

▶ შოთა დემეტრაშვილი
33.39



შაზლუქი შესაძლებლობების ქაქაქი

▶ თინა ყიფშიძე, ანა ჭანკოტაძე
33.42


ფოტო: თემო ბაჩიაშვილი



მახია მოვაჭრეების წინააღმდეგ

როგორია ჯიხურების პოლიტიკა თბილისში? სტუდია „მონიტორმა“ გამოიკვლია, რომ თბილისში მერიას ფავორიტი ფირმები ჰყავს, რომელთა უკანაც მოქმედი, ან ყოფილი სახელმწიფო მოხელეები დგანან. მათი კომპანიების ჯიხურები კი ისეთ ადგილებშიც დგას, სადაც ჯიხურების დადგმა კანონით აკრძალულია.

ჯერ კიდევ 2010 წელს ქალაქის მერიაში ქუჩების ჯიხურებისგან გათავისუფლება სცადეს. სამართალდამცველების დახმარებით მათ რამდენიმე ათას მოვაჭრეს ქუჩის დატოვება აიძულეს. მოქალაქეებმა ამის შემდეგ ქუჩაში ჯიხურების დადგმის ნებართვა ვეღარ მოიპოვეს. მერიაში მათ ძირითადად, შაბლონური, თითქმის იდენტური ტექსტებით ეუბნებიან უარს. ამის პარალელურად კი მსხვილ კომპანიებზე ათეულობით ნებართვა გაიცა.


 სტუდია „მონიტორის“ გამოძიება
83.44

"ჩვენ საჩხთვედოსთან ედემსახეც ნაბიჯებს ვითხოვთ"

ცხადია, ამ ეტაპზე ჩვენ არ მოვი-
თხოვთ საქართველოსგან ყველა სფე-
როს ერთ დღეში რეფორმირებას, რა-
საც ჩვენ ვითხოვთ, ეს არის საბაზისო
ცვლილებები, ელემენტარული ნაბიჯე-
ბი, რომელთა გადადგმა აუცილებელია.
მათ გარეშე პროცესი წინ ვერ წავა. ეს
აუცილებელია არა ევროკავშირისთვის
სიამოვნების მისანიჭებლად, არამედ
ადგილზე კონკურენციის მისაღწე-
ვად. პირველ რიგში კი ამ ნაბიჯების
გადადგმა თქვენვე ეკონომიკისთვის
არის აუცილებელი.

საჭირო რეფორმებია, მაგალითად,
საავტორო უფლებების დაცვა, რაც
ცოდნაზე დამყარებული საზოგადოების
ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია.


მსგავსი საკითხები უმნიშვნელო-
ვანესია ქვეყნისთვის, მაშინაც კი,
როდესაც ევროკავშირთან მოლაპა-
რაკებები არაფერ შუაშია. შეიძლება
პროდუქციის ექსპორტს ევროკავშირში
არ აწარმოებდე, მაგრამ ეს არ ნიშნავს,
რომ სურსათის უვნებლობა არ უნდა
უზრუნველყო შენს ქვეყანაში.

 ინტერვიუ ვირჯინი კოსულთან
83.14

"ჰიონეხაი" მოსავალი

ჰიბრიდული თესლის სიმინდის პროგრამა
სახელმწიფოს 4 მილიონი ლარი დაუჯდა
– სოფლის მეურნეობის სამინისტრომ
კომპანია „ჰიონერისგან“ 30 000 ჰექტარზე
დასათესი თესლი შეიძინა.

ყვარლის რაიონში აღებული მოსავლის
გასაღებას ვერ ახერხებენ. სოფელ
საზანოს მკვიდრები კი სიმინდის მწირ
მოსავალზე ჩივიან. გაამართლა თუ არა
ჰიბრიდული სიმინდის პროგრამამ?


 მალხაზ ჭკადუას რეპორტაჟი კახეთიდან
83.22



დაპირისპირების ზღვარზე

ე.წ. სამხრეთ ოსეთის საპრეზიდენტო არჩევნებამდე თვენახევრით ადრე ცხინვალის სამოქალაქო დაპირისპირების ზღვარზეა. საარჩევნო კომისიამ ოპოზიციის მთავარი კანდიდატი, თავისუფალ ჭიდაობაში რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ჯამბულაძე თედევი პრეზიდენტობის კანდიდატად არ დაარეგისტრირა. რის გამოც თედევის 2 ათასამდე მომხრემ საარჩევნო კომისიაში შეჭრა სცადა.

მეორე მხრივ უცნობია, ვინ იბრძოლებს კოკოითის მემკვიდრეობის მოსაპოვებლად. მთავრობის კანდიდატად საგანგებო საქმეთა მინისტრი ანატოლი ბიბილოვი მოიაზრება, თუმცა ის მოსახლეობაში ავტორიტეტით არ სარგებლობს.


 „ლიბერალის“ ავტორი ცხინვალიდან
03.20

ფოსტოპოსტაჟი

"ქვენი ღვინოები" ქვენი ჰიობაებით



ფოტო: ნოდარ ცხვირაშვილი

 ნოდარ ცხვირაშვილის ფოტორეპორტაჟი
03.50-55

ბამონცხველი:

შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0183, ფლენტის ქ. 35. ტელ.: (995 32) 2145002, 2145004. ელ-ფოსტა: info@liberali.ge

სხვა ბამონცხველი:

„ცხელი შოკოლადი“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“. „ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

ბაჭყალი:

სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02. გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ხუთშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.



ფურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „ლია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ლია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

საქვე ნომერში:



საქვე ნომერი: ავტორი: ნოდარ ცხვირაშვილი

- 04 მოკლედ
- 06 რიცხვები, ციტატები
- 08 **ორი აზრი**

უნდა გაყიდოს თუ არა სახელმწიფომ სტრატეგიული ობიექტების აქციები საერთაშორისო ბირჟებზე?

პეტრე ცისკარიშვილი VS დავით ონოფრიშვილი

კომენტარი

- 10 მომხმარებლებიდან მწარმოებლებამდე მარკეტინგი
- 12 „ქართველთა მარშის“ და „ეროვნული იდეის“ შესახებ გიორგი ცხადაია
- ინტერვიუ
- 14 „ჩვენ საქართველოსგან ელემენტარულ ნაბიჯებს ვითხოვთ“ ვირჯინი კოსული
- მსოფლიო
- 17 ბალტიური ანტიდოტი ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები
- 56 ვისი მავთული ვის სახლში?

მოლაპარაკებები ბანელი ონიჭანოსთან



ქართული პროდუქცია რუსულ ბაზარზე შესაძლოა წლის ბოლომდე დაბრუნდეს. რუსეთის ფედერაციის მთავარი სანიტრის, გენადი ონიჭენკოს განცხადებით, ის ქართული ღვინის მწარმოებლებს შეხვდა და მათთან გარკვეულ შეთანხმებებსაც მიაღწია.

„დადგინდა ყველა აუცილებელი პარამეტრი, ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე ნორმალური დაბრუნებისათვის. ამისათვის ერთადერთი მთავარი პირობა რუსული კანონმდებლობის უპირობო გათვალისწინებაა, რაც პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფას ეხება“, – განაცხადა ონიჭენკომ.

მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლების ხმამაღალი განცხადებების მიუხედავად, რუსულ ბაზარზე ქართული ღვინისა და „ბორჯომის“ დაბრუნების პროცესი მიმდინარეობს და ამ პროცესის აქტიური მხარდამჭერები თავად ბიზნესმენები არიან.

„მათ [ქართველ ბიზნესმენებს] ესმით, რომ რუსული ბაზრის გარეშე, ქართული ეკონომიკის ამ დარგების განვითარება შეუძლებელია“, – აღნიშნა ონიჭენკომ.

ქართული ღვინისა და მინერალური წყლის რუსულ ბაზარზე შეტანა 2006 წელს აიკრძალა. მაშინ აკრძალვის მიზეზად პროდუქციის ხარისხი დასახელდა. 2011 წლის სექტემბერში „ბორჯომის“ ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ რუსულ ბაზარზე დაბრუნებას ცდილობს.

ჩიჯალობა სხინვანში

ე.წ. სამხრეთ ოსეთში რუსეთის მოქალაქეების შეშვება შეიზღუდა. რესპუბლიკის დე-ფაქტო ხელისუფლების გადაწყვეტილებით, საზღვარზე სპეცრეჟიმი მომავალ

საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით ამოქმედდა.

დე-ფაქტო ხელისუფლებამ სიტუაცია მას შემდეგ გაამკაცრა, რაც საარჩევნო კომისიამ თავისუფალ ჭიდაობაში რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი პრეზიდენტობის კანდიდატად არ დაარეგისტრირა. კომისიაში განაცხადეს, რომ თედევს ბოლო 10 წელია ე.წ. სამხრეთ ოსეთში არ უცხოვრია. ამ უარს ცხინვალში არეულობა მოჰყვა, რის გამოც თედევსის 90 მომხრე დააპატიმრეს. ცხინვალის ხელისუფლება თედევსის დაპატიმრებული მომხრეების ნათესავებს საზღვარზე არ უშვებს. ისინი სამხრეთ ოსეთიდან ჩრდილოეთ ოსეთში შესასვლელი პუნქტის, ტრანსკავკასიური მაგისტრალის ბლოკირებით იმუქრებიან.

თავად ჯამბულაძე თედევსი კი ცხინვალში „ლიბის მოწყობით“ იმუქრება: „ამ ვითარებაში ჩემი დადანაშაულება უპასუხისმგებლო და უპრეცედენტო ტყუილის მაგალითია, რადგან სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ყველა ადამიანისთვის ცნობილია, რომ ხალხი ამ მდგომარეობამდე ცხოვრების უსამართლო პირობებში მიიყვანა“.

ე.წ. სამხრეთ ოსეთის საპრეზიდენტო არჩევნები 13 ნოემბერსაა დანიშნული.

საბეჭდნეთი სახელმწიფო ელხეხების იმეზუ



საბერძნეთის სახელმწიფო სექტორში 2012 წელს 30 ათას თანამშრომელს შეამცირებენ. გადაწყვეტილება ამის შესახებ საბერძნეთის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო.

სახელმწიფო მოხელეთა რაოდენობის ხარჯზე საბიუჯეტო თანხების დაზოგვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტ-

ბის მიერ წამოყენებული აუცილებელი პირობის ნაწილი იყო. თუკი საბერძნეთი საბიუჯეტო დეფიციტის შემცირებას ვერ შეძლებს, ის საერთაშორისო ინსტიტუტებისგან ფინანსურ დახმარებას ვერ მიიღებს.

თუმცა დაგეგმილი ცვლილება საბერძნეთს შესაძლოა ძვირი დაუჯდეს. ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში მთავრობის წინააღმდეგ საპროტესტო აქციები მიმდინარეობს. 4 ოქტომბერს ბერძენმა სახელმწიფო მოხელეებმა რამდენიმე სამინისტროს შენობა დაბლოკეს. თანამშრომლები სამსახურიდან შესაძლო გათავისუფლებას აპროტესტებენ.

მცდელობის მიუხედავად, საბერძნეთის ხელისუფლება მაინც ვერ ახერხებს დეფიციტის იმ დონეს მიაღწიოს, რაც ევროკავშირმა და საერთაშორისო სავალუტო ფონდმა დაუდგინა. ამ ფონზე რეალური ხდება საფრთხე, რომ საბერძნეთმა ვალის ვალდებულებათა გამო დეფოლტი გამოაცხადოს.


დანიამ სხიმან საკვებზე ბაღასახალი დაწესა

დანიამ ცხიმან საკვებზე გადასახადი დაწესდა. თუკი კარაქი, რძე, ყველი, პიცა, ხორცი, ზეთი და სხვა საკვები 2,3 პროცენტზე მეტ ცხიმს შეიცავს, ის უფრო დიდი გადასახადით დაიბეგრება და პროდუქტზე ფასი მოიმატებს.

დანის ოფიციალური წარმომადგენლები იმედოვნებენ, რომ ახალი გადასახადი მოსახლეობის მიერ ცხიმისანი საკვების მიღების შეზღუდვას შეუწყობს ხელს.

ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებამ უკვე გამოიწვია პროტესტი მომხმარებელთა ნაწილში. ზოგიერთმა მათგანმა ცხიმისანი საკვებზე ფასის აწევას საგადასახადო ბიუროკრატიული კომპარი უწოდა. ზოგმა კი უკვე დაიწყო საზღვარგარეთ ვაჭრობა.

დანიელი პოლიტიკოსები აცხადებენ, რომ მათი გადაწყვეტილება ზოგიერთი მეცნიერის დასკვნებს ეფუძნება, რომლებიც ფიქრობენ, რომ ცხიმებით გაჯერებული საკვები ორგანიზმისთვის მავნებელია.



ისხაჯში მჩაქთი ღანჯე

3 ოქტომბერს ისრაელის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე არაბულ სოფელში ტუბა-ზანგარიში მეჩეთს ცეცხლი გაუჩნდა და განადგურდა. მუსლიმურ სალოცავს ცეცხლი, სავარაუდოდ, ებრაელმა ექსტრემისტებმა წაუკიდეს.

სოფლის მცხოვრებლებს მეჩეთის კედლებზე დახვდათ ივრითული წარწერები – „შურისძიება“ და „პალმერი“. ეს წარწერები, სავარაუდოდ, 23 სექტემბერს მომხდარ შემთხვევაზე მიანიშნებდა, როდესაც ისრაელის მოქალაქე აშერ პალმერი და მისი ერთი წლის ვაჟიშვილი საკუთარ მანქანაში დაიღუპნენ. მათ მანქანას პალესტინელებმა ქვები დაუშინეს.

მეჩეთის დაწვას ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ „შოკისმომგვრელი ინციდენტი“ უწოდა.

„ეს ფაქტი მიმართულია ისრაელის სახელმწიფო ღირებულებების წინააღმდეგ, რაც გულისხმობს რელიგიისა და აღმსარებლობის თავისუფლებას“, – განაცხადა მან.

ადგილობრივმა არაბებმა მეჩეთის დაწვის საპასუხოდ მთავარი გზა გადაკეტეს და პოლიციის შენობას ქვები დაუშინეს. ისრაელის სამართალდამცავებმა მათ დასაშლელად ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს.

სიხიის ოპოზიციის ჯარების ოპოზიციის ათომო

გრძელდება დაპირისპირება სირიაში. გავრცელებული ცნობებით, ბოლო დღეების განმავლობაში ქალაქ რასტანში 3 ათასზე მეტი ადამიანი დააკავეს. ქალაქი რასტანი ოპოზიციის საყრდენ ქალაქად ითვლებოდა, თუმცა ინტენსიური ბრძოლების შემდეგ პირველ ოქტომბერს ის მთავრობის ჯარებმა დაიკავეს და ქალაქზე კონტროლი აღადგინეს. სირიელი აქტივისტების ცნობით, ბრძოლა დასრულდა და მოკლულია ათობით ადამიანი.

რასტანში ერთმანეთს სირიის ჯარები და არმიიდან გაქცეული ასობით დეზერტირი დაუპირისპირდნენ. დეზერტირები ოპოზიციის მხარეს იბრძოდნენ. მიუხედავად რასტანის დაკარგვისა, სირიელი დისიდენტები ერთმანეთს თურქეთში შეხვდნენ და მხარი დაუჭირეს იმ ძალებს, რომლებიც პრეზიდენტ ბაშარ ასადის რეჟიმის დამხობას ცდილობენ. პარიზში მოღვაწე მეცნიერმა ბურჰან გალიონმა განაცხადა, რომ ნებისმიერ საგარეო ჩარევის წინააღმდეგია, რაც სირიელი ხალხის დამოუკიდებლობას შეარყევს. სირიაში უკვე მარტის შუა რიცხვებიდან იმართება საპროტესტო აქციები პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის გადადგომის მოთხოვნით. რასტანში შეტაკებების შემდეგ ფიქრობენ, რომ სირიასაც ლიბიის მსგავსად სამოქალაქო ომი ემუქრება.

ქალთა უფლებები ავღანეთში

უფლებადამცველი ორგანიზაცია „ოქსფამის“ ინფორმაციით, ქალთა უფლებებს ავღანეთში შესაძლოა საფრთხე დაემუქროს. არასამთავრობო ორგანიზაცია ამის მიზეზად, ერთი მხრივ, ქვეყნიდან საერთაშორისო ძალების დაგეგმილ გაყვანას ასახელებს და მეორე მხრივ – ავღანეთის ხელისუფლების მცდელობას, მყარი სამშვიდობო შეთანხმება გააფორმოს თალიბანთან.

„ოქსფამის“ ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2001 წლის შემდეგ, თალიბების პერიოდთან შედარებით ქალთა უფლებები ავღანეთში გაუმჯობესდა და განსაკუთრებით იმატა გოგონების რიცხვმა სკოლებში. რასაც ხელს ავღანეთში საერთაშორისო ჯარების ყოფნაც უწყობდა.

„ოქსფამის“ დასკვნით, ქალთა უფლებების მომავალი გაურკვეველია და ამ მიმართულებით მკვეთრი გაუარესებაცაა მოსალოდნელი. ■



84,33 პროცენტით გაიმარჯვა „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატმა ვასილ დავითაშვილმა 2 ოქტომბერს თელავის შუალედურ საპარლამენტო არჩევნებში.

700 დემონსტრანტი დააკავა ნიუ-იორკის პოლიციამ ბრუკლინის ხიდზე არასანქცირებულ მსვლელობის გამო.

7 მილიარდ 623 მილიონი ლარით განსაზღვრა საქართველოს მთავრობამ 2012 წლის ბიუჯეტი.

40 კაცი დააპატიმრა რუსეთის მილიციამ გეი ალღუმში მონაწილეობისათვის.

5 თეთრით შემცირდა სანჯავზე ფასი საქართველოში.

4,6 პროცენტამდე შემცირდა სექტემბერში საქართველოს წლიური ინფლაცია.

116 ტონა ჰუმანიტარული ტვირთით დაეხმარა რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სამინისტრო აფხაზეთის დე-ფაქტო რესპუბლიკას.

400 ათას ლარიანი ფინანსური სანქცია მოეხსნა კომპანია „აიდიეს ბორჯომს“ თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით.

3000-ზე მეტი ადამიანი დააკავეს სირიის ქალაქ რასტანში, სადაც ერთმანეთს სირიის ჯარები და არმიიდან გაქცეული რეზერვისტები დაუპირისპირდნენ.

„ჩვენ არა მხოლოდ შორს, თითქოს სხვადასხვა პოლუსზეც ვართ. დღეს აფხაზეთში საქართველოს თემა საერთოდ არ არის. ყველაფერს რეალურად უნდა შეეხედოთ. მოვიდა თაობა, რომლისთვისაც ეს თემა არ არსებობს“.

აფხაზეთის დე-ფაქტო პრემიერ-მინისტრი ლეონიდ ლაკერბაია



„ეს პროგრამა ევროკავშირის წევრებს საშუალებას გვაძლევს, გავაგზავნოთ ცხადი და არა ორაზროვანი სიგნალი, როდესაც ვიფიქრებთ, რომ პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები არ მიდის სწორი მიმართულებით. „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ წევრები ევროკავშირში განევრიანდებიან, თუ პირობები შესრულდება. ვფიქრობ, ძალიან მკაცრად უნდა მოვეკიდოთ შემდეგ საკითხებს – პოლიტიკური პლატფორმა, ადმინისტრაციული რეფორმები, კანონის უზენაესობა, საბაზრო ეკონომიკა, რაც უმნიშვნელოვანესი ამათთვის კარის გასაღებად“.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ნიკ ქლეგი




„ექვთარეშეა, რომ პრემიერ-მინისტრი ყველაზე ავტორიტეტული პოლიტიკოსია ჩვენს ქვეყანაში. მისი რეიტინგი ოდნავ მაღალია. პუტინი უფრო პოპულარულია, ვიდრე მე“.

რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი



„სამხრეთ ოსეთის ადგილზე შესაძლოა მეორე ლიბია გაჩნდეს. ჩვენი ამოცანაა, ყველაზე მშვიდი გამოსავალი ვიპოვოთ. ყველა პოლიტიკურმა ძალამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ სამოქალაქო ომი არ დაუშვას“.

ჯამბულატ თედევი თავისუფალ ქიდაობაში რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი, კოკოთის მონინაალმდევე



„სამწუხაროდ, ჩვენ არ ველით რაიმე რადიკალურ ცვლილებებს რუსეთის ხისტი პოზიციიდან გამომდინარე და არ არის მოსალოდნელი, რომ რუსეთმა ჩვენთვის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე მოქნილობა გამოიჩინოს... თუ ეს [შეთანხმება] ვერ შედგა, ჩვენ იძულებული ვიქნებით, რომ ვერ შევუწყობთ ხელი რუსეთის [ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში] განევრიანების საკითხის გადაჭრას ამ რაუნდზე და უკეთეს შემთხვევაში, ალბათ მოსალოდნელია, რომ დიალოგმა გადაინაცვლოს მომავალ წელს“.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ჯალალანია





ლიბერალი

იკითხეთ
ლიბერალის პორტალზე
www.liberali.ge

**ენიო ნატროშვილის ბლოგი
პროფანია
დისტანციურად**

ცოტა ხნის წინ ჩემმა მეგობარმა მენჯემენტის კურსის გავლა დაიწყო. თინიკო სულ სწავლა-სწავლების პროცესშია და არ გამკვირვებია, როცა PR-ის კურსის დასრულების შემდეგ ისევ სწავლა გადამწყვიტა. თუმცა რომ გავიგე დისტანციურად სწავლობდა, სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩი. სასიამოვნოდ იმიტომ, რომ საქართველოში ლექციებზე არსიარული, ონლაინ-განათლება და მსგავსი რამეები ჯერ კიდევ ნაკლებად გავრცელებულია, როგორც სასწავლებლებში, ისე სწავლის მსურველებში.



**მულტიმედია
რეპტორთან
დაპირისპირება**



**ზაალ ანდრონიკაშვილის
ბლოგი
დემოკრატია
საქართველოში**

საქართველოში შეიძლება რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებები მოისმინოთ იმის შესახებ, თუ როგორ ქვეყანაში ვცხოვრობთ და რა მიმართულებით ვვითარდებით. ერთნი, რომლებსაც მეორენი გულთბილი სიმპათიით „მიმისტებად“ მოიხსენიებენ, თვლიან, რომ ქვეყანა სინათლის სისწრაფით მიჰქრის გაბრწყინებისაკენ (სინგაპურს+შვეიცარია). მეორენი, რომლებსაც პირველები არანაკლები სიყვარულით „ჟოპოებს“ ეძახიან, ფიქრობენ, რომ ქვეყანა იგივე სიჩქარით მიექანება ავტორიტარიზმის უფსკრულისაკენ და დღითი დღე ემსგავსება ყოფილი ცენტრალურ-აფრიკული რესპუბლიკის და დღევანდელი ერთორეას ნამრავლს.

**გიორგი კიკონიშვილის ბლოგი
УХОДИТЕ ВОН,
სტუდენტაგო!**

დღეს საქართველოს უნივერსიტეტებში სწავლა დაიწყო. „პირველი სექტემბრის“ ღონისძიებების ცენტრი ცხადია „ცოდნის ტაძრად“ წოდებული თსუ აღმოჩნდა, სადაც პირველკურსელებს ეს დღე თავად განათლების მინისტრმა და რექტორმა მიულოცეს თსუ-ს ბაღში. თავიდანვე შევთანხმდეთ, იმას უფრო ადვილად გავიგებ, თუ რაში სჭირდება „გაეროს“ უცხოპლანეტელებთან ურთიერთობის საელჩო, ვიდრე იმას, თუ რატომ ჰქვია „ცოდნის ტაძარი“ უნივერსიტეტს, რომელიც მსოფლიოს უნივერსიტეტების სიაში 1500 (ათასხუთას) საუკეთესოთა შორისაც კი არაა.

**მულტიმედია
ცხოველთა დაცვის დღე**

**მულტიმედია
მჭადი პარლამენტში**





უნდა ბაჟიღოს თუ აჩა სან ობიექტების აქციები სან

პი

სტრატეგიულ ობიექტზე როდესაც ვსაუბრობთ, ლაპარაკია რკინიგზაზე, გაზსადენზე, ისეთ ეკონომიკურ ობიექტზე, რომელიც პოტენციურად შეიძლება საერთაშორისო ასპარეზზეც პოლიტიკური ინტერესების დასაცავად და გასატარებლად გამოდგეს.

ასეთი ობიექტის მთლიანად გასხვიებაზე რომ იყოს საუბარი, ბუნებრივია კითხვები გაჩნდებოდა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ რუსული კომპანია ჩვენს რკინიგზას რუსეთის ინტერესების სასარგებლოდ გამოიყენებს – მაგალითად, გადაკეთავს. ანუ, კერძო კომპანია შეგნებულად შეეცდება თვითონ იზარალოს და რუსეთს შეუწყოს ხელი. თეორიულად შეიძლება ასეთი დაშვება, თუმცა პრაქტიკაში ჯერ საქართველოს და რუსეთის მაგალითზეც კი არ შექმნილა საფრთხე.

მაგალითად, თბილისის ელექტრომომარაგებას რუსული კომპანია ფლობს, მაგრამ ძალიან სამართლიანად და კარგად მუშაობს, არანაირი საბოტაჟი ჩვენ რუსე-



პეტრე ცისკარიშვილი
საპარლამენტო
უმრავლესობის წევრი

თის აგრესიის დღეებშიც კი არ გვინახავს. კომპანია მოგებაზეა ორიენტირებული. ამას გარდა თეორიული საფრთხისგან დამცავი მექანიზმი ძალიან მარტივია – ხელშეკრულება. პრივატიზების დროს სახელმწიფოს შეუძლია დადოს სხვადასხვა სახის ვალდებულება, რომ შემდეგი 2-3 წლის განმავლობაში პროდუქციის წარმოება, ვთქვათ, გაორმაგდება, ან შენარჩუნდება. კონკრეტული ეკონომიკური სუბიექტიდან გამომდინარე რა პოტენციალიც არსებობს, იქვე უდებ პირობად, რომ მან გარკვეული პერიოდის მანძილზე კონკრეტული თანხის ინვესტიცია უნდა ჩადოს. თუ დაარღვევს ამ პირობებს, აღარ იქნება მფლობელი.

მაგრამ ამ შემთხვევაში აქციები სრულად არ გადის. მაქსიმუმ, სტრატეგიული ობიექტების აქციების 49 პროცენტი შეიძლება მოხვდეს საერთაშორისო ბირჟებზე. ეს ძალიან დიდი პრესტიჟია. თუკი ყველაფერი გამჭვირვალედ და მაღალ დონეზე არ გაქვს კომპანიაში, შენს აქციებს იქ ვერ განათავსებ. საერთაშორისო ბირჟაზე როდესაც ბიზნესმენები შენს აქციას ყიდულობენ, იციან, რომ გაქვს სწორი მენეჯმენტი, გამჭვირვალე ფინანსური ანგარიშგება და არანაირი თაღლითობის, თუ მაქინაციების ნიშნები არ შეიმჩნევა.

თუკი მოხვდები, ესე იგი, შენ იმ სტანდარტების და ფასეულობების შესაბამისი კომპანია ხარ, ხდება შენი აქციების კვოტირება, ყალიბდები საერთაშორისო ბაზრების მოთამაშედ, საშუალება გეძლევა დამატებითი ინვესტიციები მოიზიდო. რახან ჩვენ რკინიგზაზე ვსაუბრობთ, ეს ისეთი დარგია, რომელსაც ასობით მილიონიანი ინვესტიცია სჭირდება განვითარებისთვის.



საქართველომ სხვახარისხიანი მართაშორისო ბიზნესზე?

არა

საქართველოს ხელისუფლების მიერ ბოლო პერიოდში მიზანმიმართულად გასხვისებული სტრატეგიული ობიექტების მნიშვნელოვან ნაწილს ჩვენი ის მეზობელი ფლობს, რომელიც ქვეყნის მეოთხედის ოკუპანტადაა ცნობილი.

საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილი კანონპროექტი სახელმწიფო საწარმოთა 50 პროცენტამდე აქციების გასხვისებას ითვალისწინებს. ეს დოკუმენტი, პირველ რიგში, ეხება სტრატეგიული ობიექტების ნუსხიდან ამოღებულ „საქართველოს რკინიგზას“, გაზისა და ნავთობის კორპორაციას, ელექტროსისტემას.

კომპანიების აქციების საერთაშორისო ბირჟაზე განთავსება მიღებული პრაქტიკაა, თუმცა დღეს ნამდვილად არ არსებობს არანაირი ობიექტური აუცილებლობა, რომ საქართველოს სტრატეგიული ობიექტები ასე დაუფიქრებლად, ქვეყნის ინტერესების საზიანოდ გაიყიდოს. ამ მოსაზრების სასარგებლოდ არაერთი ობიექტური ფაქტორია გასათვალისწინებელი:

▶ საფონდო ბირჟებზე ბოლო პერიოდში

დავით ონოფრიშვილი
პარტია „თავისუფალი დემოკრატების“
ეკონომიკური საჭოს
თავმჯდომარე, ეკონომიკის
მეცნიერებათა დოქტორი



კრიზისული მდგომარეობაა, რაც ჩვენი ქვეყნისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი კომპანიების აქციათა რეალური ღირებულების მნიშვნელოვნად შემცირებულ შეფასებას გამოიწვევს.

▶ აღსანიშნავია, რომ ბირჟებისთვის კომპანიათა აქციების შეთავაზების შემთხვევაში, ამ კომპანიების მენეჯმენტი უნდა შეუსაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს, მათ უნდა ჩაუტარდეთ საერთაშორისო აუდიტი, რათა მათი ღირებულება სათანადოდ იყოს შეფასებული. ასეთი ინფორმაცია საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი ჯერაც არ არის, რაც საეჭვოს ხდის მათ რეალურ და ადეკვატურ შეფასებას.

▶ ობიექტების სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, გასათვალისწინებელია

არსებული საფრთხე, თუკი მათ მყიდველებად მხოლოდ ჩვენი მეზობელი ქვეყნები მოგვევლინებიან, რათა გააძლიერონ თავიანთი პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენა ჩვენს ქვეყანაზე.

აქედან გამომდინარე, ჩნდება სამართლიანი ეჭვი, რომ ხსენებული სტრატეგიული ობიექტების შემცირებულ ფასად ბირჟაზე გატანით, დაინტერესებულია მოქმედი ხელისუფლება, რათა კონკრეტული ინვესტორების მიერ განხორციელდეს ამ ობიექტების ფარული პრივატიზაცია, რათა შემდეგ ეტაპზე საკონტროლო პაკეტი იაფად ჩაიგდონ ხელში.

ბოლო წლების განმავლობაში, მრავალი მაგალითია იმისა, თუ რა ფორმით და როგორ მიზანმიმართულად ასხვისებს მოქმედი ხელისუფლება ქვეყნის სტრატეგიულ ობიექტებს შეუსაბამოდ დაბალ ფასად. როდესაც ინვესტორმა შეიძინა ფოთის პორტი, ორი წლის შემდეგ, მასში ინვესტიციების ჩადების გარეშე, უფრო ძვირად გაყიდა. როგორც ჩანს, ამჯერად გაზსადენის, რკინიგზისა და სხვა სტრატეგიული ობიექტების გასხვისების ჯერი დადგა. **□**

მომხმარებლებიდან მნახმოებლებამდე

მარკ მალენი



„თუმოს ცენტრი“ ახალგაზრდებს კომპიუტერის შესაძლებლობებს ასწავლის. არ არსებობს უკეთესი გზა მოზარდების ონლაინ მომხმარებლებიდან ონლაინ მწარმოებლებამდე მიყვანისა, ვიდრე ის, რაც ერევანში წამოიწიეს.

გასული კვირა სომხეთში გავატარე, სადაც TedXArmenia-ს ვესწრებოდი. ყოველთვის დაინტერესებული ვარ რეგიონში მოგზაურობით და სხვადასხვა ადამიანის შეხედულებების გაცნობით, მაგრამ ყველაზე შთამბეჭდავი რამ, რაც ვნახე, ახალი შენობა იყო. მას ჰქვია „თუმოს ცენტრი“ (www.tumo.org) და იგი შექმნილია ახალგაზრდებისთვის, რათა ისინი დაინტერესდნენ კომპიუტერებითა და კომპიუტერის შესაძლებლობებით. სანამ ამ პროექტზე ვისაუბრებდე, მცირე შესავალს გავაკეთებ.



იმ უბედური შემთხვევის წყალობით არის გამოწვეული, რომელსაც სომხების გენოციდი ჰქვია). ქართველები, ასევე, კარგად ორგანიზებული არ არიან. სომხური დიასპორა (როგორც მათ უწოდებენ) სომხეთში სხვადასხვა პროექტებს ხშირად ახორციელებს და ისინი უფრო მეტად მოქნილები არიან, ვიდრე სხვა უცხოური დონორები.

სწორედ ამერიკაში მცხოვრებმა დიასპორამ გაიღო ფული ზემოხსენებული ცენტრის ასაშენებლად. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი და გრძელვადიან პერსპექტივაში, სიკეთის მომტანი პროექტი, რაც კი ოდესმე სომხეთში განხორციელებულა. ამ პროექტს საქართველომ და სხვა ქვეყნებმაც უნდა მიაქციონ ყურადღება. ეს არის კომპიუტერებით სავსე უზარმაზარი შენობა, შესანიშნავი სამუშაო მოდელით.

ერთ-ერთი მთავარი განსხვავება სომხეთსა და საქართველოს შორის ის არის, რომ სომხეთს ქვეყნის გარეთ დიდი და რაც უფრო მნიშვნელოვანია, კარგად ორგანიზებული სომხების ჯგუფი ჰყავს. შეუძლებელია, ადგილობრივ პოლიტიკაზე მათი გავლენა უგულვებელყო. სომხეთში ბევრი წუხს ამაზე. კარგად ორგანიზებული სომხების უმრავლესობა საკმაოდ ნაციონალისტურია და ისინი მტკიცე პოზიციას იკავებენ სომხეთის გენოციდთან დაკავშირებით – ისინი უფრო მეტად ცდილობენ, რომ სხვა ქვეყნები დაარწმუნონ გენოციდის აღიარებაში, ვიდრე თავად ადგილობრივი სომხები.

■ 12-დან 18 წლამდე ასაკის ნებისმიერ მოზარდს შეუძლია სკოლის შემდეგ ცენტრში მივიდეს და ყოველგვარი გადასახადის ან შერჩევის პროცედურის გარეშე ციფრული ტექნოლოგიის ყველაზე შთამბეჭდავ და გამოსაყენებელ მხარეებს გაეცნოს: ანიმაციას, ვიდეო თამაშებს, ვებ-დეველოპმენტს, ციფრულ ვიდეოსა და აუდიოს.

12-დან 18 წლამდე ასაკის ნებისმიერ მოზარდს შეუძლია სკოლის შემდეგ ცენტრში მივიდეს და ყოველგვარი გადასახადის ან შერჩევის პროცედურის გარეშე ციფრული ტექნოლოგიის ყველაზე შთამბეჭდავ და გამოსაყენებელ მხარეებს გაეცნოს: ანიმაციას, ვიდეო თამაშებს, ვებ-დეველოპმენტს, ციფრულ ვიდეოსა და აუდიოს. ყველა ვინც მიდის, ზოგად ინფორმაციას ეცნობა, ისინი კი ვინც პროექტებს აკეთებენ, სპეციალურ ქულებს აგროვებენ. მონაწილეები, ვინც არ შექმნიან


ან არაფერს გააკეთებენ, საბოლოოდ, ცენტრში მისვლის უფლებას კარგავენ. ისინი კი, ვინც ბევრს სწავლობს და აკეთებს, იმის უფლებას იღებ, რომ ზედა კლასებში გადავიდეს, სადაც უფრო უკეთესი ტექნიკური აღჭურვილობა დახვდება. ცენტრის ინსტრუქტორების ასაკი 18-დან 20 წლამდეა.

ცენტრი სკოლებთანაც თანამშრომლობს. ის სკოლები, რომლებიც თავიანთი ინდივიდუალური გადანყვეტილებით თუმოს ცენტრთან თანამშრომლობენ და თავიანთ სასწავლო პროგრამაში მის მიერ შემოთავაზებული სასწავლო მასალები შეაქვთ, იღებენ სპეციალურ უფლებას, რომ თავიანთი მოსწავლეები დღის განმავლობაში ცენტრში ჯგუფებად მიიყვანონ.

სწავლების მეთოდი ბრწყინვალეა. მოზარდები ყველაფერს ითვისებენ

ისე, როგორც ენებს – ამზადებენ საგნებს, იმყოფებიან სოციალურ გარემოში და თამაშობენ. კომპიუტერების გაცნობა ენის სწავლას ჰგავს; ცენტრი ლექციებით, ტესტებითა და სერტიფიკატებით გადატვირთულ ტრადიციულ საბჭოთა კლასებს არ ჰგავს. მისი სტრუქტურა და მეთოდი, მისი არქიტექტურაც კი, ასახავს იმას, თუ როგორ ფიქრობენ და აზროვნებენ ადამიანები სინამდვილეში და არა ვილაციის მიერ თვითნებურად ორგანიზებულ გარემოში.

ისეთი ახალგაზრდა „მასწავლებლების“ ყოლა, რომლებიც ოდნავ წინ არიან მოსწავლეებზე, შესანიშნავია. ისინი უფრო კარგი მასწავლებლები იქნებიან. თავად ინსტრუქტორები ამ პროცესში ძალიან ბევრს ისწავლიან, სულ მცირე იმას მაინც, თუ როგორ ასწავლონ სხვებს. არ არსებობს უკეთესი გზა რალაციის შესასწავლად, ვიდრე მისი სხვა ადამიანებისთვის სწავლება.

სომხეთი კომპიუტერული პროგრამირების უნარებით საქართველოზე უფრო განვითარებულია. საქართველომ მოზარდებისთვის ქვეყნის გარშემო კომპიუტერების დისტრიბუციით დადებითი ნაბიჯი გადადგა. შემდეგი ნაბიჯი ამ პროექტის იმასთან დაკავშირება იქნება, რასაც თუმოს ცენტრი აკეთებს. დიდი განსხვავებაა იმათ შორის, ვინც „ფეისბუქზე“ ბევრს პოსტავს ან ვიდეო თამაშებს თამაშობს და ვინც კომპიუტერს იყენებს რალაციის შექმნისთვის, გამოხატვისთვის და ფულის შოვნისთვის. პირველს აუცილებლობის წესით მეორემდე ვერ მივყავართ. არ არსებობს უკეთესი გზა მოზარდების ონლაინ მომხმარებლებიდან ონლაინ მწარმოებლებამდე მიყვანისა, ვიდრე ის, რაც ერევანში წამოიწყეს. 



ანაბიჯის აქცია!

+1,5%


USD / EUR

ვანა და მოქნილი
ანაბიჯი

აიჩიე ბანკი, ხომელსაც ენდობი

"უჩოვანი იღივს" და "უჩოვანი იღივს" შესახებ

გიორგი ცხადაია
ილიას უნივერსიტეტის
პოლიტიკური
მეცნიერების
მაგისტრანტი



იმის ნაცვლად, რომ 90-იანი წლების დასაწყისის იდეებს ჩავეჭიდოთ, ორიენტირი სწორედ 2000-იანების დასაწყისზე უნდა ავიღოთ. ეს იყო პერიოდი, როდესაც მივხვდით, რომ სახელმწიფოს შექმნას იმაზე მეტი სჭირდება, ვიდრე ეროვნული დამოუკიდებლობა და თვითგამორკვევაა.

27 სექტემბერს ვარდების მოედნიდან სამების ტაძრამდე ე.წ. „ქართველთა მარში“ მოეწყო. ეს იყო „ეროვნული ფორუმის“ მიერ ორგანიზებული საპროტესტო აქცია, რომელიც ეროვნული ფორუმის იდეოლოგიური მდივნის – გუბაზ სანიკიძის განცხადებით, ეროვნული მოძრაობის განახლების სიმბოლოდ უნდა ქცეულიყო. სანიკიძე, რა თქმა უნდა, გულისხმობდა 80-იანების ბოლოსა და 90-იანების დასაწყისში საქართველოში გამართულ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის კამპანიას, რომელსაც შედეგად საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება მოჰყვა. საკითხავია, პოლიტიკურად და იდეოლოგიურად რამდენად გამართლებულია დღეს ეროვნული მოძრაობის იდეებით აპელირება და რა შეიძლება იყოს მისი ალტერნატივა.

ოპოზიციის იმ ნაწილმა, რომელიც „ეროვნულ იდეებზე“ აპელირებს, ახალ რეალობასთან შეხება დაკარგა. ეროვნული მოძრაობა, ძირითადად, ერთი თაობის ბრძოლა იყო, რომელიც ამავე თაობისთვის უამრავ დაბრკოლებასა და გაჭირვებასთან ასოცირდება (სამოქალაქო ომი, ორი ომი სეპარატისტულ რეგიონებში, უკიდურესი ეკონომიკური გაჭირვება და ა.შ.).

სანიკიძეს, როგორც ტრადიციონალისტს, წარსულში ხედვა და ისტორიული მაგალითების აღება უყვარს, მაგრამ ამ შემთხვევაში, მისი რიტორიკა დღევანდელ რეალობას საგრძნობლად აცდენილია. ხალხის დღევანდელი სოცია-



ფოტო: ნიკოლა ცხინვალი

ლურ-კულტურული წარმოდგენები, ვერ ვიტყვით რომ რადიკალურად, მაგრამ მაინც მნიშვნელოვნად განსხვავდება 90-იანების დასაწყისის განწყობებისგან. სანიკიძეს და სხვა ოპოზიციონერებს ავინყდებათ, რომ საქართველოს უახლოეს ისტორიაში ორი რადიკალურად გარდამტეხი მომენტი იყო: საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და „ვარდების რევოლუცია“. რატომღაც ეს უკანასკნელი ექსკლუზიურად სააკაშვილის და მისი გუნდის მონაპოვრად ითვლება და მის შედარებით დადებით კონტექსტში მოხსენიებასაც, „მიმისტობა არ დამაბრალონ“ საბაბით ბევრი ოპოზიციონერი ერიდება. არადა, „ვარდების რევოლუციამ“ მნიშ-

ვნელოვნად შეცვალა ის, თუ რა მოლოდინები უნდა გვქონდეს ხელისუფლებისგან. თუ ადრე, ეროვნული თვითგამორკვევისთვის ბრძოლის დროს, მთავრობისგან მხოლოდ „ნამდვილ ქართველობას“ და „ჭეშმარიტად ეროვნულ კურსს“ მოველოდით, „ვარდების რევოლუციის“ დროს ჩვენი მთავარი მოთხოვნები იყო: კორუფციის აღმოფხვრა, ოლიგარქიული სისტემის შეცვლა, ეკონომიკის და სოციალური სფეროს მოდერნიზაცია, წარმომადგენლობითი დემოკრატიის დამყარება, ადამიანის უფლებების დაცვა და კანონის მმართველობის შემოღება... საინტერესოა, რატომ ფიქრობს გუბაზ სანიკიძე და „ეროვნული ფორუმი“, რომ დღეს 90-იანი წლების დასაწყისის ლო-

ზუნგები უფრო აქტუალურია, ვიდრე ჩემ მიერ ჩამოთვლილი მოთხოვნები?

ისტორიის მოყვარულებისთვის ხელახლა გავიხსენოთ, თუ ვინ უჭერდა მხარს „ვარდების რევოლუციას“: თითქმის მთელი დღევანდელი ოპოზიცია („ახალი მემარჯვენეებისა“ და „ლიბერისტების“ გამოკლებით), ახლანდელი ხელისუფლება და ხალხი, რომელსაც არჩევნების გაყალბებამ საბოლოოდ აუფსო მოთმინების ფიალა.

საკაპშვილის მთავარი ოპონენტები ბოლო ხუთი-ექვსი წლის მანძილზე მოდიოდნენ ან მისსავე მთავრობიდან (ჯერ „რესპუბლიკელები“, რომლებიც პარლა-

მიცემულ ინტერვიოში განაცხადა: „საკაპშვილი არის წარსულის პოლიტიკოსი, მაგრამ მან თავისი როლი შეასრულა. გადაიდგა დადებითი ნაბიჯები 2004-2005 წლებში რეფორმების დაწყების კუთხით, თუმცა ვერცერთი მათგანი მან ბოლომდე ვერ მიიყვანა, გარდა რამდენიმესი, რომელიც მნიშვნელოვანია და უნდა დავაფასოთ. ყველა პრეზიდენტს ქვეყნისთვის დადებითი და უარყოფითი მოაქვს. სააკაპშვილი დანარჩენი პრეზიდენტებისგან მონყვეტილად არ უნდა განვიხილოთ, მან რაც შეძლო, რის რესურსიც ჰქონდა, გააკეთა, სამწუხაროდ, უფრო მეტი გააფუჭა.“

ალასანიას პოზიცია, ამ შემთხვევაში, პოლიტიკურად ყველაზე გამართლებულია, რადგან ის, „ვარდების რევოლუციის“ დროს ხალხის მოთხოვნებს (რეფორმები და მოდერნიზაცია) უსვამს ხაზს და ამავე დროს, სააკაპშვილს აკრიტიკებს იმისთვის, რომ მან ეს რეფორმები, უკეთეს შემთხვევაში, არასრულად და უარეს შემთხვევაში, ხალხისთვის საზიანოდ განახორციელა.

საკაპშვილის ოპოზიციის დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ წამოწყებული რეფორმებისთვის ხაზის სრულიად გადასმაა. არადა, თავის დროზე საქართველოს ყველა მოქალაქეს გააზრებული ჰქონდა, რომ ქვეყანას სოციალური და ეკონომიკური რეფორმები აუცილებლად სჭირდება, თუმცა არ ვიცოდით, და უმრავლესობას არც ახლა აქვს ნათელი წარმოდგენა იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს ეს ცვლილებები.

ამავე დროს, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ჩვენ რამდენიმე საკვანძო იდეაზე შევეთანხმდით, რომელზე კონსენსუსსაც დღემდე ვინარჩუნებთ და ჩვენი კრიტიკაც ხელისუფლების მიმართ, ამ იდეების არასწორად განხორციელებას შეეხება.

პირველ რიგში, შევეთანხმდით იმაზე, რომ გვჭირდებოდა წესრიგი და რომ სუსტ და კორუმპირებულ პოლიციას, სჯობდა გვეყოლოდა ძლიერი და ხალხისადმი ანგარიშვალდებული პოლიცია. მივიღეთ ძლიერი პოლიცია, ხალხისადმი ანგარიშვალდებული და პოლიტიკურად ნეიტრალური – ნაკლებად.

შევეთანხმდით, რომ ჩინოვნიკების კო-

რუფცია ქვეყანას ძირს უთხრიდა და ამიტომ, ეს პრობლემა სასწრაფოდ უნდა აღმოგვეფხრა. ქვედა დონეზე კორუფცია მაქსიმალურად შემცირდა, მაგრამ ხელისუფლების ზედა ეშელონების კონტროლის ეფექტიანი მექანიზმები ვერ შევიმუშავეთ.

შევეთანხმდით, რომ ეკონომიკური განვითარებისთვის გვჭირდებოდა თანამედროვე ინფრასტრუქტურა. ხელისუფლებამ განახორციელა წარმატებული რეფორმები ენერჯო სექტორში და მონესრიგა ქვეყნის სატრანსპორტო სისტემა. ამავე დროს, დავრწმუნდით, რომ მხოლოდ ინფრასტრუქტურის მონესრიგებით ეკონომიკური სასწაული ვერ მოხდებოდა და სახელმწიფომ შედარებით აქტიური როლი უნდა ითამაშოს ეკონომიკური წინსვლის წასახალისებლად.

შევეთანხმდით, რომ განგვეხორციელებინა განათლების რეფორმა, რაც ხელისუფლებამ ნაწილობრივ მოახერხა კიდევ, მაგრამ უმაღლესი განათლების ხარისხის რადიკალურ გაუმჯობესებას და განათლების სექტორის ინტერნაციონალიზირებას ვერ მიაღწია.

შევეთანხმდით იმაზე, რომ გვეყოლოდა მოქმედი, წარმომადგენლობითი დემოკრატია, მაგრამ სანაცვლოდ მივიღეთ საპრეზიდენტო მმართველობა და დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ყველაზე სუსტი პარლამენტი.

შევეთანხმდით იმაზე, რომ გვექონოდა დემოკრატიული მონაწილეობის მექანიზმები და ძალაუფლების რამდენიმე ალტერნატიული ცენტრი, მაგრამ მივიღეთ თითქმის ჰომოგენური მედია სივრცე და სუსტი პოლიტიკური გამოხატვის არხები.

შევეთანხმდით, რომ ბიზნესი ყოფილიყო ხელისუფლების გავლენისგან თავისუფალი, მაგრამ მივიღეთ მართული ან მონოპოლისტური ბიზნესი.

ეს და კიდევ სხვა მრავალი მოთხოვნა შედიოდა იმ კონკრეტულ ლოზუნგებში, რომლის გარშემოც 2003 წლის ნოემბერში საქართველოს მოქალაქეები გაერთიანდნენ. დღეს ამავე მოთხოვნებისთვის და იდეებისთვის ბრძოლა უნდა გავაგრძელოთ და არავითარ შემთხვევაში, არ უნდა დაუბრუნდეთ გასული საუკუნის ლოზუნგებს. **■**

■ „ყველა პრეზიდენტს ქვეყნისთვის დადებითი და უარყოფითი მოაქვს. სააკაპშვილი დანარჩენი პრეზიდენტებისგან მონყვეტილად არ უნდა განვიხილოთ, მან რაც შეძლო, რის რესურსიც ჰქონდა, გააკეთა, სამწუხაროდ, უფრო მეტი გააფუჭა“.

მენტში „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო სიით გავიდნენ, შემდეგ ირაკლი ოქრუაშვილი, ნინო ბურჯანაძე და ზურაბ ნოღაიდელი) ან ოპოზიციის იმ ნაწილიდან, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ დროს შევარდნაძის წინააღმდეგ გამოდიოდა (თავად „ქართველთა მარშის“ ორგანიზატორი გუბაზ სანიკიძე, ზვიად ძიძიგური, კობა დავითაშვილი, კახა კუკავა, ძმები გაჩეჩილაძეები და ა.შ.).

დღეს „ვარდების რევოლუციას“, როგორც მნიშვნელოვან პოლიტიკურად გარდამტეხ მომენტს, საჯაროდ მხოლოდ ერთი პოლიტიკური ძალა უსვამს ხაზს – „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია. ალასანიამ 2011 წლის 1 სექტემბრის „ექსპრესნიუსისთვის“



ფოტო: ლევან სერაფიძე

"ჩვენ საქართველოსთან დათანხმებულ ნაბიჯებს ვითხოვთ"

ინტერვიუ ევროკავშირის ვაჭრობის საკითხების ატაშესთან,
ვირჯინი კოსულთან

რა ეტაპზეა საქართველო-ევროკავშირის შორის თავისუფალ ვაჭრობაზე მოლაპარაკების მოსამზადებელი ეტაპი?

ეს პროცესი წელიწადნახევრის წინ დაიწყო და ამ დროის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. გატარდა სხვადასხვა სფეროს რეფორმები, რომლებიც ამ პროცესის წინაპირობაა. შეთანხმება თავისთავად ძალიან ამბიციური ხასიათისაა, ის მოიცავს როგორც სფეროების რეფორმირებას, ასევე მარეგულირებელი ორგანოების შექმნას და ქართული კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან მიახლოებას.

პროცესი ითვალისწინებს როგორც პოლიტიკურ რეფორმებს, ისე ტექნიკურ მომზადებას. ასევე მნიშვნელოვანია ისეთ საკითხებზე მუშაობა, როგორცაა ინტელექტუალური საკუთრება, სურსათის უვნებლობა და კონკურენციის უზრუნველყოფა.

ამ წინაპირობების მომზადება აუცილებელია პროცესის წარმატებისთვის.

რა პროგრესს მიაღწია საქართველომ დროის ამ მონაკვეთში?

რთულია ცალკე რომელიმე სფეროს გამოყოფა. მაგალითად, სურსათის უვნებლობის დარგში კანონის ამოქმედებას რამდენიმე წელი დასჭირდა. ჩვენ მთავრობასთან ამ საკითხზე 2008 წლიდან ვმუშაობდით, თუმცა კანონის ამოქმედება მხოლოდ 2010 წელს დაიწყო, რის შედეგადაც მთავრობამ სურსათის მწარმოებელი კომპანიების რეგისტრაცია დაიწყო. ცხადია, ამ პერიოდის უფრო ეფექტურად გამოყენება შეიძლებოდა. კანონის რამდენიმე მუხლის ამუშავებას დრო დასჭირდა, რამაც მთლიანად პროცესი შეაფერხა. რომ არა მსგავსი შემთხვევები ფაქტორები, პროცესი უფრო ჩქარი იქნებოდა. ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვდით ამ მუხლების ამოქმედებას, რადგანაც თუ მოლაპარაკების დაწყება გვინდა, ყველა წინაპირობა უნდა შესრულდეს, სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფა კი ერთ-ერთი ასეთი ფუნდამენტური წინაპირობა იყო.

კიდევ რა საკითხებს ითხოვდით კატეგორიულად?

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო ანტიმონოპოლიური სამსახურის აღდგენა. ჩვენ დაგვჭირდა დეტალურად აგვეხსნა, თუ რატომ არის აუცილებელი ქვეყანაში ანტიმონოპოლიური ორგანოს არსებობა, ეს არ უნდა კეთებოდეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამას ევროკავშირი ითხოვს, არამედ იმიტომ, რომ ამით ბაზარზე თავისუფალი კონკურენცია გაჩნდეს.

ანტიმონოპოლიური სამსახური რეგულაციის შემდეგ მოსულმა მთავრობამ გააუქმა, ამ იდეის ინიციატორები ამბობდნენ, რომ მსგავსი ორგანოს არსებობა თავისუფალ კონკურენციას ვერ უზრუნველყოფს და რომ ბაზარზე სამსახურის პარალელურად, მონოპოლიებიც არსებობდნენ.

ევროკომისიისთვის საქართველო ისეთივე პარტნიორი ქვეყანაა, როგორც აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნები, ჩვენ ყველას ერთნაირი

პირობები წაუყენეთ და ავუხსენით, რომ რაღაც საკითხებზე კომპრომისი უბრალოდ შეუძლებელი იყო. ერთ-ერთი ასეთი საკითხი ანტიმონოპოლიური სამსახურის არსებობაა.

იმის თქმა, რომ ანტიმონოპოლიური სამსახური თავისუფალ ბაზარს ვერ უზრუნველყოფს, არასერიოზულია. ამ ქვეყანაში პოლიციაში კორუფციის მაჩვენებელიც ძალიან მაღალი იყო, მაგრამ სურვილის შემთხვევაში ეს პრობლემა მოგვარდა.

ანუ ეს მთავრობის პოლიტიკურ ნება-ზეა დამოკიდებული?

პოლიტიკური ნების გარეშე პროგრესის მიღწევა წარმოუდგენელია, ცხადია მას თან უნდა სდევდეს ტექნიკური სამუშაოები, რათა სამსახურმა ეფექტურად იმუშაოს.

არსებობს მოსაზრება, რომ საქართველოსთვის ეკონომიკის განვითარების ევროპულ მოდელზე ფიქრი ნაადრევია, რომ ჯერ თვითონ უნდა განვითარდეთ, მიუხაზლოვდეთ ევროკავშირს თუნდაც შემოსავლებით და შემდეგ ვიფიქროთ ევროპულ მოდელზე, რომელიც მკაცრად რეგულირდება.

ფიქრობ, ეს არასწორი მიდგომაა, ქვეყანამ რაღაც ეტაპიდან უნდა დაიწყოს. ცხადია, ამ ეტაპზე ჩვენ არ მოვითხოვთ საქართველოსგან ყველა სფეროს ერთ დღეში რეფორმირებას, რასაც ჩვენ ვითხოვთ, ეს არის საბაზისო ცვლილებები, ელემენტარული ნაბიჯები, რომელთა გადადგმა აუცილებელია. მათ გარეშე პროცესი წინ ვერ წავა. ეს აუცილებელია არა ევროკავშირისთვის სიამოვნების მისანიჭებლად, არამედ ადგილზე კონკურენტის მისაღწევად. პირველ რიგში კი ამ ნაბიჯების გადადგმა თქვენივე ეკონომიკისთვის არის აუცილებელი.

საჭირო რეფორმებია, მაგალითად, საავტორო უფლებების დაცვა, რაც ცოდნაზე დამყარებული საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია.

მსგავსი საკითხები უმნიშვნელოვანესია ქვეყნისთვის, მაშინაც კი, როდესაც ევროკავშირთან მოლაპა-

რაკებები არაფერ შუაშია. შეიძლება პროდუქციის ექსპორტს ევროკავშირში არ აწარმოებდნენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სურსათის უვნებლობა არ უნდა უზრუნველყო შენს ქვეყანაში.

ამ ეტაპზე, რა რჩება საქართველოსთვის ყველაზე დიდ გამოწვევად?

ეკონომიკის დივერსიფიკაცია. უნდა განისაზღვროს და განვითარდეს ეკონომიკის ის დარგები, რაშიც საქართველოს შედარებითი უპირატესობა აქვს. ასეთ სფეროდ შეიძლება სოფლის მეურნეობა ჩაითვალოს.

ამ ეტაპზე ჩვენ არ

მოვითხოვთ საქართველოსგან ყველა სფეროს ერთ დღეში რეფორმირებას, რასაც ჩვენ

ვითხოვთ, ეს არის საბაზისო

ცვლილებები, ელემენტარული ნაბიჯები, რომელთა გადადგმა აუცილებელია.

ჩვენ ვუბიძგებთ მთავრობას სოფლის მეურნეობის სტრატეგიის შემუშავებისკენ. ეს ადგილობრივი ბაზრის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება.

როგორ შეაფასებდით საქართველოს პროგრესს აღმოსავლეთის პარტნიორობაში მონაწილე სხვა ქვეყნების მაჩვენებლებთან შედარებით?

კავკასიის ქვეყნებს თუ შევადარებთ, საქართველოს თვალმისაცემი პროგრესი აქვს. როგორც იცით, აზერბაიჯანი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი არ არის. ჩვენი რეკომენდაციების შესასრულებლად ასევე ჯერაც ბევრი რამე აქვს გასაკეთებელი სომხეთს. ამ ქვეყნებთან შედარებით, საქართველო ნამდვილად წინ არის.

რა კუთხით?

გატარებული რეფორმების მიხედ-

ვით. აქ რეფორმები საკმაოდ სწრაფად განხორციელდა. თუმცა, რა თქმა უნდა, ჯერჯერობით ადრეა საბოლოო შედეგებზე საუბარი.

ერთია კანონმდებლობის გამართვა, რაც თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ბევრად უფრო მნიშვნელოვანია მათი ამოქმედება.

კანონმდებლობის თვალსაზრისით, ეს რეფორმა სწრაფად ჩატარდა, ახლა ჯერი მათ აღსრულებაზეა, რაც უკვე მომავლის საკითხია და ადრეა შედეგების შეფასება.

რას ნიშნავს მომავალში, რა ვადებზეა საუბარი?

მას შემდეგ რაც უშუალოდ მოლაპარაკებებს დაიწყებთ, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მოსამზადებელი პროცესი წლის ბოლომდე დასრულდება და შემდეგ უკვე მოლაპარაკებები დაიწყება.

თქვენ ახსენეთ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციაში საქართველოს ხმას ჩვენთან განიხილავენ როგორც ერთადერთ პოლიტიკურ ინსტრუმენტს რუსეთის წინააღმდეგ. როგორია ამ საკითხისადმი თქვენი მიდგომა?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში რუსეთის განწევრება საქართველოს ინტერესებშია. ორგანიზაციაში რუსეთის ყოფნა მას ავალდებულებს გარკვეული ნესები დაიცვას.

საქართველოსთვის ამით უმნიშვნელოვანესი, ემბარგოს მოხსნის საკითხი გადაწყდება, რასაც განწევრების შემდეგ რუსეთი ვერ გააგრძელებს.

თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ ეს საქართველოს ხელში ერთადერთი იარაღია რუსეთზე ზეწოლის მოსახდენად, რომელსაც თუ ერთხელ გასცემ, უკან ვეღარ დაიბრუნებ.

ჩვენ გადაჭრით ვამბობთ, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია პოლიტიკურ საკითხებს არ უნდა უკავშირდებოდეს, ეს ვაჭრობის ორგანიზაციაა და მისი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება მიუღებელია. **■**

ესაუბრა ნანა საჯავია.



ბანკიუხი ანბიღოტი

ბოლო 10 წლის მანძილზე ენერგორესურსებზე ფასების ზრდამ რუსეთს საშუალება მისცა, ეკონომიკური მდგომარეობა გაეუმჯობესებინა. რუსეთის ეკონომიკური კეთილდღეობა კი პირდაპირ აისახება მის ექსპანსიონისტურ მადაზე, რომლის შემდეგი სამიზნეც, შესაძლოა, ბალტიისპირეთი იყოს.

ვასო კუჭუხიძე

მოსკოვმა ტრადიციას არც ამჯერად უღალატა და მეზობელ რეგიონებში დაკარგული გავლენის აღდგენას შეუდგა, რასაც დღემდე წარმატებით ახორციელებს. საბაჟო კავშირში გააერთიანა ბელარუსი და ყაზახეთი; სასურველი ხელისუფლება მოიყვანა უკრაინის სა-

თავეში, რამაც საშუალება მისცა სე-ვასტოპოლში სამხედრო ფლოტის ყო-ლის უფლება 25 წლით, 2042 წლამდე გაეზარდა; გადატრიალების შედეგად არასასურველი ხელისუფლება დაამხო ყირგიზეთში, რითაც თურქეთს, ჩინეთსა და ირანს მიანიშნა, თუ ვინ არის ცენ-

ტრალურ აზიაში წამყვანი ძალა. აზერ-ბაიჯანსა და მოლდოვას შიდა კონფლი-ქტებით არ აძლევს დამოუკიდებლად მოქმედების საშუალებას; საქართველოს კი 2008 წლის აგვისტოში კიდევ ერთხელ დაანახა, თუ რა შედეგი შეიძლება მოი-ტანოს კრემლთან „თამაშმა“.

მიღწეული წარმატებებით რუსეთმა გარკვეულწილად გაიუმჯობესა გეოსტრატეგიული მდგომარეობა, თუმცა მისთვის მნიშვნელოვან ერთ-ერთ რეგიონზე ჯერ კიდევ არ მიუწვდება ხელი. საუბარია ბალტიისპირეთზე, რომელმაც კარგად ისარგებლა 90-იან წლებში რუსეთის სისუსტით და თავი ევროკავშირსა და „ნატოს“ შეაფარა. მიუხედავად იმისა, რომ „ფრონტის“ მეორე მხარეს საკმაოდ სერიოზული ძალა დგას, კრემლი ვერ ეგუება ბალტიის რეგიონზე კონტროლის სრულად დაკარგვას, რადგანაც გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, პეტერბურგის რეგიონის უსაფრთხოებისთვის ბალტიისპირეთის გაკონტროლება მოსკოვისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების გარდა, რეგიონი მოსკოვისთვის საინტერესოა ეკონომიკური თვალსაზრისითაც. „ჩრდილოეთის ნაკადის“ ენერგოპროექტის წარმატებით განხორციელებასა და ფუნქციონირებისთვის რუსეთს მაქსიმალურად ესაჭიროება ბალტიის ზღვაში გავლენის გაზრდა.

მთელი 20 წლის განმავლობაში რუსეთსა და ბალტიის ქვეყნებს შორის ურთიერთობა არც ისე სახარბიელო იყო. ბალტიისპირელები რუსეთს მათი განვითარების შემაფრებელ ფაქტორად მიიჩნევენ და მოსკოვთან ნებისმიერი სახით პოლიტიკურ თანამშრომლობას გამორიცხავენ. პერიოდულად კი ისტორიული სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით რუსეთს სერიოზულ საერთაშორისო სკანდალებს უწყობენ, რაც პოლიტიკურ კრიზისში გადაიზრდება ხოლმე. საპასუხოდ რუსეთში ბალტიისპირელებს უმადურობაში სდებენ ბრალს და მათ ეთნიკურად რუსული მოსახლეობის ჩაგვრაში ადანაშაულებენ. გარდა ამისა, რუსებს საკმაოდ აღიზიანებთ ბალტიისპირელთა გამომწვევი ტონი, რადგანაც ისინი მოსკოვისგან ყოველთვის მოითხოვენ რალაცას – ეს იქნება ფულადი კომპენსაცია საბჭოთა ოკუპაციის გამო თუ ტერიტორიების დაბრუნება.

ბალტიისპირეთის ქვეყნების უკან მდგომი ევროკავშირი და „ნატო“

მოსკოვს მოქმედების თავისუფლებას უზღუდავს და სიფრთხილისკენ უბიძგებს. შესაბამისად, კრემლი უკანასკნელი წლების განმავლობაში რეგიონზე კონტროლის აღდგენას არა უხეში ძალის, არამედ სამივე ქვეყანაში ეთნიკურად რუსი მოსახლეობის მრავალრიცხოვნებითა და ენერგორესურსების გამოყენებით ცდილობს. თავის მხრივ, ორივე ბერკეტს ბალტიისპირეთის ქვეყნების დედაქალაქებშიც კარგად გრძნობენ და სხვადასხვა მეთოდებით ცდილობენ მათთან დაპირისპირებას.

რუსი მოსახლეობის მრავალრიცხოვნებიდან მომდინარე საფრთხის გაუვნებლყოფას ბალტიის ქვეყნები 90-იანი წლებიდან შეუდგნენ. საკანონმდებლო და საგანმანათლებლო სისტემებში გატარებულმა მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა თითქმის 30 %-იანი რუსული უმცირესობა უმნიშვნელო ძალად აქცია. მაგალითად, ადგილობრივი ენის

ზენოლასაც კი არ შეუშინდნენ და საქმე ბოლომდე მიიყვანეს. გარდა ამისა, სპეციალური კომისიების შექმნამ, რომლებიც ლუსტრაციის საკითხებს კურირებენ, საკმაოდ სერიოზული დარტყმა მიაყენა რუსულ ჯაშუშურ ქსელს რეგიონში.

რაც შეეხება რუსეთზე ენერგოდამოკიდებულებას, ბალტიისპირეთის ქვეყნები მის შემცირებას 20 წელია წარუმატებლად ცდილობენ. დღემდე რეგიონისთვის გაზის ერთადერთ მიმწოდებლად რუსეთი რჩება. გარდა ამისა, „გაზრომი“ ბალტიური გაზის კომპანიებში საკმაოდ დიდი წილის მფლობელია, რაც ალტერნატიული ენერგოპოლიტიკის შემუშავების ყველანაირ მცდელობას უშლის ხელს. ბალტიისპირეთის დედაქალაქებში კარგად დაინახეს, რომ რამდენიმე წლის წინ ვარშავის დაჟინებულმა მოთხოვნამ ბრიუსელი აიძულა საკმაოდ დიდი თანხა გამოეყო

■ შვედების ინიციატივა ჩრდილოეთ ევროპის რეგიონში „ნატოს“ გვერდის ავლით ალტერნატიული უსაფრთხოების სისტემის შექმნის პირველი მცდელობაა. თუკი ის წარმატებით განხორციელდა, რუსეთისთვის რეგიონში ექსპანსია კიდევ უფრო გართულდება.

ცოდნასთან დაკავშირებულმა რეფორმამ, რომლის მიხედვითაც საჯარო სამსახურში მუშაობის უფლება მოეხსნა ყველა იმ ადამიანს, რომელსაც ენის გამოცდა არ აქვს ჩაბარებული, ქვეყნის ბიუროკრატიული სამსახურებიდან თითქმის მთლიანად გამოდევნა რუსი მოსახლეობა. ზოგიერთი რეფორმა იმდენად რადიკალური ხასიათის იყო, რომ აშკარად არღვევდა ადამიანის უფლებებს და ეწინააღმდეგებოდა ევროკავშირის კანონმდებლობას, რაც ბალტიისპირეთსა და ბრიუსელს შორის უთანხმოებას იწვევდა, თუმცა რეგიონის უსაფრთხოებისთვის ამას იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნები ევროკავშირის


პოლონეთისთვის ქვეყნის ენერგომომარაგების გზების დივერსიფიცირებისთვის, რისი საშუალებითაც პოლონეთმა რუსულ გაზზე დამოკიდებულება საგრძნობლად შეამცირა. შესაბამისად, ბალტიისპირეთის ქვეყნებშიც გაუჩნდათ იმედი რუსულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულებისაგან თავის დაღწევისა, მაგრამ ევროკავშირის შიგნით მათი გავლენის დაბალი ინდექსი საშუალებას არ აძლევთ პოლონეთის მსგავსი ნაბიჯი გადადგან. ბალტიისპირეთის ქვეყნების ყველა ინიციატივა თუ მოთხოვნა, რომელიც ენერგორესურსებთან დაკავშირებულ საკითხებს ეხებოდა, ბრიუსელმა ან უყურადღებოდ დატოვა, ან მომავლისთვის გადადო.

გარდა ამისა, რუსეთსა და ბალტიის ქვეყნებს შორის ურთიერთობის უკიდურესად დაძაბვის შემდეგ რუსეთი სამხედრო წვრთნებს იწყებს ბალტიისპირეთის მიმდებარე ტერიტორიებზე სახელწოდებით „ზაპად“. 2008 წელს საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულმა მოვლენებმა ბალტიისპირეთის ქვეყნებში გააჩინა კითხვა, ანალოგიურ შემთხვევაში რამდენად ნავა დასავლეთი სამი პატარა ქვეყნის გადასარჩენად მოსკოვთან კონფრონტაციაზე. შესაბამისად, დღეს „ნატოს“ მიმართ ნდობის მაჩვენებელი არც ისე მაღალია რეგიონში, როგორც ეს განევიანების დროს იყო. ამიტომაც ბალტიისპირეთის ქვეყნები დიდი სიხარულით შეხვდნენ შვედეთის ინიციატივას ბალტიის რეგიონში უსაფრთხოების ახალი სისტემის შემუშავების შესახებ, რომელიც ახალი სამხედრო ალიანსის შექმნასაც არ გამოორიცხავს. ბალტიის-

პირეთის ქვეყნების გარდა, მასში მონაწილეობის სურვილი ფინეთმა, დანია და პოლონეთმაც გამოთქვეს. ეს ჩრდილოეთ ევროპის რეგიონში „ნატოს“ გვერდის ავლით ალტერნატიული უსაფრთხოების სისტემის შექმნის პირველი მცდელობაა, რომელიც წარმატებით განხორციელების შემთხვევაში რუსეთის რეგიონში ექსპანსიის მცდელობას კიდევ უფრო შეუშლის ხელს.

2011 წლის 17 სექტემბერს ლატვიაში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები, სადაც გამარჯვება პარტია „თანხმობის ცენტრმა“ მოიპოვა. 1027 საარჩევნო ოლქიდან 909-ში 29,5%-ით გამარჯვებული სწორედ ეს უკანასკნელი გახდა. მეორე ადგილზე 20,4%-ით ყოფილი პრეზიდენტის ვალდის ზატლერსის პარტია, ხოლო მესამეზე პრემიერ ვალდის დომბროვსკასას ბლოკი „ერთობა“ გავიდა, რომელსაც ამომრჩეველთა 18% მიემხრო. პრორუსული პარტიის გამარჯვე-

ბამ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი გააღიზიანა და ბრიუსელი დააფიქრა. თუმცა, შედეგების მიუხედავად, „თანმობის ცენტრი“-ს ლიდერი ნილს უშაკოვი, შესაძლებელია, ისევ ოპოზიციაში აღმოჩნდეს, თუკი მისი ოპონენტები კოალიციის შექმნასა და პრემიერის დანიშვნას მოახერხებენ. ხოლო თუ ეს სცენარი არ განვითარდა, ანალიტიკოსები რიგასა და მოსკოვს შორის ურთიერთობების დათბობასა და ლატვიაში „რუსული“ საკითხის მოგვარებას ვარაუდობენ. ეს კი დამლუპველი იქნება ბალტიისპირეთის ქვეყნებისთვის, რადგანაც ისინი რუსეთის წინააღმდეგ მოქმედებას სწორედ ერთიანობის წყალობით ახერხებენ და თუკი ლატვიის გათიშვით მოსკოვი ესტონეთსა და ლიტვას ერთმანეთს მოსწყვეტს, ეს რეგიონში გავლენის გაზრდის წარმატებული დასაწყისი იქნება და კრემლს მომავალი მოქმედებების დიდ სტიმულს მისცემს. ■



გამაჩივბა, მე ვაჩ მანანა თოქმაციშვილი, გადაცემის **„ზაზუა მოქალაქე“** ავტომატი და წამყვანი. გადაცემის მთავარი სიახლეს წაჩმობდგენს მისივე ფოტომატი: მოქალაქის სახელით ვიკავთ ცხელ საზუბსა თუ საჯახოდ გამოცხადებულ წომიხებზე და ვცდილობთ გავაჩვიოთ საზოგადოებისთვის აქტუალური თემები-ჯანდაცვითი, სოციალური, იურიდიული საკითხები... სატელეფონო ზახი წინასწარი შეთანხმებული აჩ აჩის და შესაბამისად აჩ ვიცი, თუ ხოგოჩი შეხვდებიან ჩვენს ზახს. გადაცემა მზადდება ჰიხდაჰი თუიში და იგი მთლიანად აჩის დამოკიდებული ცხელი საზუბიდან მიღებულ ინფორმაციაზე, ოქუჩაოქოთა კუთიდაწმობაზე და მათ მზაობაზე-დაეხმეოჩონ მოქალაქეს ჰიხდემის გადაჭიქაში.

ჩვენი მიზანია, ვიტი მხივ საჭიო ინფორმაციის მოძიება და მისი ხედმისწავლობა, მეოქე მხივ ვი მოქალაქებთან ვიტიოთობის კუცუხის ჰიოპაგანდა, ზაზგასმა იმაზე, ხომ ცხელი საზუბის ვითადეიტი დანიშნულება მოქალაქეთა ზახებზე ვიკიქება.

გადაცემის მთავარი დევიზია:
მოესმინეთ, იხდესაც ზაზუა მოქალაქე!

გადაცემა **„ზაზუა მოქალაქე“** გათვილია მსმენელთა ფაჩიო სპექტრზე. ნებისმიერს, ვინც თავს მოქალაქედ მიიჩნევს, ვინც სვამს კითხვას და ითხოვს პასუხს, ჩვენი გადაცემის აქტივი მსმენელად მოვიახივბთ. ეს-მინეთ **ხდოი კომუნიკაციის FM 95.5 სიხიქეზე!** ყოველდღე, მზაბათ-ვიიხის გაჩდა, 11 სთ-სა და 25 ნთზე ვიტიოთა **„ზაზუა მოქალაქე“**.




სამხრეთი ოსეთი

დაპირისპირების ზღვრაზე

პრეზიდენტობის 20-ზე მეტი კანდიდატი, 50-მდე დაკავებული ოპოზიციონერი და შეიარაღებული დაპირისპირების რეალური საფრთხე – სამხრეთ ოსეთის საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთი თვე რჩება, თუმცა დღემდე უცნობია, ვინ არის ქვეყნის ლიდერის პოსტზე ყველაზე რეალური კანდიდატი.

მარია ბესტაევა



ჯამბულატ თედევი



ედუარდ კოკოითი

გასულ კვირას სამხრეთ ოსეთი სა- მოქალაქო დაპირისპირების ზღვარზე აღმოჩნდა. ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან, სხვადასხვა მონაცემებით, ათასიდან ორი ათასამდე ადამიანი შეიკრიბა. ისინი პრეზიდენტობის კანდიდატის – თავისუფალ ჭიდაობაში რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის – ჯამბულატ თედევის მომხრეები იყვნენ. თედევი დღეს კოკოითის მთავარი მტერია და ოპოზიციის მხრიდან პრეზიდენტობის ნომერ პირველი კანდიდატი.

ცხინვალში ამ რაოდენობის ხალხი არ შეკრებილა 2008 წლის 26 აგვისტოს შემდეგ, როცა რუსეთმა სამხრეთ

ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა.

ჯამბულატ თედევის მხარდამჭერები თავიდანვე ელოდნენ, რომ ცესკო თედევს რეგისტრაციის დროს პრობლემებს შეუქმნიდა. რამდენიმე თვეა, რაც სამხრეთ ოსეთში მოქმედებს კანონი, რომელიც, როგორც ცხინვალელები ამბობენ, სპეციალურად თედევის წინააღმდეგ შემოიღეს – სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი შეიძლება გახდეს ადამიანი, რომელმაც ბოლო ათი წელი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე იცხოვრა. თავად ბატონი თედევი კი ბოლო ათი წელია რუსეთში ცხოვრობს. თუმცა, ცესკოს წინაშე თავს იმით იმართლებდა, რომ „ცხინვალში ვცხო-

ამავე თემაზე ვებზე

ჯალინა სიკულაევის სტატია
კოკოითის ოპოზიციის
რუბიკონი

www.liberali.ge

ვრობდი, რუსეთში მივლინებაში დავდიოდი“.

ცხადია, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ თედევს რეგისტრაციაზე უარი უთხრა. მისი მხარდამჭერებს შორის ბევრი კუნთმაგარი ბიჭიც იყო, რომლებიც ცესკოს შენობის დაკავებას შეეცადნენ. ვითარება მას შემდეგ

განიმუხტა, რაც სპეცრაზმმა ჰაერში რამდენჯერმე გაისროლა.

საპრეზიდენტო არჩევნები სამხრეთ ოსეთში 13 ნოემბერს გაიმართება. რესპუბლიკა კი ძალიან ახლოსაა სამოქალაქო დაპირისპირებასთან.

ცხინვალში კარგად იციან, რომ როცა საქმე კოკოითებისა და თედევების კონფლიქტს ეხება, ყველაფერი მოსალოდნელია.

2001 წელს, როდესაც ედუარდ ჯაბეის ძე კოკოითი პირველად იყრიდა კენჭს სამხრეთ ოსეთის საპრეზიდენტო არჩევნებზე, მისი ყველაზე ერთგული მეგობრები და მხარდამჭერები სწორედ ძმები ჯამბულატი და იბრაგიმ თედევები იყვნენ.

კოკოითის გაპრეზიდენტების შემდეგ ყოფილმა მეგობრებმა გავლენის სფეროები ვერ გაიყვეს და მოსისხლე მტრებად იქცნენ. კოკოითმა ძმები ცხინვალისგან გააძევა და მათ სამშობლოში დაბრუნების საშუალებას არ აძლევდა. იბრაგიმ თედევები კოკოითის ოპოზიციის მთავარ დამფინანსებლად იქცა 2006 წლის აგვისტომდე, ვიდრე იგი ვლადიკავკაზში, ძალიან უცნაურ ვითარებაში არ მოკლეს.

„ჯამბულატმა ძმის საფლავთან დაიფიცა, რომ კოკოითს სამაგიეროს გადაუხდოდა. ჯამბულატი თავისი სიტყვას შეასრულებს,“ – ამბობს თედევის თანაპარტიელი.

დღეს თედევის სახლთან ცხინვალში მისი მხარდამჭერი მოსახლეობა მორიგეობს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას დაპატიმრება არ ასცდება.

რაც შეეხება კოკოითს, სამხრეთ ოსეთის ამჟამინდელი პრეზიდენტი თავის მეორე და უკანასკნელ საპრეზიდენტო ვადას ასრულებს. კონსტიტუციის თანახმად, მას მესამედ კენჭისყრის უფლება არ აქვს. კოკოითმა თავიდან ამ კანონის შესაცვლელად ნიადაგი მოსინჯა, თუმცა მოსკოვიდან მკაფიო ნიშანი მიიღო, რომ სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის პოსტზე მესამედ კოკოითის ნახვა კრემლში აღარ სურთ.

ამის შემდეგ კოკოითი ხელისუფლებაში დარჩენის სხვა გზებს ეძებს. რუ-

სული ვარიანტი სამხრეთ ოსეთში არ იმუშავებდა. საქმე ისაა, რომ 2008 წლიდან, მას შემდეგ რაც რესპუბლიკას რუსული ფინანსური დახმარება მიენიჭებოდა, სამხრეთ ოსეთის მთავრობის მეთაურს, როგორც ამ ფინანსური ნაკადის მთავარ მაკონტროლებელს, კრემლი თავად ნიშნავს. ამ თანამდებობაზე კოკოითის დანიშვნა არც კრემლის სურვილი იქნებოდა და არც თავად კოკოითის.

რაც შეეხება პარლამენტის თავმჯდომარეობას – პარლამენტს სამხრეთ ოსეთში თითქმის არავითარი უფლებები არ აქვს. მიუხედავად ამისა, მიმდინარეობს საუბრები, რომ

■ ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ 13 ნოემბერს არჩევნებში გამარჯვებულ პრეზიდენტს დალხენილი ცხოვრება ექნება. ედუარდ კოკოითი ნამდაუნუმ იმეორებს, რომ არსად წასვლას არ აპირებს. ამკარაა, უკვე ფიქრობს, როგორ დააჯდეს კისერზე ახალ პრეზიდენტს.

კოკოითი დასჯერდება ამ სიმბოლურ პოსტს, რათა ხელისუფლებაში დარჩეს.

მისი რეალური ძალა კი მმართველი პარტიის თავმჯდომარეობაშია. მმართველ პარტია დღეს ყველაზე დიდი საპარლამენტო ფრაქციითაა წარმოდგენილი, ჰყავს გავლენიანი წევრები ყველა სამთავრობო სტრუქტურაში, მათ შორის ძალოვან სამინისტროებში. სწორედ ამ პარტიას აქვს ძალა, 13 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებზე თავისი კანდიდატი გაიყვანოს.

ფორმალურად, კოკოითის მემკვიდრე საგანგებო საქმეთა მინისტრი ანატოლი ბიბილოვია, თუმცა საქმეს

მნიშვნელოვნად ართულებს ის, რომ ბიბილოვი მოსახლეობაში ავტორიტეტით არ სარგებლობს. საპრეზიდენტო კანდიდატებთან დაკავშირებით განხეთქილებაა მეტრძოლებსა და ჩინოვნიკებს შორის, რაც ქვეყანაში დაძაბულობას ქმნის.

არ არის გარკვეული ასევე ვინ არის კრემლის ფავორიტი სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის პოსტზე. როგორც ჩანს, მოსკოვი ჯერ შორიდან უყურებს ამ აურზაურს. აფხაზეთშიც ასე იყო – კრემლმა ანქვავს მხოლოდ არჩევნებამდე 2 კვირით ადრე დაუჭირა მხარი, როცა მიხვდა, რომ მას მოგების ყველაზე რეალური შანსი ჰქონდა. არადა, კრემლს სამხრეთ ოსეთში ბევრად უფრო თამამად შეუძლია მოქმედება. აფხაზეთისგან განსხვავებით, რუსეთის მხარდაჭერა აქ ცუდ ტონად არ აღიქმება.

თუ დანაწევრებული ოპოზიცია არჩევნებზეც ასევე დანაწევრებული წავა, ეს კიდევ უფრო გაზრდის პროსახელისუფლებო კანდიდატის გამარჯვების შანსს.

თუმცა, ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ 13 ნოემბერს არჩევნებში გამარჯვებულ პრეზიდენტს დალხენილი ცხოვრება ექნება. ედუარდ კოკოითი ნამდაუნუმ იმეორებს, რომ არსად წასვლას არ აპირებს. ამკარაა, უკვე ფიქრობს, როგორ დააჯდეს კისერზე ახალ პრეზიდენტს. ამას დაუმატეთ კრემლის გავლენებიც... ამკარაა, რომ სამხრეთ ოსეთის მომავალ პრეზიდენტს ლავირების კარგი უნარი და რკინის ნერვები უნდა ჰქონდეს. ■

სტატიაში გამოყენებული ტერმინოლოგია ეკუთვნის ავტორს და არა „ლიბერალს“.



სტატია მომზადებულია ჰაინრიხ ბოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს ჰაინრიხ ბოლის ფონდის შეხედულებებს.

"ჰიონეხი" მოსავალი

ხელისუფლება ჰიბრიდული თესლის სიმინდის წარმატებულ მოსავალზე საუბრობს, ოპოზიცია კი გლეხებისთვის კომპენსაციას ითხოვს.

მალხაზ ჭკადუა

თერჯოლის რაიონის სოფელ ზედა საზანოს მკვიდრები სიმინდის მწირ მოსავალზე ჩივიან. გლეხების უმრავლესობამ თესლი სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებული პროგრამის ფარგლებში მიიღო – 2010 წელს უწყებამ საქართველოში ამერიკული კომპანია „ჰიონერის“ ჰიბრიდული თესლის შემოტანის შესახებ გამოაცხადა და ფერმერებსა და გლეხებზე სათესლე მასალა სესხად გასცა.

„ეს არის მეცნიერულად დადასტურებული ტექნოლოგია იმისა, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ აქაურობა სიღარიბიდან და როგორ უნდა გამოვიკვებოთ დანარჩენი საქართველო... უნდა მივანვეთ ამ საქმეს ბოლომდე“, – ამბობდა ტრაქტორში მჯდარი პრეზიდენტი სააკაშვილი 2011 წლის 5 აპრილს, აბაშაში, ანჯელოს მასივში მინის დამუშავების პროცესის თვალჩინებისას.

ქვეყნის პირველი პირის, „მეცნიერულად დადასტურებული“ განცხადების მიუხედავად, თერჯოლაში ამბობენ, რომ ჰიბრიდულმა თესლმა მოლოდინი





■ „არასდროს გვითქვამს, რომ ამ სიმინდს არ უნდა მოვლა ან ქართულ სიმინდთან შედარებით, ნაკლები მოვლა უნდა. ჩვენი წარმომადგენლები ეუბნებიან ფერმერებს და გლეხებს, რომ თუ არ აქვთ სარწყავი, ასეთი სიმინდის მოყვანა რისკია. საერთოდაც, ჰიბრიდულ სიმინდთან დაკავშირებით გვალვამდობა პირობითი ცნებაა“.

ვერ გაამართლა. მეტიც, სიმინდის მოსავალი იმდენიც კი არ არის, რომ მისი გაყიდვიდან მიღებულმა შემოსავალმა ხარჯები დაფაროს. ეს ხარჯები, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს წინაშე აღებული ვალდებულებაა – გლეხებმა ყოველი 1000 მეტრი მიწის ნაკვეთისათვის 2 კილოგრამი თესლი 14 ლარად ისესხეს. გადახდის ვადა დეკემბრის დასაწყისში იწურება.

„დაძალეა არ ყოფილა, მაგრამ თესლს რომ არიგებდნენ, გვთხოვდნენ, წაგველო და გაგვესაღებინა. მოთხოვნაც იყო ერთი-ორჯერ. ცუდი ის არის, რომ არანაირი ინსტრუქცია არ მოუციათ, როგორ დაგვეთესა, როგორ მოგველო“, – ამბობს ზედა საზანოელი გიორგი გიორგაძე.

თერჯოლელი გლეხები იმასაც ჩივიან, რომ რაიონში ერთი აგრონომიც კი არ არის. ფერმერთა მომსახურების ცენტრში კი რჩევის მიღება ისეთივე ძვირია, როგორც შხამ-ქიმიკატებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საგნების შეძენა.

მოსავალს არ უჩივიან ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფელში. ერთ-ერთი ფერმერი, რომელიც ანონიმურობას ამჯობინებს, იჯარით აღებულ 4 ჰექტარზე 30 ტონამდე ჰიბრიდული თესლის სიმინდის აღებას ვარაუდობს. ამასთან, სხვა ფერმერებთან ერთად 12 ჰექტარიც აიღო, თუმცა საზიარო ნაკვეთზე ჭირნახული ასეთივე უხვი არ იქნება.

„ჩემი ნაკვეთი კარგ ადგილზეა, არც სასუქი დამიკლია, არც მორწყვა. ამ 12 ჰექტრიდან კი მხოლოდ ნაწილის მორწყვა მოვასწარი, სასუქის შეტანა არ დავაგვიანეთ, მაგრამ წვიმა არ მოვიდა, რომ მინერალები ფესვებამდე ჩაეტანა. სულ ტყუილი იყო, რომ ამბობდნენ, ეს სიმინდი გვალვამდობაა“, – ამბობს ფერმერი და ხელს ყანისკენ იშვერს.

მას მწირი მოსავალი იმდენად არ აწუხებს, რამდენადაც მისი რეალიზაცია. ერთი ჰექტარი მიწის ფართობი იჯარით, წელიწადში 200 ლარად აიღო, 80 ათასმარცვლიანი თესლის ტომარა, რომელიც ერთ ჰექტარზე დასათესად

არის განკუთვნილი – 240 ლარად. გარდა ამისა, ერთი ჰექტრის დამუშავება და მოსავლის აღება – სასუქის შეტანა, მორწყვა, სპეციალური ტექნიკის დაქირავება – 1000 ლარამდე ჯდება. ამას ემატება სიმინდის გაშრობისა და შენახვის ხარჯები. ჯამში, ახალსოფელი ფერმერის გათვლებით, ერთი ჰექტარი ჰიბრიდული სიმინდის დათესვა და მოყვანა 2000 ლარზე ნაკლები არ ღირს. ამ ხარჯებში მას ლაგოდებში, სიმინდის საშრობ-შემნახველ ცენტრში მოსავლის დაბინავება არ გაუთვალისწინებია – ერთი კილოგრამის გაშრობა 8 თეთრი, ერთი თვით შენახვა კი 1 თეთრი ღირს. საზიაროდ, მან ასევე იქირავა საბჭოთა კოლმეურნეობისდროინდელი ფარდული და მყიდველის გამოჩენამდე სიმინდის შენახვას იქ აპირებს.

„ვის სჭირდება ეს სიმინდი საქართველოში: ძველი თესლით მოყვანილიც ცოტა იქნება ბაზარზე? თუ გატანაზე არ იფიქრა სახელმწიფომ, შავად იქნება ჩვენი საქმე“, – ყვარელმა ფერმერმა ჰიბრიდული თესლის სიმინდის მოსაყვანად ბანკიდან 10 000 ლარიანი კრედიტი გამოიტანა.

მყიდველი საქონელს თავად მოძებნის – ასეთია სოფლის მეურნეობის მინისტრის, ბაკურ კვეზერელის პასუხი „ლიბერალის“ კითხვაზე, დაეხმარება თუ არა სახელმწიფო ფერმერებს მოსავლის გაყიდვაში. მისივე თქმით, ექსპორტი უკვე დაწყებულია: რამდენიმე ათეული ტონა აზერბაიჯანში გაიგზავნა.

მინისტრის პასუხმა პრაქტიკულად უარყო საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის, გოკა გაბაშვილის 27 სექტემბერს გაკეთებული განცხადება იმის შესახებ, რომ საქართველოდან საექსპორტოდ უკვე გაიგზავნა 70 მილიონი ლარის ღირებულების 100 ათასი ტონა სიმინდი. გაბაშვილმა კი აღნიშნა, დიდი მესიმინდე არ ვარო, მაგრამ სამთავრობო პროგრამა შეაჯამა და კონკრეტული ციფრებიც დაასახელა – მოსავალი 6-ჯერ გაიზარდა, მოთხოვნა კი გასულ წელთან შედარებით, 2-ჯერ მეტიაო.

საკანონმდებლო ორგანოს სესიაზე დაწყებული განხილვა 30 სექტემბერს, აგრარულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე გაგრძელდა, სადაც უმრავლესობის გადაწყვეტილებით, ბაკურ კვეზერელი მოხსენებით წარდგა. მინისტრს ნაკლოვანებებზე მხოლოდ მას შემდეგ მოუწია საუბარი, რაც ოპოზიციონერი დეპუტატებისგან კითხვები და პრეტენზიები მოისმინა.

ოფიციალური ინფორმაციით, პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად 34 ათასი გლეხი და ფერმერი დარეგისტრირდა, თუმცა მათგან 10%-მა სხვადასხვა მიზეზის გამო თესლი ვერ მიიღო (საბანკო გარანტიები ვერ წარმოადგინა, დაავიანდა თესლის გატანა და ა.შ.). სამინისტროში ამტკიცებენ, რომ 10 000-ზე მეტმა გლეხმა და ფერმერმა პროგრამით იხიერა, თუმცა დაზარალებულთა ზუსტ ციფრს უწყებაში ვერ ასახელებენ.

ჯამში ჰიბრიდული თესლის სიმინდის პროგრამა სახელმწიფოს 4 მილიონი ლარი დაუჯდა – სოფლის მეურნეობის სამინისტრომ კომპანია „პიონერისგან“ 30 000 ჰექტარზე დასათესი სათესლე მასალა შეიძინა. კვეზერელის ვარაუდით, მონეული მოსავალი 465 ათასი ტონა იქნება – 365 ათას ტონას თავად ადგილობრივი ბაზარი მოიხმარს, 100 ათასი კი მეზობელ ქვეყნებში გაიზავნება. კვეზერელი ამტკიცებს, რომ ასეთი რაოდენობის სიმინდის გაყიდვით ქვეყანა 40 მილიონი დოლარის მოგებას მიიღებს – 2014 წელს კი ექსპორტი 1 მილიონ ტონამდე გაიზარდება.

„ქრისტიან-დემოკრატებმა“ ხელისუფლების პროგნოზი ჯერ კიდევ კვეზერელის მოხსენებამდე დააყენეს ეჭვქვეშ, სამეგრელოში, გურიასა და იმერეთში მოგზაურების შემდეგ. მწირი მოსავლის საილუსტრაციოდ, სხდომაზე მათ სიმინდის ყანების ფოტოები და სიმინდის პატარა ტაროები მოიმარჯვეს. „ქრისტიან-დემოკრატებს“ არც უმრავლესობის წარმომადგენლები ჩამორჩნენ – სხდომათა დარბაზში, საგანგებოდ შერჩეული, გრძელი ტაროები შემოიტანეს და დასაგემოვნებლად, კალათით, ახლადგამომცხვარი მჭადიც

ჩამოატარეს.

თითქმის სამსაათიანი განხილვა პარლამენტში ისე დასრულდა, რომ ამ დღისთვის რეგიონებიდან საგანგებოდ ჩამოყვანილ გლეხებს არაფერი ჰკითხეს, არც ჰიბრიდული თესლის ჯიშზე და არც მის მოსავალზე. როგორც ჩანს, კანონმდებლებმა ჩათვალეს, რომ მათზე უკეთესად ერთი კალათა მჭადი და სიმინდის ტაროები „მეტყველებდა“.

ჰიბრიდული თესლი პოლიტიკური დებატების თემა მარტო პარლამენტში არ გამხდარა. 23 სექტემბერს ირაკლი ალასანიამ პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურს დაზარალებული გლეხებისა და ფერმერების შესახებ საგანგებო ვიდეოგადაცემის საშუალებით დაავიანდა, ალასანიას პარტიის ეკონომიკური საბჭოს თავმჯდომარემ დავით ონოფრიშვილმა კი, „ლიბერალთან“ საუბრის დროს, დასავლეთ საქართველოში მოუსავლიანობის მიზეზად პროგრამის არაკვალიფიციურად ჩატარება დაასახელა.

ამ ეტაპისათვის გაურკვეველი რჩება, რა ბედი ელით იმ ფერმერებს, რომლებმაც ვერ მიიღეს მოსავალი და უწყებისთვის სესხად აღებული თესლის საფასური აქვთ გადასახდელი. „მათ საშუალება ექნებათ, მომავალ წელსაც მიიღონ პროგრამაში მონაწილეობა“ – ასეთია უმრავლესობის ლიდერის, პეტრე ცისკარიშვილის პასუხი.

საქართველოში „პიონერის“ ჯიშის სიმინდის შემოტანა 5 წლის წინ კომპანია „გარემო და ანალიტიკა“ დაიწყო. ამჟამად კომპანიას „კარტლისი“ ჰქვია. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სწორედ მათ გამოცდილებაზე დაყრდნობით გადაწყვიტა „უპრეცედენტოდ წარმატებული პროგრამის“ განხორციელება. მათ სამეგრელოში, ქვემო ქართლსა და გურიაში საჩვენებელ ერთ ჰექტარ ნაკვეთებზე სამჯერ უფრო მეტი მოსავალი მიიღეს, ვიდრე საბჭოთა დროინდელი ჰიბრიდული თესლისგან. დასავლეთ საქართველოში ცუდ მოსავალს „კარტლისის“ დირექტორი, რობერტ რევია ჭარბნალექიანობით, თესვის დაგვიანებით და ნათესების მოუვლელობით ხსნის. „არასდროს გვითქვამს, რომ ამ სიმინდს არ უნდა

მოვლა ან ქართულ სიმინდთან შედარებით, ნაკლები მოვლა უნდა. ჩვენი წარმომადგენლები ეუბნებიან ფერმერებს და გლეხებს, რომ თუ არ აქვთ სარწყავი, ასეთი სიმინდის მოყვანა რისკია. საერთოდაც, ჰიბრიდულ სიმინდთან დაკავშირებით გვაღვაგამძლეობა პირობითი ცნებაა“, – ამბობს რევია.

2010 წელს, როცა სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ჰიბრიდული სიმინდის პროგრამა დაიწყო, „მწვანეთა პარტიამ“ განცხადება გააკეთა იმის შესახებ, რომ ასეთი თესლისგან მიღებული მოსავალი ჯანმრთელობისთვის საშიშია.

„უხერხულია ასეთ რამეებზე საუბარი. იტალიაში ეს სიმინდი ითესება 1 მილიონ ჰექტარზე. ეს ქვეყანა ევროპაში სიმინდის წარმოებით ერთ-ერთი ლიდერია, მისი ბაზრის 70% სწორედ „პიონერის“ თესლის სიმინდს უჭირავს, საბერძნეთში ეს მაჩვენებელი 80%-ია, თურქეთში – 60%. მსოფლიო მასშტაბით სიმინდის მწარმოებელი 200-ზე მეტი კომპანია არსებობს, გლობალური ბაზრის 40% კი სწორედ „პიონერს“ უჭირავს. ასე რომ, საუბარი იმაზე, რომ ეს სიმინდი ცუდი და ჯანმრთელობისთვის საშიშია, ძალიან უხერხულია“, – ამტკიცებს რევია.

არც „კარტლისის“ ხელმძღვანელს და არც კანონმდებლებს ჰიბრიდულ სიმინდზე საუბრისას ერთ მნიშვნელოვან დეტალზე ყურადღება არ გაუმახვილებიათ: დიდი მოსავლის მისაღებად ჰიბრიდული თესლის სიმინდი ქვეყანამ ყოველწლიურად უნდა შემოიტანოს.

„ჰიბრიდული თესლი მხოლოდ ერთ წელს იძლევა კარგ მოსავალს, ამიტომაც ყოველწლიურად სულ ახალი თესლი უნდა დაითესოს“, – ასეთი განმარტება მისცა „ლიბერალს“ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა პეტრე ნასყიდაშვილმა.

თუმცა, ვიდრე წლებადელი მოსავლის აღება არ დასრულდება და გლეხები და ფერმერები რეალურ მოგებასა თუ ზარალს არ დაითვლიან, ახალი თესლის ჩაყრაზე საუბარი ნაადრევია. ■



თბილისი,

ხოზოხს ხეცუხედი ჩანდუაფხი

თბილისის განვითარების შესახებ ბოლო წლების დისკუსიებში თვალსაზრისთა ერთგვარი სივინროვის განცდა ჩნდება. მენაშენეები, არქიტექტორები, ქალაქმგეგმარებლები, ძეგლთა დამცველები და სხვა, ამ საქმესთან პროფესიულად დაკავშირებული თუ დაუკავშირებელი ადამიანები ხშირად პირადი ინტერესების, პროფესიული ან სხვა ცალმხრივობის გამო შეურიგებელ პოზიციებზე დგანან. იქნებ ჯობდა, თბილისისთვის ისე შეგვეხედა, რომ მივახლოვებოდით პრობლემის საფუძვლებს, გადაკვეთის წერტილები აღმოგვეჩინა და ამით კონსტრუქციული დისკუსიის ფართო პლატფორმა შეგვექმნა!

ზურაბ ბაქრაძე, არქიტექტორი, ქალაქმგეგმარებელი



თბილისში ბოლო 20 წლის განმავლობაში გამოიღობა მშენებლობა აშკარად გამოაჩინა მასში ჩართულ ადამიანთა სამოქალაქო ცნობიერების ძლიერი დეფიციტი, რაც ქალაქისთვის დამახასიათებელი სოციალური და მატერიალური ქსოვილის რღვევაში და თბილისის სახის მოშლაში გამოიხატა. ნუთუ ქალაქის ხელისუფლება, მენაშენები, არქიტექტორები და მშენებლობაზე პასუხისმგებელი სხვა ადამიანები რაღაც განსაკუთრებულ, თბილისისთვის მავნე „კასტას“ შეადგენენ და დანარჩენ, ქალაქისთვის თავდადებულ მოქალაქეებს გასაქანს არ აძლევენ? ალბათ არა. უფრო საფიქრებელია, რომ ამ მდგომარეობაზე მეტნაკლებად ყველა მოქალაქეა პასუხისმგებელი. პასუხისმგებლობა კი მისი ობიექტის, ამ შემთხვევაში, თბილისის გაგების გარეშე, შეუძლებელია.

თბილისი საკმაოდ დიდი ურბანული ორგანიზმია და მის ცხოვრებაში გარკვევა მარტივი საქმე არაა. არც მისი ერთიანი სახის წარმოდგენაა ადვილი, რადგან ამ სახის ნაწილები ხშირად ურთიერთშეთავსებლობის ნიშნებს ატარებენ.

თითქმის ყველა ისტორიულად ჩამოყალიბებული ქალაქის მსგავსად, თბილისიც თავის ბირთვში ავლენს ინდივიდუალობას და ამ ინდივიდუალობით კვებავს გარეუბნებს. თუ თავს ერთგვარი გადაჭარბების უფლებას მივცემთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გარეუბნებში მცხოვრებნი მხოლოდ იმიტომ თვლიან თავს თბილისელებად, რომ მათ შორიახლოს ქალაქის ბირთვი, „ნამდვილი ქალაქი“ არსებობს. რომელია ეს „ნამდვილი ქალაქი“? რა ფარგლებში აღვიქვამთ მას? რა თავისებურებები ახასიათებს და ამდენად, რაშია მისი ინდივიდუალობა? ეს ის კითხვებია, რომლებზეც პასუხები გვექნება გასაცემი.

თბილისის ბირთვი, როგორც ტოპოგრაფიულად განპირობებული სივრცული მთლიანობა

თბილისის ისტორიულ სახეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ბუნებრივი

ელემენტი. ეს ძირითადად მის ტოპოგრაფიულ ფორმირებას შეეხება. პირველი, რაც თვალში მოგვხვდება, ისაა, რომ მთაწმინდა მთელი ამ სივრცის განმაპირობებლად გვევლინება. ეს იმდენად თვალშისაცემია, რომ ასე თქმაც შეიძლება: თბილისია ყველგან, საიდანაც მთაწმინდა მოჩანს.

თუ ელემენტარულ ფორმათა ცნებებს მოვიშველიებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთაწმინდის სივრცულ შემოქმედებას აშკარად გამოხატული კონვექსის ხასიათი აქვს. მტკვრის გაღმა მდებარე მახათასა და ლოტიკის მთების განლაგება კი კონკავს, საპირისპირო სივრცულ ფესტს ქმნის.

ეს სივრცე ქალაქის ინტერიერად განიცდება, რაც ძირითადად განაპირობებს ჩვენს წარმოდგენას თბილისზე, როგორც სივრცულ-ესთეტიურ ფენომენზე. ამ განცდაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ის ფაქტი, რომ ყველა ამ მთის ზედა ნაწილი მოუშენებელია, რითაც მათი სივრცული შემოქმედება ხაზგასმულია და ამით ქალაქს მძლავრი ბუნებრივი ფონი ექმნება.

ლანდშაფტის ექსპონის აონქენსია

ლანდშაფტის გაგება აისახა ლანდშაფტის ევროპის კონვენციაში, რომელიც ევროსაბჭომ 2000 წლის 20 ოქტომბერს ფლორენციაში წარმოადგინა ხელმოსაწერად და 2004 წლის 1 მარტს შევიდა ძალაში. დღეისთვის ევროსაბჭოს წევრი 38 ქვეყანაა გაერთიანებული ამ კონვენციაში (მათ შორის საქართველოც, სადაც ის 2011 წლის 1 იანვრიდან შევიდა). კონვენცია ლანდშაფტს განიხილავს კულტურულ მემკვიდრეობად, რომლის დაცვა და განვითარება საზოგადოების ამოცანაა და დასახული.

კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოები (მათ შორის, საქართველოც) კისრულობენ ვალდებულებას, შექმნან შესაბამისი ინსტრუმენტები ლანდშაფტის დაცვის, მოვლის, აღდგენისა და განვითარებისთვის.

ქალაქმა ამ რელიეფის სახით თითქოს მონახა თავისი ოპტიმალური ზომის სამოსი და ჩაენერა მასში. თუ თანამედროვე თბილისის აქ მოყვანილ სქემას დავხედავთ, აშკარად დავინახავთ განსხვავებას ქალაქის ბირთვსა და მეორე მსოფლიო ომის შემდგომ გაჩენილ არაორგანულ წარმონაქმნებს შორის.

თბილისი, როგორც რეგიონული ცენტრი, კულტურათა შესაყარზე

ქალაქის ამ ნაწილზე, როგორც მის ბირთვზე, ლაპარაკს ისიც უმაგრებს ზურგს, რომ იგი სივრცულ-ესთეტიურის გარდა, მრავალფეროვან სოციალურ ერთეულსაც ქმნიდა, რომლის მიმართებაც გარე სამყაროსთან საქართველოს ფარგლებს ცდებოდა.

ჯერ კიდევ საბერძნეთზე ორიენტირებული ეგრისი და სპარსეთზე ორიენტირებული ქართლი გამოხატავდნენ დასავლეთ-აღმოსავლეთის პოლარობას დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე. მოგვიანებით რომი და სპარსეთი, შემდეგ ბიზანტია და ირანი წარმოადგენდნენ ამ სამყაროებს საქართველოში. მიუხედავად XIII საუკუნიდან მოყოლებული აღმოსავლეთის მზარდი გავლენისა, ეს პოლარობა ზემოთ აღნიშნული სახით მაინც რჩებოდა, სანამ ოსმანთა მიერ 1453 წელს კონსტანტინეპოლის აღებით საქართველო ევროპული კულტურული სივრცისგან საბოლოოდ იზოლირებული არ აღმოჩნდა. მხოლოდ 1801 წელს ხელახლა დაუკავშირდა საქართველო ევროპას, ამჯერად რუსეთის გავლით.

კულტურათა ეს შეხვედრა არა მარტო აისახა თბილისის ცხოვრებაზე, არამედ იგი ამ შეხვედრის საკვანძო ადგილი გახდა. დროთა განმავლობაში სხვადასხვა პოლიტიკურ-ეთნიკურ-რელიგიურ ბატონობათა პირობებში ჩამოყალიბდა იგი დამოუკიდებელ, მრავალფეროვან სოციალურ ერთეულად, ქალაქად სამშობლოს გარეშე, მაგრამ თავად სამშობლოდ. თბილისის ასეთი განვითარებიდან ამოიზარდა ნელ-ნელა მისი საერთოკავკასიური რეგიონული ცენტრის სტატუსი.

ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა მას შემდეგ, რაც თბილისის სამხრეთ კავკასიაში რუსული ადმინისტრაციის ცენტრად იქცა და ამით მისი გავლენის სფერო კიდევ უფრო გაფართოვდა.

ქვეყანაში მშვიდობის დამყარებამ და მისმა ევროპულ კულტურულ სივრცეში დაბრუნებამ ძლიერი ბიძგი მისცა თბილისის ყოველმხრივ განვითარებას. კულტურული და სამეურნეო კავშირების გაფართოებამ და თანამედროვე სამართლებრივი წესრიგის შემოღებამ ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებას ახალი ელფერი შესძინა. საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებულ აღმოსავლურ ელემენტს დასავლური საპირწონე დაუბრუნდა და თბილისის მიმზიდველობა გარე სამყაროსთვის მნიშვნელოვნად გაძლიერდა.

ქვეყნის გასაბჭოებით გამოწვეულმა სოციალურმა კატასტროფამ არც თბილისი დაინდო. სამყაროსადმი გახსნილობა, სავაჭრო და კულტურული გაცვლა-გამოცვლა შეუძლებელი შეიქნა. სიდუხჭირემ და თავისუფლების შეკვეცამ პირადი ინიციატივის შეზღუდვა და ამის შედეგად საზოგადოებრივი ცხოვრების გაღარიბება გამოიწვია. 1930 წელს ქვეყანაში სტალინიზმის დამკვიდრებით ეს სიმპტომები განსაკუთრებით გამწვავდა, რამაც პროვინციებიდან თბილისისკენ მასობრივი მიგრაცია გამოიწვია. ალბათ პირველად თბილისის ისტორიაში ეთნიკურმა ქართველობამ ქალაქში უმრავლესობა შეადგინა და ჯანსაღი ეთნიკური პლურალიზმის ადგილი ნელ-ნელა მეწვრილმანე ნაციონალიზმმა დაიკავა. კულტურათა თაიგული ნელ-ნელა კულტურათა ნარჩენებად იქცა. თუმცა ეს ნარჩენები ჯერ კიდევ ქმნიან გარკვეული ინდივიდუალობის მქონე სოციალურ ლანდშაფტს.

თბილისი, როგორც სამშობლო

საბჭოეთის დასასრული ახალი სოციალური ძვრით აღინიშნა. კაპიტალიზმთან დაკავშირებული ანგარება და სიდუხჭირე თბილისს ახალ გამოცდად მოეწვინა. ქალაქისადმი ათნლეულების განმავლობაში ჩა-



მოყალიბებულ უპასუხისმგებლობას, რომელიც ახლა უკვე ქალაქის მმართველობის კორუფციასა და მენაშენეთა ექსპანსიაშიც გამოიხატა, მშვიდვიერი კომფორტის დეფიციტიც დაემატა. გასაბჭოების პირველი წლების მსგავსად მოქალაქეები უკიდურეს სიღატაკეში აღმოჩნდნენ (ერთ სულ მოსახლეზე საშუალო შემოსავალმა 2005 წელს 1990 წლის იგივე მაჩვენებლის 50%(!) შეადგინა). სოციალური დაუცველობის, უსამართლობის და უიმედობის განცდა ხალხს მძიმე ფსიქოლოგიურ ტვირთად დააწვა.

როგორც ცნობილია, ქალაქი მისი საზოგადოების სახეა. გამონაკლისი არც თბილისია და ამდენად ეს სოციალური განსაცდელეები მის სახეშიც გამოვლინდა. პირველი უმძიმესი ჭრილობა ამ სახეს 40-იან წლებში კალა-სეიდაბადის მონაკვეთზე მტკვრის მარჯვენა სანაპირო ავტომაგისტრალის გაყვანამ მიაყენა, რითაც თბილისის ამ ნაწილის უმშვენიერესი ლანდშაფტი ერთი ხელის მოსმით დაინგრა. აქედან მოყოლებული ძნელია მონახო თბილისში განხორციელებული ჯანსაღი ქალაქმშენებლური ღონისძიება.

როგორც საერთოდ ყველა კრიზისს, ამასაც აქვს დადებითი მხარე. მან საზოგადოება ახალი გამოწვევის წინაშე დააყენა – მოვიდა დრო, როცა ყოველმა ცალკეულმა მოქალაქემ სრუ-

ლიად ინდივიდუალური, გააზრებული დამოკიდებულება უნდა დაამყაროს თავის ეზოსთან, უბანთან, ქალაქთან და შემდეგ, თუ ეს საჭირო შეიქნა, გამიზნულად მოძებნოს თანამოაზრეები მათი ფასეულობების დასაცავად, შესანარჩუნებლად და გასავითარებლად. ეს იქნება სამშობლოს იდეის ახალ, თანამედროვე საფეხურზე აყვანა, როცა გააზრებული პასუხისმგებლობა ინსტინქტური მიჯაჭვულობის და აბსტრაქტული ნაციონალიზმის ადგილს დაიკავებს. მოქალაქეთაგან იმ ფაქტის გაცნობიერება, რომ თბილისი მათი სამშობლოა და ისინი მასზე პასუხისმგებლები არიან, გახდება გარანტი იმისა, რომ მათ უფლებას, ცხოვრობდნენ თავის მშობლიურ ქალაქში და მონაწილეობას იღებდნენ მის განვითარებაში, ვერაფერს ხელყოფს. ■

2009 წლის ივნისში არქიტექტორ ლუკა ბაქრაძის ინიციატივით თბილისის გოეთეს ინსტიტუტში ჩატარდა სიმპოზიუმი თემაზე „ისტორიული ქალაქის სათუთი განახლება და სამოქალაქო საზოგადოება“. თბილისისთვის ამ საკითხის მწვავე აქტუალობამ სიმპოზიუმზე წაკითხული ჩემი მოხსენების სტატიად გადაამუშავება და მისი ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა გადამანყვეტინა.



ფოტო: ლუსა ბარბაქაძე

"ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე" მესამე ეტაპი

პროგრამა „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე“ ერთი მხრივ, თავისი ქალაქგეგმარებითი შინაარსით არასწორია და მეორე მხრივ, მენაშენეებისა და თბილისის მერიის გარიგებას თუ არა, ამ უკანასკნელის ავანტიურას მაინც ჰგავს. თბილისის მერიამ ამ პროგრამის „ნარმატებულად ჩატარებული“ პირველი და მეორე ეტაპის შემდეგ, ახლა უკვე მისი „ახალი“ ეტაპი გამოაცხადა. რას გვთავაზობს პროგრამის ახალ ეტაპზე თბილისის მერია?

ლუკა ბაქრაძე

პროექტის მესამე ეტაპი, რომლითაც მერია ამაყოფს, შემდეგს გულისხმობს: ნებისმიერ პირს შეუძლია, მიმართოს მერიას მშენებარე ბინის საყიდად ან ახალი მშენებლობის დასაწყებად. პროგრამის ჩატარების წესის და პირობების თანახმად, მერია მენაშენეს „თეთრი კარკასის“

შექმნის პირობას აძლევს (ერთი კვ. მეტრი – 400 აშშ დოლარი, მიუხედავად იმისა, თუ სად მდებარეობს ბინა, ვაკეში, სოლოლაკში თუ გლდანში). მენაშენეს აქვს უფლება, დასრულებული ბინა უფრო მომგებიან ფასად გაყიდოს, თუ არადა, დაპირებისამებრ, ბინას მერია

შეიძენს. აი, ეს არის პროგრამის ახალი ეტაპის მოკლე შინაარსი.

გიგი უგულავას განცხადებით, „სახელმწიფო [პროგრამით] თავდებში უდგება სამშენებლო კომპანიებს, რომ ისინი შეძლებენ დასრულებული ბინის გაყიდვას მინიმუმ თვითღირებულების ფასად. თუმ-



ისტორიულ განაშენიანებაში ჩადგმული „კორპუსები“. ასევე თბილისის ისტორიული ცენტრი

■ თბილისის მერიამ

პროგრამის პირველ ორ

ეტაპზე 54 მლნ აშშ დოლარად

62 000 კვადრატული

მეტრი ფართობის მიწის

ნაკვეთები იყიდა. ეს

ნიშნავს, რომ მერიამ

საშუალოდ ერთ კვადრატულ

მეტრ მიწაში 837,7 აშშ

დოლარი გადაიხადა, რაც

თბილისში არსებული მიწის

ფასებისათვის შეუსაბამოდ

დიდი თანხაა.

ცა, იქვე დასძენს, „რომ როგორც ბაზრის კვლევამ დაადასტურა, უკვე დასრულებული ბინების რეალიზაციის პრობლემა ქალაქში არ არსებობს: დასრულებულ ბინას, ე.წ. „თეთრ კარკასს“ ყოველთვის ჰყავს მყიდველი“. თუ ასეთი ბაზრის კვლევა მართლაც არსებობს, მაშინ სრულიად გაუგებარია, რატომ არის მერიის შუამდგომლობა საჭირო. ნებისმიერ ბანკს შეუძლია ბევრად უკეთ გათვალოს, რომელ სექტორში უნდა ჩადოს კაპიტალი და გასცეს სესხი, ვიდრე თბილისის მერიას. თუ ბანკები ბინათმშენებლობაში ფულს აღარ აბანდებენ, ესე იგი, მათ ამის რეალური საფუძველი აქვთ.

გიგი უგულავას „დასაბუთებას“ ზვიად არჩუაძეც ავრცობს „ლიბერალთან“ ინტერვიუში. მისი განცხადებით, „ჩვენი რეალობიდან გამომდინარე, სამწუხარო პრაქტიკაა ის, რომ მენაშენებმა სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ დაამთავრეს მშენებლობა. ეს არის საფრთხე, რომელსაც ბანკები ხედავენ და არა ის, რომ ბინა არ გაიყიდება“. კითხვაზე, თუ რა

გარანტიები აქვს მერიას, რომ მენაშენე მშენებლობას დაამთავრებს, ის პასუხობს: „ჩვენს პროექტში ასეთი საფრთხე არ არის. ჩვენ ვამბობთ, რომ სახლი დამთავრდება და ბინას ვიყიდით. იმ შემთხვევაში, თუ მენაშენე ფულთან ერთად გაიქცა, ჩვენ ბანკის წინაშე არანაირი ვალდებულება არ გვაქვს“.

თუ საფრთხე მხოლოდ ბინების ვერ დასრულებას, ხოლო მერია სწორედ ამ საფრთხის ჩავლის შემდგომ ერთვება პროექტში, გამოდის, რომ აღნიშნული საფრთხე საფრთხედვე რჩება – მერია ბინების მშენებლობის დასრულებაზე არანაირ გავლენას არ ახდენს და ამდენად, მშენებლობის დაფინანსებას არც მენაშენებებისთვის „თავდებში ჩადგომით“ სძენს საიმედოობას.

მენაშენების, ბანკებისა და მომხმარებლების ურთიერთობაში მერიის ამ ფორმით ჩარევა უაზრობაა და მას, დიდი ალბათობით, ცარიელი ბინები შერჩება. ეს კი ბადებს ეჭვს, რომ მერია, გარკვეული გარიგების საფუძველზე, საზოგადოე-

ბრივ ფულს მენაშენებს „ჩუქნის“.

მერიის განცხადებით, პროგრამის ერთ-ერთი მიზანია სამშენებლო სექტორის ნახალისება იმისათვის, რომ მენაშენებმა მევალე ოჯახებს შეპირებული ბინების მშენებლობა დაუმთავრონ. ამ შემთხვევაში, საქმე სამშენებლო კომპანიების მიერ სახელშეკრულებო პირობების დარღვევასთან გვაქვს და ნახალისების ნაცვლად ხელისუფლებამ მათი სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებაზე უნდა იზრუნოს.

ბუნდოვანია, თუ რა ბედი ეწევა მერიის მიერ საზოგადოების ფულით შეძენილ ბინებს. მერიის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, „ეს ბინები იმ თბილისელებზე განაწილდება, რომლებიც უკიდურესად ავარიულ სახლებში ცხოვრობდნენ და დღემდე მერია მათ ქირით ამყოფებს“, თუმცა, ამაზე არაფერი წერია არც პროგრამის განხორციელების პირობებში და არც რომელიმე სამართლებრივი ძალის მქონე დოკუმენტში.

„ლიბერალის“ კითხვაზე, თუ რა სამარ-



ფოტოგრაფი ლუკა ბაბრიაძე

კორპუსთა ესთეტიკა თბილისში

თლებრივი გარანტიები არსებობს, რომ მერია ამ ბინებს რაიმე სხვა მიზნით არ გამოიყენებს, ზვიად არჩუაძის პასუხია: „ჩვენ ბინების გაყიდვას არ დავინწყებთ. ყველაფერი შეიძლება, მაგრამ არა მგონია, ასეთი ბიზნესი დავინყოთ. გამოჩნდება, რა რაოდენობის ბინა გვექნება და ამის მერე შევიმუშავებთ პოლიტიკას“. აქედან გამომდინარე, ცხადია, თბილისის მერია 40 მლნ აშშ დოლარის ბინები საზოგადოებრივი ფულით ისე შეისყიდა, რომ წარმოდგენა არ აქვს, როგორ გამოიყენებს მათ.

მერიის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციას ზვიად არჩუაძე თავადვე უარყოფს: „[დაზარალებულ მოსახლეობას ახალ ბინაში] როგორ გადავიყვანდი, ეს არის ხალხის ფული. ყველას ვისაც ბინა არ აქვს, სახლები ვუყიდვით? ეს არ არის ჩვენი პოლიტიკა“. თუმცა იქვე ამატებს, რომ დაზარალებულ მოსახლეობას ქუჩაში ვერ დატოვებენ და ქირას გადაუხდიან.

თუ მერია ახალშექმნილი ბინები მართლაც დაურიგა დაზარალებულ ოჯახებს, მაშინ რა ბედი ელის მოსახლეობის კუთვნილ ავარიულ ბინებსა თუ მინის ნაკვეთებს? ზვიად არჩუაძე გვპასუხობს: „ამას მოვიფიქრებთ“. იქვე დასმულ შეკითხვაზე – „ჯერ მოფიქრებული არ გაქვთ?“ – ის შეცდომის გამოსწორებას ცდილობს: „მოფიქრებული როგორ არ მაქვს, მაგრამ არის რალაც, რაც უნდა ითქვას რალაც ეტაპზე და არის რალაც, რაც არ უნდა ითქვას.“

თბილისის მერია პროგრამის პირველ ორ ეტაპზე 54 მილ. აშშ დოლარად 62 000 კვადრატული მეტრი ფართობის მინის ნაკვეთები იყიდა. ეს ნიშნავს, რომ მერია საშუალოდ ერთ კვადრატულ მეტრ მინაში 837,7 აშშ დოლარი გადაიხადა, რაც თბილისში არსებული მინის ფასებისათვის შეუსაბამოდ დიდი თანხაა.

ასევე უცნობია პროგრამის ბიუჯეტიც. ზვიად არჩუაძის განცხადებით, „პროექტი ბიუჯეტში ჯერ არ ასახულია.

ახლა ვითვლით, რამდენი დაგეჭირდება 2012 წლისთვის და მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი იმის თქმა, თუ რა თანხის შესყიდვებს განვახორციელებთ“. როგორც ირკვევა, მერია პროექტი ისე დაინყო, რომ არ გაუთვლია, მასში გადასახადების გადამხდელთა ფულიდან 1000 აშშ დოლარს დახარჯავდა თუ ერთ მილიარდს.

ამ ყველაფერს ემატება ისიც, რომ არცერთ სამართლებრივ დოკუმენტში არ არის დადგენილი, რა კრიტერიუმებით არჩევს მერია პროგრამაში მონაწილე მენაშენებს. პროგრამის განხორციელების წესის მეხუთე მუხლში წერია, რომ მონაწილეობაზე უარის თქმის შემთხვევაში ქალაქის მთავრობამ შესაბამისი დასაბუთება უნდა წარმოადგინოს. თუმცა, ზვიად არჩუაძე ვერ ასახელებს სამართლებრივად დადგენილ კრიტერიუმებს, რის მიხედვითაც მერია თანხმობას ან უარს ეუბნება მენაშენებს. მისი ნათქვამიდან ირკვევა, რომ მერია თვითნებურად



თბილისის არქიტექტურა საუკუნეთა მიჯნაზე. ქალაქის ცენტრი

აფასებს, რომელი მენაშენეა ღირსი აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობისა და რომელი – არა.

როგორც ეს გარემოება, ისე ზემოთ აღწერილი ბუნდოვანებები წარმოშობს საფუძვლიან ეჭვს, რომ აღნიშნული პროექტით კონკრეტულ პიროვნებებს მერიაში გარკვეული ფინანსური გარიგება აქვთ კონკრეტულ მენაშენეებთან, ან დაუფიქრებლად მიდიან ფინანსურ ავანტიურაზე და საზოგადოებრივ სახსრებს ფლანგავენ.

რაც შეეხება ქალაქგანვითარების მხარეს: პროგრამის სრული ოფიციალური სახელწოდებაა „ძველი თბილისის რეაბილიტაციის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა „ძველი თბილისის ახალი სივრცე“. პროგრამის მიზნები „ძველი თბილისის რეაბილიტაცია“ და „მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება“. თუმცა, პროგრამის ახალი ეტაპი ძველ თბილისს და განსაკუთრებით, მის რეაბილიტაციას საერთოდ არ

ეხება. პროგრამა ან მასთან დაკავშირებული რომელიმე სამართლებრივი დოკუმენტი არც მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების გზებს ადგენს.

„ლიბერალის“ კითხვაზე, მიბმულია თუ არა ეს პროექტი ძველი თბილისის მოსახლეობის გადაყვანაზე, ზვიად არჩუაძე უარყოფითად პასუხობს. მაშასადამე, მერია ამ პროექტით ხალხის ფულს არც ძველი თბილისის რეაბილიტაციას და არც მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას არ ახმარს. რჩება მხოლოდ მენაშენეთა ხელშეწყობა, დაასრულონ დანაშაული და დაიწყონ ახალი მშენებლობები.

გიგი უგულავა თითქმის ყველა თავის გამოსვლაში ხაზს უსვამს, რომ მშენებლობა ის სფეროა, სადაც ყველაზე მეტი ადამიანი დასაქმებული და ის თბილისის ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს სექტორს წარმოადგენს. მისი განცხადებით „ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის,

■ ჩნდება ეჭვი, რომ აღნიშნული პროექტით კონკრეტულ პიროვნებებს მერიაში გარკვეული ფინანსური გარიგება აქვთ კონკრეტულ მენაშენეებთან, ან დაუფიქრებლად მიდიან ფინანსურ ავანტიურაზე და საზოგადოებრივ სახსრებს ფლანგავენ.

რომ ხელი შევუწყობთ მას, მოეხსნათ ყველა ბარიერი, რაც ამ პროცესის შემაფერხებელია“.

მილიონიანი ქალაქის ეკონომიკა მშენებლობას რომ ეფუძნებოდეს, ქალაქში უნდა ხდებოდეს რაიმე განსაკუთრებული. ქალაქი ან ბუნებრივი კატასტროფის ან ომის შედეგად უნდა იყოს უმეტესწილად დანგრეული, ან კიდევ, იგი წარმოქმნის პროცესში უნდა იყოს. მხოლოდ ამ შემთხვევებში იქნებოდა შესაძლებელი, რომ ქალაქის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მშენებლობაში და მასთან დაკავშირებულ დარგებში იყოს დასაქმებული. თუმცა, ესეც იქნებოდა მხოლოდ დროებითი მოვლენა, ქალაქის აღდგენისა თუ წარმოქმნის შემდეგ სამშენებლო აქტივობა მკვეთრად დაეცემოდა.

შესაბამისად, მომავალი ვერ ექნება იმ ქალაქის ეკონომიკას, რომლის მთავარი სეგმენტიც მშენებლობაა.

მეორე საკითხია, რა შეიძინა თბილისმა მშენებლობის ხელშეწყობით.

თუკი რეალურად მოინახულებთ თბილისში ახალაშენებულ საცხოვრებელ შენობებს და დათვლით, რამდენი ბინაა მათში რეალურად ათვისებული, ერთი შეხედვითაც მიხვდებით, რომ შენობები უმეტესწილად ცარიელია. ეს მეტყველებს იმაზე, რომ თბილისში დღეისათვის უძრავ ქონებაზე რეალური სამომხმარებლო მოთხოვნილება არ არსებობს.

აქ შეიძლება ოპონენტმა შეგვახსენოს, რომ თბილისში ერთ სულ მოსახლეზე საშუალოდ მხოლოდ 16 კვმ საცხოვრებელი ფართი მოდის, როდესაც აღმოსავლეთ ევროპაში – 24, ხოლო დასავლეთ ევროპაში 36 კვმ-ია საშუალოდ. მაგრამ აქვე აღვნიშნოთ, რომ აღმოსავლეთ და განსაკუთრებით დასავლეთ ევროპელების ხელფასებიც და, შესაბამისად, ეკონომიკური შესაძლებლობაც თბილისელებისას განუზომლად აღემატება. თუ მათ ხელფასებს ჩვენსას შევადარებთ, მაშინ აღმოჩნდება, რომ თბილისელები ფინანსური შესაძლებლობიდან გამომდინარე იმაზე ბევრად ფართოდ ცხოვრობენ, ვიდრე დასავლეთ ევროპელები. რეალურად პრობლემა ის კი არაა, რომ თბილისელები ვინაშინ ცხოვრობენ, არამედ ის, რომ მენაშენებლის მიერ შემოთავაზებული

უძრავი ქონების ფასები ბევრად აჭარბებს მათ ფინანსურ შესაძლებლობას. აქვე მკითხველს ბოლო მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს, უძრავი ქონების ბუშტებს შევასხენებ. ბოლო პერიოდში მთელ რიგ ქვეყნებში შეიქმნა იმაზე მეტი უძრავი ქონება, ვიდრე მასზე რეალური მოთხოვნილება არსებობდა, რამაც შედეგად გამოიწვია ამ ქონების გაუფასურება და შესაბამისად ბანკების ქონების დაკარგვა, რადგან ცხადია მათ ეს ქონება დაკრედიტებული ჰქონდათ.

ასეთი განვითარება, და შესაბამისად ეს პროექტიც, გამოიწვევს უძრავი ქონების გაუფასურებას, რაც არა მარტო ქალაქის ეკონომიკაზე, არამედ ქვეყნის განსახლებაზეც აისახება. ასეთი იყო საბჭოთა ბინათმშენებლობის ომისშემდგომი ეტაპი. მაშინ პოსტსტალინისტურმა საბჭოეთმა ხალხისაკენ შემობრუნების პოლიტიკა გამოაცხადა და ქალაქებში გაუსაძლისი საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად ინდუსტრიულ ბინათმშენებლობას დაუდო საფუძველი. ბინათმშენებლობის ბუშტმა ბევრს საცხოვრებელი პირობები კი გაუუმჯობესა, მაგრამ ამავე დროს საცხოვრებლის იოლად შოვნის იმედით ქალაქებს მოაწყდა უამრავი ადამიანი, რამაც ქალაქური ცხოვრების სტანდარტი მნიშვნელოვნად დააქვეითა. საბჭოთა ქალაქები, და მათ შორის თბილისიც, ტერიტორიულად ყველაზე მეტად სწორედ ამ პერიოდში გაიზარდნენ და თავიანთ ბუნებრივ პოტენციალს გადააჭარბეს.

თბილისში მიმდინარე მშენებლობა, რომელიც ქალაქის საჭიროებებზე კი არაა ორიენტირებული, არამედ მშენებლობიდან მიღებულ მოგებაზე, თავისი ამ შეუსაბამოთ იწვევს ქალაქის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რესურსის, საქალაქო ტერიტორიების უმიზნო ათვისებას და ამდენად, სამომავლო თვალსაზრისით მათ ფლანგვას. ასეთი მშენებლობა საქალაქო ტერიტორიების შენობებით გადატვირთვასაც იწვევს, რასაც თავის მხრივ ტექნიკური ინფრასტრუქტურით გადატვირთვაც მოჰყვება: გზები, ავტოსადგომები, ყველანაირი საინჟინრო კომუნიკაცია. ეს მაშინ,

როდესაც ქალაქში კრიტიკულად მცირეა ერთ სულ მოსახლეზე მოსული გამწვანებული ტერიტორიების ფართი და რეკრეაციული ტერიტორიები.

ბოლო წლებში აშენებული კიჩური ნაგებობის (როგორც მაგალითად რიყესა და კალას შორის გადებული ახალი „მშვიდობის ხიდა“) მოტრფიალენიც კი აღიარებენ, რომ ამ დაჩქარებული და გაუაზრებელი მშენებლობის გამო ქალაქი ნელ-ნელა მახინჯდება. ეს პროგრამა ამ პროცესს ხელს კიდევ უფრო უწყობს.

ხელისუფალთა მიერ მენაშენეთა სიხარბის ნაქეზების შედეგია ის, რომ ერთ დროს თბილისის ყველაზე ძვირი და ქალაქმშენებლურად საკმაოდ კარგად განვითარებული უბანი ვაკე ყოველგვარი ნესრიგის გარეშე აშენებული „კორპუსების“ გროვამ გადაფარა. შედეგად ვაკეს ნელ-ნელა ფასიც დაეკარგა. იმავე გზას ადგას ქალაქის ძირძველი ცენტრიც. ჯერ მარტო რუსთაველის გამზირზე, პირველი სკოლის უკან თავამორჩილი შენობა რად ღირს, ან კიდევ მთაწმინდის კალთაზე, მამა დავითის მონასტრისკენ აცოცებულ „კორპუსთა“ ჯარი.

ეს პროგრამა არ ეყრდნობა არავითარ ქალაქმშენებლურ მოსაზრებებს და ამით უბიძგებს მენაშენებს მშენებლობა მხოლოდ ერთი, სწრაფი მოგების კრიტერიუმით განსაზღვრონ. „კორპუსის ჩადგმა“ საუკეთესო საშუალებაა ამისათვის. არადა, ასეთი შენობა ისტორიული ქალაქის ქსოვილისთვის უცხო რამაა, განსაკუთრებით ევროპული ქალაქის ქსოვილისთვის (არსებობს ევროპული ქალაქის დეფინიცია, რომელიც ისტორიულ თბილისს უდავოდ მიესადაგება). „კორპუსი“ ვერ ეწერება ასეთი ქალაქის ქსოვილში, რომელსაც ძირითადად 4-5 სართულამდე სიმაღლის პერიმეტრული განაშენიანება ქმნის ან თავისი შიგა სივრცე, რომელიც ერთ მთლიან ეზოს ან ეზოების ჯგუფს მოიცავს. ასეთი ქალაქის განაშენიანებაში „ჩადგმული კორპუსი“ მისი ორგანიზმიდან უცხო სხეულოვითაა ამოჩრილი.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ევროპაში „კორპუსი“ დაბალი ხარისხის საცხოვრებლად ითვლება, რასაც თავისი ობიექტური მიზეზები გააჩნია. ანონიმურობა, დეზინტეგრაცია, მინას და შესა-



რეკონსტრუქციის პროგრამის ფარგლებში ისტორიულ განაშენიანებაში აშენებული თანამედროვე საცხოვრებელი შენობა. ბერლინი

ფოტო: ლუსა პაჩიაძე

რაღვანაც თბილისიც თავისი არსით ევროპული ქალაქია, ამ პროგრამების პირდაპირ გადმოღება თუ არა, მათი თბილისზე მორგება მაინც ადვილად შეიძლებოდა. მაშინ აღარ დასჭირდება თბილისის მერიას ველოსიპედის თავიდან გამოგონება.

ბამისად რეალურ ცხოვრებას მონყვეტა მხოლოდ ის მოკლე ჩამონათვალა რაც „კორპუსს“ ახასიათებს. ფსიქოლოგებმა უკვე კარგა ხანია კვლევის საფუძველზე დაადგინეს, რომ მეოთხე სართულზე ზევით მცხოვრები ბავშვები დაბალ სართულზე მცხოვრებ თავის თანატოლებთან შედარებით ძნელად ვითარდებიან. მაღალ სართულზე მცხოვრებთა შორის უფრო ხშირია დეპრესიულობა და სუიციდისადმი მიდრეკილება.

თუ მერიამ მართლაც დაინყო ძველი თბილისის დაზარალებული მოსახლეობის ახალაშენებულ „კორპუსებში“ გადაყვანა (თუმცა ჯერ ეს „არ მოუფიქრებიათ“), მაშინ არაჯანსაღ სო-

ციალურ განვითარებასთანაც გვექნება საქმე. ამ შემთხვევაში ეს პროგრამა გამოიწვევს (ძირითადად გაჭირვებული) ხალხის მიგრაციებს ქალაქში, უფრო მართლები ვიქნებით, თუ ამ პროცესს საერთოდაც გადასახლებებს დავარქმევთ, რის შედეგადაც დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდება არაჯანსაღი, სოციალური ნიშნით დანაწევრებული ქალაქი, რაც თავის მხრივ გეტოების გაჩენისა და კრიმინალის ზრდის პირველი წინაპირობა იქნება.

დასავლეთ ევროპაში გასული საუკუნის 60-იან და ნაწილობრივ 70-იან წლებში დაშვებული განსახლების შეცდომების მერე იქაური თანამედროვე კომუნალური პოლიტიკა ყველა ღონეს ხმარობს მათ გამოსასწორებლად. იქ არსებობს ქალაქების რეაბილიტაციის დიდი ხნის მანძილზე დაგროვებული უზარმაზარი გამოცდილება. არსებობს სხვადასხვა სახის პროგრამები, რომლებიც შესაბამისად სხვადასხვა სფეროს ეხება. თავისთავად ცხადია, რომ ევროპული პროგრამები გამორიცხავს საზოგადოებრივი ფულის ასე ღია და დაუფარავად სამშენებლო ბიზნესის სასარგებლოდ ფლანგვას, კომუნალური მთავრობების საეჭვო გარიგებების ხელშეწყობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ყველა ეს პროგრამა ძირითადად სოციალური ხასიათისაა და მათში უდიდესი ყურადღება ეთმობა ქალაქგანვითარების პროცესებში მოსახლეობის ჩართვას, მათ ნახალისებას და ხელშეწყობას.

რაღვანაც თბილისიც თავისი არსით ევროპული ქალაქია, ამ პროგრამების პირდაპირ გადმოღება თუ არა, მათი თბილისზე მორგება მაინც ადვილად შეიძლებოდა. მაშინ აღარ დასჭირდება თბილისის მერიას ველოსიპედის თავიდან გამოგონება და, როგორც ზვიად არჩუაძე აცხადებს, „კრეატიული“ იდეების პროდუცირება. ასე საქმეც სწორი მიმართულებით დაიძვრებოდა. თუმცა ამისათვის პოლიტიკური ნებაა საჭირო, რაც, სამწუხაროდ, ჯერ არ ჩანს. ■

მასალაზე მუშაობდა ანიტა თვაური.

SOS!

ბაქე ავღანბაქი

ქალაქის ხელისუფლების არათანმიმდევრული და გაუაზრებელი პოლიტიკა ვლინდება ქალაქის ისტორიული უბნების განახლებისას გარკვეული უბნების უსწრაფეს „რეაბილიტაციაში“, დანარჩენი ისტორიული უბნების სრული იგნორირების ფონზე.

ნანო ზაზანაშვილი



გარე ავღანბაქი და ელიას ხედი ნარიყალდან, 2005

დღეს, როდესაც ბარათაშვილის აღმართის თავზე გადმოკიდებული, შელამაზებული შენობების რიგს გადაავლებთ თვალს, ვერაფრით წარმოიდგენთ ამ რიგის მიღმა მიმალური უბნის მდგომარეობას – ჩამორღვეული და ამორტი-

ზებული შენობები, ანტისანიტარიული მინურები, ნაგავსაყრელებად ქცეული ნანგრევები... დღეს გარე ავღანბრის დახასიათება მოკლედ სწორედ ასე შეიძლება. ეს ისტორიული უბანი თბილისის დღევანდელი ქალაქგანვითარების წინა-

აღმდეგობრივი სურათის ნაწილია.

ქალაქის ხელისუფლების არათანმიმდევრული და გაუაზრებელი პოლიტიკა ქალაქის ისტორიული უბნების განახლებისას ვლინდება გარკვეული უბნების უსწრაფეს „რეაბილიტაციაში“, დანარ-

ჩენი ისტორიული უბნების სრული იგნორირების ფონზე. თუმცა ამ „რჩეულ სარეაბილიტაციო უბნებში“ სამუშაოების არაკომპლექსურობა და მეთოდური ხარვეზები მათი ავთენტური სოციალური და ესთეტიური ფასეულობების რღვევას იწვევს.

ერთი მხრივ, სარეაბილიტაციო სამუშაოების დაჩქარებული ტემპი, მეორე მხრივ კი მოსახლეობისთვის შეთავაზებული წინადადებების უალტერნატივობა, პროცესში მოქალაქეთა თანამონაწილეობისთვის ადგილს აღარ ტოვებს. მძიმე საბინაო პრობლემების წინაშე მდგარი მოსახლეობისთვის შეთავაზებული „უკეთესი საცხოვრებელი“ პირობები, მშობლიური გარემოს მიტოვების მიზეზი ხდება. ისტორიული უბნებისადმი ასეთი მიდგომა მათ მცხოვრებლებს საკუთარ ქალაქში დევნილებად აქცევს.

და ეს მაშინ, როცა ასეთი უბნების განახლების ევროპული მეთოდოლოგია სრულიად განსხვავებულ მიდგომას გულისხმობს. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ისტორიული უბნების სიცოცხლისუნარიანობას ხელისუფლებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მჭიდრო თანამშრომლობა განაპირობებს.

ურბანული განახლების პროექტებში მოქალაქეთა უპირობო თანამონაწილეობა, ლაიპციგის ქარტიაში (2007) მკაფიოდ არის დეკლარირებული. ეს დოკუმენტი დღეს ევროპის ახალი ურბანული პოლიტიკის კონცეფტუალურ საფუძველს ქმნის. ქარტიაში ხაზგასმულია, რომ „ქალაქები არ ეკუთვნიან პოლიტიკოსებსა და საჯარო მოხელეებს, არც ინვესტორებს... საზოგადოების თითოეული წევრი არის პასუხისმგებელი ქალაქების ანმცისა და მომავალზე“. ურბანული განახლების პროექტებში მოსახლეობის, პოლიტიკოსების და საჯარო მოხელეების, საწარმოო და სოციალური ორგანიზაციების ჩართულობა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს დემოკრატიას ადგილობრივ დონეზე. ეს უკანასკნელი კი, როგორც ცნობილია, ქვეყნის დემოკრატიის საფუძველია.

თუ თბილისში ხელისუფლების მიერ „ყურადღებამიქცეული“ ძველი უბნები ფიზიკური გადარჩენის ფასად „სულიე-

რად კვდებიან“, ის ისტორიული უბნები, რომლებიც ამ ყურადღების მიღმა რჩება, „ნელი, მაგრამ სრული სიკვდილისთვის“ არიან განწირულნი.

გარე ავლაბარი ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია. პრეზიდენტის რეზიდენციის სიახლოვის მიუხედავად (ან იქნებ სწორედ ამიტომ) აქ ნგრევა-გაპარტახებას წარმოუდგენლად დიდი გასაქანი აქვს. საზოგადოებაში მკვიდრდება ეჭვი, რომ ქალაქის მმართველობა განზრახ არ ერევა ამ პროცესში, რათა საბოლოოდ სასონარკვეთილი მოსახლეობა ხელისუფლებისა და მასთან ალიანსში მყოფი ინვესტორების ზენოლას დაჰყვეს და მშობლიური უბანი „რაც შეიძლება იაფად“ მიატოვოს.

გარე ავლაბარი თბილისის საზღვრებში XIX ს-ის პირველ ნახევარში მოექცა. ამ ტერიტორიაზე XIX ს-ის მეორე ნახევრისთვის განაშენიანების ხასიათი უკვე ჩამოყალიბებული იყო, რომელსაც მოედნების გააზრებული სისტემა, საზოგადოებრივი და ნახევრადსაზოგადოებრივი სივრცეების მონაცვლეობა და „თბილისურ ეზოზე“, როგორც ძირითად სტრუქტურულ ელემენტზე აგებული საცხოვრებელი განაშენიანება ახასიათებდა.

ეს უბანი დღეს ქალაქის განუყოფელი ნაწილია, რომელსაც ისტორიულად ჩამოყალიბებული საცხოვრებელი ფუნქცია აქვს. ჯანსაღი მიკროკლიმატისა და ინფრასტრუქტურების (სატრანსპორტო, ტექნიკური, საზოგადოებრივი) არსებობის წყალობით იგი უაღრესად ხელსაყრელი საცხოვრებელი პირობებით ხასიათდება.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ პერიოდში განხორციელებული მოსახლეობის ძალადობრივი ცვლა ნაკლებად შეეხო გარე ავლაბარს. ამდენად, აქ დღემდე შენარჩუნებულია მკვიდრი მოსახლეობა, რაც უბნის კულტურულ მრავალფეროვნებას და მის კოლორიტს განსაზღვრავს.

ერთი მხრივ, გარე ავლაბრის სიახლოვე ტურისტულად მიმზიდველ საქალაქო ობიექტებთან და მეორე მხრივ აქ არსებული ხელოსნობის ტრადიციები წერილი ბიზნესის განვითარების საშუალებას იძლევა, რაც დამატებით პირობებს ქმ-



გვლათის ქუჩა



ავლაბრის და იორის ქუჩების გადაკვეთა



დუშეთის ქუჩა



არმაზის ქუჩა 27/12



არმაზის ქუჩა 27/12

ნის უბნის ეკონომიკური სიმძლავრისა და მისი სიცოცხლისუნარიანობის ამაღლებისათვის.

დღეს ამ უბნის უმთავრესი პრობლემა ავარიული საბინაო ფონდია. ჯერ კიდევ 1997-1998 წლებისთვის, როდესაც თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტისა და გერმანიის ქალაქმშენებლობისა და რაიონული დაგეგმარების აკადემიამ (eutsche Akademie für Städtebau und Landesplanung – DASL) გარე ავლაბრის ფრთხილი რეკონსტრუქციის სტრუქტურული პროექტების შემუშავება დაიწყო, მოსახლეობის 56%-ს საცხოვრებლად უვარგისი პირობები ჰქონდა. 2002 წლის მინისტრამ ეს სიტუაცია კიდევ უფრო დაამძიმა. სურათი ყოველწლიურად იცვლება უარესობისკენ. წლების მანძილზე შეუქვეთებელი შენობები სიცოცხლისათვის საშიშ გარემოს ქმნიან მობინადრეთათვის, რადგან მოსახლეობის დიდი ნაწილი უსახსრობის გამო საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას ვერ ახერხებს.

საუბნო სივრცეების ხარისხის დეგრადაციას ხელს უწყობს ნანგრევებად ქცეული შენობები და ბოლო წლებში ქალაქმშენებლობითი კანონმდებლობის დარღვევით აშენებული ახალი ნაგებობები. მათი დიდი ნაწილი არღვევს უბნის საერთო ქსოვილის მთლიანობას და მომავალშიც ხელისშემშლელი ფაქტორი იქნება.

არმაზის ქუჩა №27/12-ში არსებული უმძიმესი საცხოვრებელი პირობები, უბნის მრავალი სხვა სახლისთვისაც არის დამახასიათებელი. ეს შენობა XIX საუკუნის ბოლოს აიგო და მას დღეს ისტორიული ძეგლის სტატუსი აქვს. ამ სახლის უფროსი თაობის ბინადრების მესხიერებაში ჯერაც შემორჩენილია მისი თავდაპირველი იერსახე და მოგონებები პირვანდელი მეპატრონის შესახებ, რომელიც თურმე მდიდარი მესხალიჩე ყოფილა. ერთ დროს ავლაბარში გამორჩეული ეს ნაგებობა დღეს უმძიმეს მდგომარეობაშია. შენობის ქუჩის მხარეს მოქცეული ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხე მთლიანად არის მორღვეული. სრულად დეფორმირე-

ბულია ეზოს მხარეს მოქცეული შუშაბანდი. შუშაბანდის საყრდენი სვეტები დაცილებულია გადახურვის კოჭებს. გადახურვა დაზიანებულია და შენობას ნალექის ზემოქმედებისაგან ვერ იცავს. სახლის ეს ნაწილი ყოველ წუთს შეიძლება ჩამოირღვეს. დღეს ამ სახლსა და მის ეზოში 13 ოჯახს უხდება ცხოვრება.

იგივე სურათია ხიდისთავის ქუჩა №20-შიც, სახლის მდგომარეობა თვითონ თვემდე უარესდება. ორი ნაწილისაგან შემდგარი შენობა შუაზეა გახლეჩილი. შენობის ერთი ნაწილის ჩამოშლას ეზოში მდგარი ხე აფერხებს. მუხედავად უმძიმესი მდგომარეობისა, ამ ნაწილს

პრეზიდენტის რეზიდენციის

სიახლოვის მიუხედავად

აქ ნგრევა-გაპარტახებას

წარმოუდგენლად დიდი გასაქანი

აქვს. მკვიდრდება ეჭვი, რომ

ქალაქის მმართველობა განზრახ

არ ერევა ამ პროცესში, რათა

საბოლოოდ სასონარკვეთილმა

მოსახლეობამ მშობლიური

უბანი „რაც შეიძლება იაფად“

მიატოვოს.

მაცხოვრებლები ჯერაც იყენებენ დამხმარე სათავსოებისთვის.

მცხოვრებლები შიშით იხსენებენ მათ სამეზობლოში უცაბედად ჩამონგრეულ შენობასა და ბედად გადარჩენილ მეზობლებს, იმის მოლოდინში, თუ როდის აღმოჩნდებიან იმავე მდგომარეობაში. არავინ იცის, ექნება თუ არა მათ ისტორიასაც „ილბიანი“ დასასრული.

მუნიციპალიტეტი მძიმე ავარიული შენობების მცხოვრებლებს ქირით გადასვლას სთავაზობს. მოსახლეობის თქმით, ქირის ოდენობა 200 ლარს შეადგენს. შემოთავაზებული პირობების მიხედვით, მცხოვრებთა მფლობელობაში არ-

სებული ავარიული კერძო საკუთრების ბედი არ არის მკაფიოდ განსაზღვრული. ერთი მხრივ, ქირის საფასურის სიმცირე, მეორე მხრივ კი კერძო საკუთრების შენარჩუნების სურვილი, აიძულებს მოსახლეობას სიცოცხლისათვის საშიშ გარემოში გააგრძელოს არსებობა.

აშკარაა, რომ უბანი სასწრაფო კომპლექსურ გაჯანსაღებას საჭიროებს, რისთვისაც აუცილებელია მის ტერიტორიაზე მოქმედი სამართლებრივი ჩარჩო-პირობების შექმნა მომავალი ღონისძიებებისთვის და ასევე, უბნის გაჯანსაღების ერთიანი მენეჯმენტის განხორციელება, რაც ადგილობრივი მოსახლეობის შენარჩუნებას და მის უბნის განვითარების ღონისძიებებში ჩართვას უზრუნველყოფს. ამ მიზნის მისაღწევად პროფესიულ საზოგადოებაში უკვე გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯები. გასული საუკუნის 80-იან წლებში „თბილქალაქპროექტი“ დამუშავებული ქალაქმშენებლური გეგმები, ზემოთ ნახსენები სტრუქტურული პროექტები და 2008 წელს სამშენებლო კომპანია „ს.ს. იბერია უძრავი ქონება“-ს მიერ თბილისის მერიასა და საქართველოს კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით ჩატარებული ღია კონკურსის მასალები გარე ავლაბრის განაშენიანების რეგულირების გეგმის შესამუშავებლად ქმნიან იმ საფუძველს, რომელსაც მომავალი ღონისძიებების დაგეგმვა შეიძლება დაეყრდნოს. განსაკუთრებით აღსანიშნავია 2008 წელს ჩატარებული კონკურსი, რომელმაც პირველად თბილისის ისტორიაში გამოავლინა ამ უბნის საბაზრო ეკონომიკის პირობებში რენტაბელური განვითარების შესაძლებლობები მისი ავთენტური სოციალური და სივრცულ-ესთეტიკური ფასეულობების აუცილებელი შენარჩუნების გათვალისწინებით.

ამდენად, არსებობს კარგი წინაპირობა გარე ავლაბრის კომპლექსური გაჯანსაღებისათვის. ქალაქის ხელისუფალთა კეთილი ნების, პროფესიონალთა და მოსახლეობის საერთო ძალისხმევით შესაძლებელია ამ უბნის იმგვარი რეკონსტრუქცია, რომელიც ქალაქისა და უბნის მცხოვრებთათვის ერთნაირად სასიკეთო შედეგის მომტანი იქნება. ■

ვისია ქაჩაჩი - მანქანის თუ ადამიანის?

დღეს თბილისში გადაადგილება პრობლემურია, მაგრამ ამის მიუხედავად, პასუხისმგებელი სტრუქტურები ამ საკითხების სიღრმისეული კვლევით არ დაინტერესებულან და არც სატრანსპორტო-დაგეგმარებითი სამუშაოები განუხორციელებიათ.

შოთა დემეტრაშვილი



2008 წელს დამტკიცდა თბილისის მინათსარგებლობის (ოპერატიული) გენერალური გეგმა, რომელიც სატრანსპორტო ნაწილსაც მოიცავს, მაგრამ ეს დოკუმენტი მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათისაა და ამდენად, დღეს თბილისის სატრანსპორტო გენერალური სქემა (სგს), რომელიც ტრანსპორტის განვითარების სტრატეგიას გრძელვადიანი პერსპექტივით უნდა განსაზღვრავდეს, არა აქვს.

თუმცა, პრობლემების მოსაგვარებლად ცალკეული ღონისძიებები გატარდა: 2006 წელს თბილისის

ცენტრალურ ქუჩებზე სამარშრუტო ტაქსების გადაადგილება შეიზღუდა. შეფერხებების პრევენციის მიზნით, ტროლეიბუსები ავტობუსებმა ჩაანაცვლეს. ბოლო წლებში მონესრიგდა რამდენიმე მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძი (აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზირების გადაკვეთა; პეკინისა და ვაჟა-ფშაველას გამზირების გადაკვეთა და სხვა). თუმცა, ცალკეულმა ინიციატივებმა არათუ მთლიანად ქალაქის სატრანსპორტო პრობლემა ვერ შეამსუბუქეს, ბევრ შემთხვევაში, მათ სხვა ადგილებზე

■ ვიდრე ქალაქის მმართველობა სატრანსპორტო პრობლემების მოგვარების სპონტანურ, გაუაზრებელ პრაქტიკას არ დათმობს და თანამედროვეობის შესაფერ ზემოთ აღნიშნულ გზას არ დაადგება, ქალაქი სულ უფრო გაიხლართება საავტომობილო ქაოსში.

დაამძიმეს მდგომარეობა.

ინდივიდუალური მოტორიზებული ტრანსპორტი თბილისისთვის გადაადგილების მთავარი საშუალებაა. 2006 წლის სატრანსპორტო გენერალური სქემის წინასწარი კვლევის მონაცემებით (რომელიც ქალაქის მუნიციპალიტეტისა და გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ-ის) დაკვეთით განხორციელდა), გამოკითხულთა 36% ინდ. მოტორიზებული ტრანსპორტით სარგებლობს, როგორც მძღოლი, ხოლო 5% – ინდ. მოტორიზებული

ტრანსპორტის მგზავრია. შედარებისთვის, ამავე კვლევაში მოყვანილია ქალაქ ფრანკფურტის (გერმანია) მონაცემები, რომლებიც თითქმის ანალოგიურია: ინდ. მოტორიზებული ტრანსპორტი – 35% (სარგებლობს როგორც მძღოლი), ინდ. მოტორიზებული ტრანსპორტის მგზავრი – 5%, თუმცა საგანგაშოდ დაბალია საფეხმავლო მოძრაობის მაჩვენებლები თბილისში: თბილისი – 9%, ფრანკფურტი – 29% (თბილისელთა საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობის პროცენტული მონაცემები

შემდეგნაირად გადანაწილდა: ავტობუსი/ტრამვაი – 16%; მიკროავტობუსი – 27%. სხვა საშუალება – 7%).

სამწუხაროდ, ჩვენ არა გვაქვს დღევანდელი ვითარების ამსახველი კვლევითი მონაცემები, თუმცა ქალაქის ცენტრალურ ნაწილში ავტომანქანათა აგრესიული დომინირება ადვილად შესამჩნევია. მსოფლიოს განვითარებულ ქალაქებში დილემა „მანქანა თუ ადამიანი?“, თბილისისგან განსხვავებით, ადამიანის სასარგებლოდ წყდება. დღეს გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალი, დამატებითი გზების მშენებლობით პრობლემა კი არ გვარდება, პირიქით, რთულდება, რადგან ამ გზით საავტომობილო მოძრაობის კომფორტულობის ამაღლება ავტომობილთა რიცხვსა და მათი მოხმარების სიხშირესაც ზრდის. მცირეხნიანი ეფექტი მხოლოდ პრობლემის გადავადებას უზრუნველყოფს, მაგრამ პრობლემა ახალი სიმწვავეთ იჩენს თავს მომავალში. შესაბამისად, მანქანებისთვის მაქსიმალური კომფორტის შესაქმნელად გატარებული ღონისძიებები მთლიანობაში ქალაქისთვის საზიანო ხდება, რადგან ამით მის ქუჩათა ქსელს მხოლოდ სატრანსპორტო ფუნქცია ენიჭება, რის შედეგადაც ჯანსაღი საზოგადოებრივი სივრცე, როგორც ადამიანისთვის აუცილებელი საარსებო გარემო, უკიდურესად მცირდება.

თბილისის ახალი მიწისზედა გადასასვლელი ხიდები არათუ მოუხერხებელია ყოველდღიური სარგებლობისთვის, არამედ დისკრიმინაციულიც საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის. შუქნიშნით რეგულირებულ საფეხმავლო გადასასვლლებზე ტრანსპორტის მოცდის დრო, თითქოსდა ტრანსპორტის მოძრაობის შეუფერხებლობისთვის, მინიმუმამდეა შემცირებული. მოუნესრიგებელი პარკირება ტროტუარებსა და სკვერებში და მრავალი სხვა პრობლემა ჩვენს ყოველდღიურობაზე უარყოფითად მოქმედებს და აშკარას ხდის, რომ ავტომობილი ქალაქში სრული პრიორიტეტით სარგებლობს.

■ მსოფლიოს განვითარებულ ქალაქებში დილემა „მანქანა თუ ადამიანი?“, თბილისისგან განსხვავებით, ადამიანის სასარგებლოდ წყდება. დღეს გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალი, დამატებითი გზების მშენებლობით პრობლემა კი არ გვარდება, პირიქით, რთულდება, რადგან ამ გზით საავტომობილო მოძრაობის კომფორტულობის ამაღლება ავტომობილთა რიცხვსა და მათი მოხმარების სიხშირესაც ზრდის.



2006 წლის სახანსაპოხლო ბენეჩაქი სქემის წინასწარი ანგარიშის მონაცემები

	თბილისი	ფხანჯუხი
ინდ. მოტორიზებული ტრანსპორტით სარგებლობს, როგორც მძღოლი	36%	35%
ინდ. მოტორიზებული ტრანსპორტით სარგებლობს, როგორც მგზავრი	5%	5%
საფეხმავლო მოძრაობის მაჩვენებელი	9%	29%

თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი ზიანი ქალაქს, მის ეკოლოგიას მდინარე ვერეს ხეობაში ახალი მაგისტრალის მშენებლობით მიადგა. მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის რეკომენდაციის მიუხედავად, 2009 წელს თბილისის მერიამ (თბილისის მერმა გიგი უგულავამ) თბილისის საკრებულოს წარუდგინა ახალი მაგისტრალის იდეა თამარაშვილის ქუჩისა და გმირთა მოედნის დასაკავშირებლად. აღნიშნული მაგისტრალის მშენებლობა არ იყო გათვალისწინებული სატრანსპორტო სარეკომენდაციო ნაწილში (მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით) და მასში ცვლილების შეტანა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მოხდა. საკრებულომ თანხმობა პროექტის ანიმაციური ვიზუალიზაციის საფუძველზე გასცა.

არ დაგეგმილა და განხორციელებულა წინასწარი სატრანსპორტო კვლევა, საპროექტო სატრანსპორტო სქემების დამუშავება შესაბამისი ანგარიშებით და არ შეფასებულა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ამ მაგისტრალის ზემოქმედება; არ მომზადებულა განაშენიანების რეგულირების გეგმა (გრგ) მთელი ტერიტორიისთვის გმირთა მოედნიდან თამარაშვილის ქუჩამდე. გარდა ამისა, მშენებლობის დაწყებისასაც კი არ იყო ცნობილი მაგისტრალის სრული ღირებულება, რადგან მშენებლობა და პროექტირება პარალელურ რეჟიმში მიდიოდა. მეტიც, საზოგადოებისთვის უცნობი მიზეზების გამო, მშენებლობა უჩვეულოდ დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობდა, რამაც,

ბუნებრივია, მშენებლობა გააძვირა.

შედეგად მივიღეთ ჭავჭავაძის გამზირის დუბლირებული, პარალელური კავშირი გმირთა მოედანსა და თამარაშვილის ქუჩას შორის, რომლის აუცილებლობა, ეფექტურობა და ფინანსური დანახარჯების მიზნობრიობა, დიდად საეჭვოა, თუმცა ის კი აშკარაა, რომ მაგისტრალი ქალაქის ეკოლოგიაზე უარყოფით გავლენას ახდენს.

ვერეს ხეობა, მისი ეკოსისტემა და განუმეორებელი ლანდშაფტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს თბილისის ამ ნაწილის იერის ფორმირებაზე. მდინარე ვერე, რომელიც, სამწუხაროდ, წლების განმავლობაში ბინძურდება, განმეორების ნაცვლად მიწისქვეშა არხში მოექცა, ვინაიდან ხეობის ქვედა ნაწილში, ზუსტად მდინარის კალაპოტზე, მაგისტრალი გადის. ხეობის მწვანე ნარგავების რაოდენობის შემცირება, ბუნებრივ ლანდშაფტში მნიშვნელოვანი ჩარევა და, საბოლოოდ, სატრანსპორტო ფუნქციის გააქტიურება სარეკრეაციო ზონაში ვნებს არა მხოლოდ მიმდებარე ტერიტორიას, არამედ მთლიანად ქალაქის ეკოლოგიას.

ეს ხეობა ქალაქის შემოგარენში არსებული ტყის მასივებიდან ქალაქის ცენტრამდე შემოჭრილი და იმ საერთო მწვანე ქსელის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რომელიც სუფთა და გრილი ჰაერის მასებით გვამარაგებს. შესაბამისად, ამ ბუნებრივი სივრცის ურბანიზაცია დაუშვებელია.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, სატრანსპორტო პრობლემებთან გასამკლავებლად მაგისტრალის გაყვანა მოქმედებული და მცდარი ხედვაა.

ასევე, ყოველი ჩარევა მთლიან სატრანსპორტო სისტემაში, თუ პრობლემის სისტემური გააზრება არ ხდება და იგი მხოლოდ ვიწრო ლოკალურ-ტექნიკური ღონისძიებაა, პრობლემური კერების გადანაცვლებასა და დამძიმებას იწვევს.

სატრანსპორტო მდგომარეობის გაუმჯობესებისა და, ზოგადად, ქალაქში ჯანსაღი გარემოს შექმნისთვის საჭიროა რეალური პრობლემების გამოვლენა, ანალიზი და მათ საფუძველზე გაუმჯობესების ღონისძიებათა გატარების სისტემური და თანმიმდევრული პოლიტიკა. ამასთან, მნიშვნელოვანია ინფორმაციის საჯაროობა მიმდინარე პროცესებში კვლევით, წინასაპროექტო, საპროექტო, სამშენებლო და ექსპლუატაციის ეტაპებზე, ისევე, როგორც პროფესიული და ფართო საზოგადოების ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღებისას.

ვიდრე ქალაქის მმართველობა სატრანსპორტო პრობლემების მოგვარების სპონტანურ, გაუაზრებელ პრაქტიკას არ დათმობს და თანამედროვეობის შესაფერ ზემოთ აღნიშნულ გზას არ დაადგება, ქალაქი სულ უფრო გაიხლართება საავტომობილო ქაოსში. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაფართოებისთვის საზოგადოებრივი სახსრების უძვირეს მშენებლობებში გაუმართლებელი ხარჯვა კი მუდმივად აღძრავს მოქალაქეებში ეჭვს, რომ ასეთი მშენებლობები მხოლოდ საბაბია იმისთვის, რომ მათი ფული ფარული არხებით ძალაუფლებამოსეებზე გადაიხადონ. ■



ფოტო: ანა მუსაუაძე

შეზღუდვი შესაძლებლობების ქალაქი

ქალაქ თბილისის ინფრასტრუქტურაში
განსხვავებული უნარების მქონე
ადამიანებისთვის ადგილი არ არის.

თინა ყიფშიძე, ანი ჭანკოტაძე

სალომე სასულიერო სემინარიის მესამე კურსის სტუდენტია. დაბადებიდან ცერებრალური დამბლის გამო პირველი ხარისხის ინვალიდია. სალომეს განსაკუთრებული პრობლემები მაშინ ექმნება, როდესაც ქალაქში გამოდის. როგორც თავად ამბობს, თბილისი შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანებისათვის ნაკლებად ადაპტირებული ქალაქია.

„ბორდიურები ძალიან მაღალია, პანდუსებიც არაა. კინოებში, მაღაზიებსა და ტრანსპორტში ასასვლელები არაა, რის გამოც ბევრ რამეზე მიწვევს უარის თქმა. გადაადგილება პრობლემა,“ – ამბობს სალომე.

თბილისის ინფრასტრუქტურაზე ზრუნვა თბილისის მერიის არქიტექტურული სამსახურის ფუნქციაა. მის პასუხისმგებლობაში შედის ქალაქის არქიტექტურული პოლიტიკის მართვა, ურბანული დაგეგმარება და მშენებლობებზე ნებართვის გაცემა. მის მოვალე-

ობებშივე შედის თბილისში მშენებლობებისა და შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანების საჭიროებათა შესაბამისობაზე ზრუნვა.

„მშენებლობის ნებართვის გაცემისას ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანებისთვის ასასვლელების, ანუ პანდუსების გაკეთებაა. თუ ადამიანი ეტლით გადაადგილდება, ქალაქი და შენობა ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ მან ნებისმიერ ნერტილში მოხვედრა შეძლოს“, – ამბობს „ლიბერალთან“ საუბრისას თბილისის არქიტექტურული სამსახურის უფროსი არის ბოჭოიძე. მისივე თქმით, ეს მოთხოვნა მთავრობის დადგენილებითაა გათვალისწინებული და მის შესრულებას აუცილებლად სთხოვენ ყველა მშენებელს.

განსხვავებული მოსაზრება აქვს სამშენებლო კომპანია „არსის“ წარმომადგენელს, თემურ მეგრელაძეს. მისი თქმით,

მერიის ძირითადი მოთხოვნა შენობის მდგრადობასა და ქალაქის ინფრასტრუქტურასთან მის შესაბამისობას გულისხმობს. „ჩვენს პროექტებში, როგორც წესი, შეზღუდული უნარების მქონე ადამიანების საჭიროებების მკაფიო განსაზღვრა არ გვაქვს, ეს დამატებით ხარჯებსა და პოზიციებს მოიცავს, ბაჭნების აშენება, დამატებითი შესასვლელები და ა.შ. მერიისგანაც მსგავს საკითხზე მკაცრი მოთხოვნა არ ყოფილა, არ მახსოვს შემთხვევა, რომ ჩვენი პროექტი ამის გამო არ დაემტკიცებინოთ“, – ამბობს მეგრელაძე.

„კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ პრესსამსახურის ხელმძღვანელი რატი იონათამიშვილი თბილისის ინფრასტრუქტურაში არსებულ ხარვეზებზე საუბრობს. როგორც ის ამბობს, ინვალიდობა გარემოდან მოდის და არა პიროვნებიდან, ინვალიდობა დიაგნოზი არ არის, ის სოციალური ფენომენია.

„ინვალიდობის პრობლემის წინაშე ვდგები არა მაშინ, როდესაც ვიღვიძებ, ვდგები, ვიცვამ, შევდივარ აბაზანაში, ვსაუზმობ ან ვსვამ ყავას, არამედ მაშინ, როდესაც გამოვდივარ გარეთ და არ მაქვს არჩევანი, გზა საზოგადოებრივი ტრანსპორტით გავაგრძელო თუ ტაქსით“, – ამბობს რატი.

ამ საკითხთან დაკავშირებით მთავრობისა და მერიის მცდელობები ან არ არსებობს ან უფუნქციოა. მთავრობის 2009 წელს დამტკიცებულ სამწლიან სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია 2012 წლამდე ავტოპარკინგის 70%-ის ადაპტირება. 2012 წლამდე რამდენიმე თვე რჩება, თუმცა ავტოპარკინგის ადაპტირება ჯერ არც კი დაწყებულია. რატი იონათამიშვილი რამდენიმე წლის წინანდელ ფაქტსაც იხსენებს, როდესაც მერიამ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანთა საჭიროებებზე მორგებული ავტობუსები ჩამოიყვანა, თუმცა ქალაქის არაადაპტირებულობის გამო ამ ავტობუსებით სარგებლობა ფაქტობრივად შეუძლებელი იყო. „თუ ავტობუსებთან ერთად გაჩერებების ადაპტირებაც არ მოხდა, ავტობუსამდე მისვლა, შესაბამისად მისით სარგებლობა, შეუძლებელია“, – ამბობს ის.

გარდა სამწლიანი სამოქმედო გეგმისა, მთავრობის სხვა მცდელობებმაც არ გაამართლა. 2008 წლის დეკემბერში პრემიერ-მინისტრთან არსებული 7 მინისტრისგან შემდგარი საკოორდინაციო საბჭო შეიქმნა, რომელსაც სამწლიანი გეგმის შესრულების მონიტორინგი ევალებოდა. საბჭო ყოველ სამ თვეში ერთხელ უნდა შეკრებილიყო, თუმცა ჯერ ერთხელაც არ შეკრებილა.

ინფრასტრუქტურის გაუმართაობა შეზღუდული შესაძლებლობის პირთათვის მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის. ფაქტობრივად, შეუძლებელია უმაღლესი განათლების მიღება. „სასწავლებლების უმეტესობა არ ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანებისთვის პანდუსებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის ქონას. ერთადერთი თავისუფალი უნივერსიტეტია, რომელმაც ყველა საჭიროება გაითვალისწინა“, – აღნიშნავს რატი იონათამიშვილი.

უნივერსიტეტში გადაადგილების პრობლემა სალომესაც ექმნება. როგორც ის ამბობს, სასულიერო სემინარიაში უამრავი საფეხურის ავლა უნევს, რაშიც მას მეგობრები ეხმარებიან. „რატომ უნდა შევანუხო ამდენი ადამიანი, როდესაც შესაძლებელია ისე ავიდე და ჩამოვიდე, რომ ვერავინ შეამჩნიოს“, – ამბობს სალომე.

რაც შეეხება შრომის უფლების გარანტირებულობას, ამაზე საუბარაც ზედ-

■ „ბორდიურები ძალიან მალალაია, პანდუსებიც არაა. კინოებში, მალაზიებსა და ტრანსპორტში ასასვლელები არ არის, რის გამოც ბევრ რამეზე მიწვევს უარის თქმა. გადაადგილება პრობლემაა“, – ამბობს სალომე.

მეტია. შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობის გარეშე მუშაობა შეუძლებელია. შედარებით წინსვლა სკოლებში. შენდება ახალი, ადაპტირებული სკოლები. საშუალო განათლების მიღების პრობლემა შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანებისათვის ნელ-ნელა გვარდება.

უმალესი სასწავლებლების მსგავსად არაადაპტირებულია ახალი საცხოვრებელი სახლებიც. ამას ემატება კინოთეატრები, რესტორნები, აფთიაქები და ა.შ. მიწისქვეშა გადასასვლელებში არაა პანდუსები. ჩასასვლელი რელსები იმდენად ციცაბოა, რომ მისით სარგებლობა შეუძლებელია.

„მერიას ამ პრობლემის მოგვარება ძალიან მარტივად შეუძლია. მან ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას ერთი წინადადებით უნდა განუსაზღვროს, რომ დაიცვას უნივერსალური დიზაინის ნორმები, რაც პირდაპირ გულისხმობს შენობის შეზღუდული უნარების ადა-

მიანებისათვის ადაპტირებას, თუმცა რატომღაც ამას არ აკეთებს“, – ამბობს იონათამიშვილი.

ამ პრობლემის შესახებ არსებობს გაეროს კონვენცია, რომელიც შეზღუდული უნარების ადამიანებისთვის ინფრასტრუქტურის, განათლებისა და შრომის უფლებების გარანტირებას გულისხმობს. როგორც რატი იონათამიშვილი ამბობს, საქართველოს მთავრობა ამ კონვენციასთან შეერთებას ჯერჯერობით თავს არიდებს.

მთავრობის გულგრილობას კურიოზულ მდგომარეობამდე მიყვავართ. საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისათვის საცხოვრებელი გარემოს შექმნის თავიდან არიდებას 300-დან 500 ლარამდე აჯარიმებს, თუმცა არ არსებობს ორგანო, რომელსაც ეს პასუხისმგებლობა დაეკისრება. ეს ფაქტი სახალხო დამცველის ყურადღების ქვეშაც მოექცა, რომელმაც მთავრობას შესაბამისი ორგანოს შექმნისაკენ მოუწოდო. ჯერჯერობით, მსგავსი ორგანო არ ამოქმედებულა.

მერიის არქიტექტურის სამსახურის ხელმძღვანელი არის ბოჭოიძე ამბობს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის პირთათვის სპეციალური გადასასვლელების გაკეთების იდეა არსებობს. „განიხილება სპეციალური გადასასვლელების გაკეთება. შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანს ექნება ბარათი, რომლითაც შექნიშნებზე მხოლოდ ის ისარგებლებს. ამ ბარათით შესაძლებელი იქნება მოძრაობის გაჩერება და გზაზე გადასვლა“, – ამბობს ბოჭოიძე, თუმცა, თავადვე ამბობს, რომ ეს ჯერჯერობით იდეის დონეზეა და მისი განხილვა არ დაწყებულია.

ინვალიდობა არსებობს მხოლოდ ხედვებსა და გარემოში, არა ადამიანში. „მას საზოგადოებისა და საზოგადოებრივი ინსტიტუციების ისეთი წყობა ინვევს, რომელშიც ფიზიკური განსხვავების მქონე ადამიანს განვითარებისათვის პირობები არ ექმნება“, – აღნიშნავს რატი იონათამიშვილი. არსებული ინფრასტრუქტურა ყველასთვის თანაბარი შესაძლებლობების არსებობას გამორიცხავს. [A]



მეხია მოვაჭხეების წინააღმდეგ

სტუდია „მონიტორი“ დედაქალაქში ჯიხურების ბიზნესით დაინტერესდა. მოვიძიეთ, რომელი კომპანიების რამდენი ჯიხური დგას თბილისში, მათ შორის ისეთ ადგილებში, სადაც ჯიხურის განთავსება აკრძალულია. აღმოჩნდა, რომ მერიას ფავორიტი ფირმები ჰყავს, რომელთა უკან მოქმედი ან ყოფილი სახელმწიფო მოხელეები დგანან. ჩვენ პრივილეგიებულ ფირმებზე მოგითხრობთ.

გივი მგელაძე



90-იანი წლებიდან თბილისის ქუჩებში სოკოებივით მომრავლებულ ჯიხურებს თბილისის მერიამ 2004 წელს ომი გამოუცხადა. მერიის წარმომადგენლები, ქალაქის იერსახის დამახინჯების მოტივით, ქუჩებიდან ჯიხურებს ერთი მეორის მიყოლებით იღებდნენ.

2004 წელს მერიამ გარევაჭრობაც აკრძალა, თუმცა ხალხმრავალი აქციებისა და არჩევნების დროს კონტროლი სუსტდებოდა და მოვაჭრეები პერიოდულად ქუჩის ვაჭრობას უბრუნდებოდნენ.

2010 წლის აგვისტოში სამართალდამცავებმა რამდენიმე ათას მოვაჭრეს ქუჩის დატოვება აიძულეს, რასაც საპროტესტო აქციები მოჰყვა. აქციების

ერთ-ერთი ორგანიზატორი, კონსერვატორი ლაშა ჩხარტიშვილი გარევაჭრობის აკრძალვას ასე ხსნის: „მერიამ გადაწყვიტა, რომ ქუჩები გარევაჭრობის ჯიხურებისგან გაეთავისუფლებინა, რისთვისაც ძალა გამოიყენა. ამით ელემენტარული საარსებო წყარო მოუსპო ასეულობით ადამიანს. ხელისუფლებას პირადი ინტერესი ჰქონდა – ამ ნაბიჯით თავისთან დაახლოებულ ფირმებს კონკურენტები ჩამოაშორა და ამ ფავორიტი ფირმების ჯიხურებით გაივსო თბილისი“.

გარევაჭრობის აკრძალვის შემდეგ, მოვაჭრეების ნაწილმა მერიას მიმართა და ჯიხურის დადგმის ნებართვა მოითხოვა. მათ შორის იყო ირა რეხვიაშვილი, რომელიც 12 წელია ახმეტელის მეტროსთან ვაჭრობს, ის საკანცელარიო საქონელს, ნაყინს და გამაგრებულ სასმელებს ყიდდა. 2010 წლის აგვისტოში მასაც აუკრძალეს გარევაჭრობა. „განცხადებები შევიტანე საკრებულოში, მერიაში, შევთავაზე, იქნებ რაიმე პატარა, სტანდარტების შესაბამისი ყვავილების ჯიხური დამადგმევინოთ-მეთქი. ამაზეც უარი მითხრეს – მეტროს ამოსასვლელებთან აკრძალულიაო. ვფიქრობ, უსამართლოდ მომექცნენ, თავიანთი ჯიხურები ჩვენი აყრისთანავე ჩადგეს და იქ სიგარეტს და კიდევ უამრავ რამეს ყიდიან. ვუთხარი კიდევ, თქვენთვის შეიძლება ის ჯიხურები და ჩვენთვის არა-მეთქი?“

ციალა კალატოზიშვილიც 10 წელზე მეტ ხანს თავს გარევაჭრობით ირჩენდა, აკრძალვის შემდეგ მანაც გადაწყვიტა, მეტრო „ღრმალელს“ სიახლოვეს ჯიხურის განთავსების ნებართვა მიეღო. თუმცა უშედეგოდ.

„ფოტოები გადავიღეთ, დიზაინი სპეციალისტს შევარჩევინეთ. მინებით იყო სულ გაფორმებული. ვიფიქრე, ბოსტნეულს გავყიდი ისევ და პურის და წამლის ფულს ვიშოვი-მეთქი. მაგრამ უარი მითხრეს, ადგილი გადატვირთულიაო. ამის შემდეგ კი იმ ადგილას ლატარიის და შაურმის ჯიხური დადგეს. ჩემთვის თუ არ შეიძლებოდა, მაგათვის შეიძლება?!“ – ამბობს კალატოზიშვილი.

ჩვენ ათეულობით მოქალაქის მიერ მერიაში წარდგენილი დოკუმენტაცია და მერიის პასუხები შევისწავლეთ. მოქალაქეებს, ძირითადად, შაბლონური, თითქმის იდენტური ტექსტებით ეუბნებიან უარს. ამის პარალელურად კი, მსხვილ კომპანიებზე ათეულობით ნებართვას გასცემენ.

2010 წლის შემოდგომიდან დედაქალაქში ჯიხურების რამდენიმე ქსელი გაჩნდა.

„ნუგეში“, „კოლხი“, „2 წუთი“, „ლატარიის კომპანია“, „აუთ-დორ-ჯი“, „უაიდ დისტრიბუშენი“, „მაგი სტილი მედია“, „ით ენ გოუ“... ეს იმ ფირმების არასრული ჩამონათვალია, რომლებსაც მერიამ ნებართვები მისცა. ის, რაც აკრძალული იყო რიგითი მოქალაქისთვის, მსხვილი კომპანიებისთვის ადვილად ხელმისაწვდომი გახდა.

რას ამბობს კანონი

ჯიხურების მომრავლების პარალელურად, გართულდა ლიცენზიის მიღებაც.

თბილისის მერია ჯიხურებზე ნებართვის გაცემისას 2 დოკუმენტით ხელმძღვანელობს – პირველი საქართველოს მთავრობის დადგენილებაა, რომელიც 2009 წლის 24 მარტს გამოვიდა, ამ დადგენილებით ქალაქში შესაძლებელია 2,5 მ სიმაღლის და 6 კვ.მ ფართის ჯიხურის განთავსება.

მეორე დოკუმენტი თბილისის მთავრობის დადგენილებაა, რომლითაც მერიამ ძველი თბილისი, მტკვრის სანაპიროები, გამზირები, მეტროს ამოსასვლელები წითელ ზონად გამოაცხადა და ჯიხურების დადგმა აკრძალა. აღნიშნული დადგენილება 2010 წლის 23 სექტემბერს გამოიცა. დადგენილების გამოცემამდე რამდენიმე დღით ადრე კი საინტერესო ფაქტი მოხდა: მერიამ ასეულობით ნებართვა გასცა ისეთ ადგილებში, სადაც რამდენიმე დღეში ჯიხურების დადგმა თავადვე აკრძალა.

წუგეში

რამდენიმე თვის წინ ჯიხურების ყველაზე მსხვილ ქსელს, „ნუგეშს“ პირადად ქალაქის მერი უწევდა რეკლამი-

რებას. ერთ-ერთი ჯიხურის გახსნისას უგულავამ მოსახლეობას განუცხადა, რომ „ნუგეის“ ფასებს ყოველდღიურად გააკონტროლებდა.

რის საფუძველზე აპირებდა ქალაქის მერი კერძო ფირმის ფასების გაკონტროლებას, ამის გასარკვევად მერიას წერილობით ვკითხეთ. გვიპასუხეს, რომ შპს „ნუგეითან“ მერიას არანაირი სამართლებრივი ურთიერთობა არ აქვს. ცხადია, რომ ქალაქის მერი პირადი ინიციატივით საუბრობდა „ნუგეზე“ და არა რაიმე კანონიერ შეთანხმებაზე დაყრდნობით.

შპს „ნუგეი“ 2010 წლის 18 ივნისს დაფუძნდა, მისი 100%-ის მფლობელი მსხვილი ბიზნესმენი აკაკი ახვლედიანია. დაფუძნებიდან 2 თვეში მერიამ კომპანიას რამდენიმე ათეული ჯიხურის ჩადგმის ნებართვა უპრობლემოდ მისცა. თუ მოქალაქეებს ერთი ჯიხურის ნებართვისთვის უამრავ დოკუმენტს სთხოვდნენ, „ნუგემა“ ათეულობით ჯიხურის დადგმის ნებართვა ერთი წერილით და ერთი ფოტოთი მიიღო.

დოკუმენტაციის მიხედვით, 57 ჯიხურის დადგმის ნებართვა „ნუგეის“ მერიამ 2010 წლის სექტემბერში, აკრძალვის შემოღებამდე რამდენიმე დღით ადრე მისცა. „ნუგეის“ ჯიხურები აკრძალულ ზონაშიც დგას, მათ შორის წერეთლის, ვაჟა ფშაველასა და მოსკოვის გამზირებზე. ქართულ მედიამ მას პარლამენტარ არჩილ გეგენავას ბიზნესად მოიხსენიებენ, თუმცა ფირმის სადამფუძნებლო დოკუმენტაციით ეს კავშირი არ დასტურდება. „ნუგეის“ ხელისუფლებასთან პირდაპირი კავშირი ვერ დგინდება, თუმცა ეჭვს სახელისუფლებო ლობირებასთან დაკავშირებით ქალაქის მერის დეკლარირებული მხარდაჭერა აჩვენს.

უაიდ დისტრიბუშენი

კომპანია „უაიდ დისტრიბუშენი“ თბილისში არსებული პრესის ჯიხურების უმრავლესობას ფლობს. ფირმა 2008 წლის დეკემბერში დაფუძნდა და რამდენიმე თვეში ბაზრის მონოპოლისტი გახდა. მერიის გადაწყვეტილებით,

თბილისის ცენტრალურ უბნებში პრესა მხოლოდ ამ კომპანიის ჯიხურებში იყიდება. „უაიდ დისტრიბუშენის“ 70%-ს ოფშორში დარეგისტრირებული სააქციო საზოგადოება „ბლექსთაილ მენეჯმენტი“ ფლობს, დარჩენილ 30%-ს – 3 კერძო პირი, მათ შორის ნოდარ ჭარხალაშვილი.

ჭარხალაშვილი კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრის, სოფიო ბრიტანჩუკის მეუღლე და ხელისუფლებასთან დაახლოებული პირია. ის სტუდია „მონიტორის“ მიერ რეგოლუ-

2010 წლის შემოდგომიდან

დედაქალაქში ჯიხურების

რამდენიმე ქსელი გაჩნდა.

„ნუგეი“, „კოლხი“, „2 ნუთი“,

„ლატარიის კომპანია“,

„აუთ-დორ-ჯი“, „უაიდ

დისტრიბუშენი“, „მაგი სტილი

მედია“, „ით ენ გოუ“... ეს

იმ ფირმების არასრული

ჩამონათვალია, რომლებსაც

მერიამ ნებართვები მისცა. ის,

რაც აკრძალული იყო რიგითი

მოქალაქისთვის, მსხვილი

კომპანიებისთვის ადვილად

ხელმისაწვდომი გახდა.

ციის შემდეგ მედიის გადანაწილების შესახებ მომზადებულ ფილმში მოხვდა. ჭარხალაშვილი მონაწილეობა მიიღო სტუდია „ობიექტივის“ კუთვნილი სატელევიზიო სიხშირის ჩამორთმევასა და სახელმწიფოსთვის გადაცემაში.

რაც შეეხება 70%-იანი წილის ოფშორში რეგისტრირებულ მფლობელს, კომპანია „ბლექსთაილ მენეჯმენტის“ ოფიციალური და სრულუფლებიანი წარმომადგენელი 1987 წელს დაბადე-

ბული დიმიტრი ჩიქოვანია. ის ყოფილი თავდაცვის მინისტრის, დავით კეზერაშვილის ცოლისძმაა, ამიტომაც ამ ბიზნესს კეზერაშვილის სახელს უკავშირებენ.

როგორც ზემოთ ვთქვით, 2010 წლის 23 სექტემბერს თბილისის მერიამ ჯიხურების დადგმა თბილისის გარკვეულ მონაკვეთებში აკრძალა. აკრძალვამდე ერთი კვირით ადრე, 14 სექტემბერს „უაიდ დისტრიბუშენს“ მერიამ ერთ დღეში 66 ჯიხურის დადგმის ნებართვა მისცა. ჯიხურების ნაწილი იმ ადგილებშიც დაიდგა, სადაც რამდენიმე დღის შემდეგ გამოსულმა დადგენილებამ მათი განთავსება აკრძალა. მათ შორის წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ყაზბეგის და მოსკოვის გამზირებზე, ასევე მეტროსადგურების მიმდებარე ტერიტორიებზე.

2011 წლის 28 აპრილიდან „უაიდ დისტრიბუშენმა“ სახელი შეიცვალა და „ექსპრესი“ ეწოდა. რამდენიმე დღეში „ექსპრესი“ კვების პროდუქტების მწარმოებელ და დისტრიბუტორ კომპანიად დარეგისტრირდა, მის ჯიხურებში პრესასთან ერთად სიგარეტი, სალექი რეზინი და სხვა საქონელიც იყიდება. ამ ფირმას უფლება აქვს, ჯიხურებში ყველაფერი გაყიდოს.

„ექსპრესის“ ჯიხურებმა ბაზარზე თითქმის მთლიანად ჩაანაცვლა პრესის გამავრცელებელი „კვირის პალიტრის“ და „მაცნეს“ ჯიხურები, დედაქალაქში დარჩენილი ამ ფირმების რამდენიმე ათეული ჯიხური ქუჩებში ნებართვის გარეშე დგას და ყოველდღე ელოდებიან, რომ მერია მათ დემონტაჟს განახორციელებს. „კვირის პალიტრამ“ თბილისის მერიას არაერთხელ მიმართა თხოვნით, ან ახალი ნებართვები მიეცათ ან უკვე არსებული ჯიხურები დაეკანონებინათ, თუმცა მერიამ მედია პოლიტიკის ნებართვა არ მისცა. „კვირის პალიტრის“ წარმომადგენლები ამ თემაზე ღიად არ საუბრობენ.

აუთდორ.ჯი

შპს „აუთდორ.ჯი“ სარეკლამო კომპანიაა და თბილისის ქუჩებში, მერიის ნებართვით, 50-მდე ჯიხური აქვს

განთავსებული. კომპანია 2008 წლის ივნისში შეიქმნა, მისი დირექტორიც კეზერაშვილის ცოლისძმა დიმიტრი ჩიქოვანია. „უაიდ დისტრიბუშენის“ მსგავსად, ამ ფირმის 70%-ს „ბლექს-თაილ მენეჯმენტი“ ფლობს. 20%-ს შპს „სამკუთხედი“, 10 %-ს კი შპს „ჯეო-ტეკი“. „ბლექსთაილ მენეჯმენტის“ წარმომადგენელი კეზერაშვილის ცოლისძმა დიმიტრი ჩიქოვანია, „სამკუთხედის“ დამფუძნებელია „რუსთავი 2“-ის დირექტორი გიორგი გეგეშიძე. დირექტორი აქაც დიმიტრი ჩიქოვანია. შპს „ჯეოტეკის“ დამფუძნებელი და დირექტორი კი კახაბერ ნინუაა. ნინუა დავით კეზერაშვილთან დაახლოებული პირი და გიგა ბოკერიას ქვისლია.

საქართველოს ლატარიის კომპანია

კეზერაშვილის სახელს უკავშირდება „ლატარიის კომპანია“, რომელსაც მერიის მონაცემებით, 17 ჯიხურის ნებართვა აქვს.

„ლატარიის კომპანიამ“ ჯიხურების განთავსების უფლება მერიის მიერ აკრძალვის დაწესებიდან 5 დღეში მიიღო, მათ შორის ისეთ ადგილებში, სადაც რამდენიმე დღით ადრე ჯიხურების დადგმა აკრძალა. მოგვიანებით ქალაქის მერიამ ამკრძალავ დოკუმენტში ცვლილება შეიტანა, რომლის თანახმადაც, ლატარიის ჯიხურების განთავსებაზე არანაირი აკრძალვა აღარ ვრცელდება. იურისტი მიიჩნევს, რომ მერია კონკრეტულ კომპანიას ლობირებს. „თბილისის მერიამ ამ დადგენილების საფუძველზე, მოხსნა ყოველგვარი შეზღუდვა ლატარიის სავაჭრო ობიექტებზე. შესაბამისად, „ლატარიის კომპანიას“, რომელიც ლატარიას ექსკლუზიურად ათამაშებს, ჯიხურების განთავსებაზე ყოველგვარი შეზღუდვა მოეხსნა. მას ჯიხურის განთავსება ისეთ ადგილებში შეუძლია, სადაც სხვებისთვის აკრძალულია. ის უპირატეს მდგომარეობაში ჩააყენა ქალაქის მერიამ“, – აცხადებს „საიას“ იურისტი სულხან სალაძე.

შპს „ლატარიის კომპანია“ 2009 წელს დაფუძნდა და მის საკონტროლო



ფოტო: თეონო კახიანი

2009-2011 წლებში მოთხოვნილი ნებართვების რაოდენობა	1515
გაცემული ნებართვების რაოდენობა	735 (49%)
გაცემული ნებართვების რაოდენობა კომპანიების მიხედვით:	
„უაიდ დისტრიბუშენი“	185
„ნუგეში“	85
„აუთდორ.ჯი“	50
„მაგი სტილი მედია“	50
„საქართველოს ლატარიის კომპანია“	17
„2 წუთი“	15
„ჯორჯიან მენეჯმენტ გრუპი“	11
სულ	413 (გაცემული ნებართვების საერთო რაოდენობის 56%)

პაკეტს ოფშორული ფირმა „ლექსორ კაპიტალ კორპი“ ფლობდა. საქართველოში ამ ფირმის სრულუფლებიანი წარმომადგენელიც კეზერაშვილის ცოლისძმა დიმიტრი ჩიქოვანია. ჩიქოვანის გადაწყვეტილებით, შეიქმნა

„ლატარიის კომპანიის“ 5-კაციანი სამეთვალყურეო საბჭო. საბჭოს ერთ-ერთ წევრად კახა დამენია დაინიშნა, რომელიც 2005-08 წლებში ეკონომიკის მინისტრის მოადგილედ მუშაობდა, მისი ძმა ლაშა დამენია პარლამენტა-

რია და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრია. 2011 წლის 9 აგვისტოს ოფშორულმა კომპანიამ „ლატარიის კომპანიის“ 70%-იანი წილი სახელმწიფოს უსასყიდლოდ და უპირობოდ აჩუქა. ნაჩუქარი წილი ეკონომიკის სამინისტრომ 5-წლიანი მართვის უფლებით „საქართველოს ფოსტას“ გადასცა. დღეს ლატარიას „საქართველოს ფოსტა“ ათამაშებს, რომელიც სახელმწიფო კომპანიაა.

ქალაქში ათეულობით ჯიხურში იყიდება ლატარიის ბილეთები, ყველა ეს ჯიხური კეზერაშვილთან დაკავშირებულ ფირმებს „აუთ-დორ-ჯის“, „უაიდ დისტრიბუშენს“ და „ლატარიის კომპანიას“ ეკუთვნის.

მაგი სტილი მედია

50-მდე ნებართვა აქვს მიღებული კომპანია „მაგი სტილი მედია“, მისი ჯიხურებიც „ლატარიის კომპანიის“ ჯიხურების იდენტურია. „მაგი სტილი მედია“ 1996 წელს დაფუძნებული კომპანიაა, დღეს მისი წილის 49%-ს „რუსთავი 2“-ის დირექტორი გიორგი გეგეშიძე ფლობს, 35%-ს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ჩიქოვანი, დარჩენილი 16% შპს „მაგი სტილის“ საკუთრებაა. „მაგი სტილის“ საკონტროლო პაკეტსაც ირაკლი ჩიქოვანი და გიორგი გეგეშიძე ფლობენ.

2 წუთი

შპს „2 წუთი“ თბილისში 15-მდე სწრაფი კვების ობიექტს ფლობს, ფირმა 2009 წლის თებერვალში შეიქმნა და 2 თვეში მერიისგან ჯიხურების დადგმის ნებართვა მოიპოვა. „2 წუთის“ დამფუძნებლები არიან გიორგი რურუა, ზაალ ჩაჩავა და შპს „ჰოლდინგ-ჯი“. გიორგი რურუა კულტურის მინისტრის, ნიკა რურუას ძმაა. „ჰოლდინგ-ჯის“ 100%-ს ანდრო გეგენავა ფლობს, პარლამენტის ნაციონალური დეპუტატის, არჩილ გეგენავას ძმა. „2 წუთის“ ჯიხურები, ძირითადად, მეტროსადგურებთან და სასწავლო დაწესებულებებთან გვხვდება, ერთი ჯიხური საქალაქო სასამართლოს ეზოშიცაა განთავსებული.

კოლხი

თბილისში „კოლხის“ ათამდე ჯიხური დგას, სადაც პური იყიდება. „კოლხიც“ გეგენავებთან დაკავშირებული კომპანიაა, ანდრო გეგენავა კომპანიის ამჟამინდელი დამფუძნებლების პარტნიორი იყო სხვა ფირმაში. დოკუმენტაციის მიხედვით, შპს „კოლხი“-ს ჯიხურების დადგმის ნებართვა მერიამ მეტროსადგურების მიმდებარე ტერიტორიაზე მისცა, კომპანიას რამდენიმე ნებართვა 2010 წლის დეკემბერში აქვს მიღებული, ამ დროს მეტროსადგურების მიმდებარედ ჯიხურების დადგმა უკვე აკრძალული იყო.

რატომ არიან

პრივილეგირებული კომპანიები,

რომლებსაც ათეულობით

ჯიხური აქვთ და რატომ

არის გართულებული რიგითი

მოქალაქეებისთვის იმავე

ნებართვის მიღება? რატომ

აძლევენ ჯიხურის დადგმის

ნებას ხელისუფლებასთან

დაკავშირებულ კომპანიებს

კანონით აკრძალულ

ტერიტორიებზე? ამ და სხვა

კითხვებზე პასუხების მიღება

მერიის წარმომადგენლისგან

ვცადეთ, თუმცა უშედეგოდ.

ით უნ გოუ

მერიამ თბილისში 11 ჯიხურის დადგმის ნებართვა მისცა „ჯორჯიან მენეჯმენტ გრუპს“. კომპანია 2010 წლის 7 აპრილს დაფუძნდა და ჯიხურების დადგმის ნებართვა დაფუძნებიდან 4 თვეში მიიღო, 26 ოქტომბერს კომპანიას სახელი შეეცვალა და „ით ენ

გოუ“ ეწოდა, ფირმის დამფუძნებლების სია ასე გამოიყურება: გიორგი კინწურაშვილი, გიორგი სანაძე, ირაკლი შიხიაშვილი, მიხეილ ქავთარაძე. ამათგან შიხიაშვილი და ქავთარაძე საკრებულოს წევრები არიან. საკრებულოს ნაციონალური დეპუტატები, აღნიშნული ფირმის 32%-იანი წილის მფლობელები 32 ლარის გადახდის შემდეგ გახდნენ.

შერჩევითი საგარეო

ფავორიტი ფირმების სასარგებლოდ მერია მის მიერვე შემოღებულ წესებს ხშირად არღვევს, რის გამოც თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსი არის ბოჭოიძე, თინა ხიდაშელის მოთხოვნით, საკრებულოში დაიბარეს. შეხვედრა მედიისთვის დახურული იყო, თუმცა თინა ხიდაშელმა ჩვენ ამ შეხვედრის აუდიო ჩანაწერი მოგვანოდა.

აუდიო ჩანაწერის მიხედვით, არის ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს ის კრიტიკურიუმები ჩამოუთვალა, რომლითაც ნებართვის გაცემისას ხელმძღვანელობს. ჩანაწერის მიხედვით, ბოჭოიძემ განაცხადა, რომ 2010 წლის სექტემბრიდან ძველ თბილისში ჯიხურების დადგმა აკრძალულია. ასევე აკრძალულია მეტროს ამოსასვლელებთან და გამზირებზე განთავსება. ბოჭოიძის თქმით, შეზღუდულია ტროტუარებზე ჯიხურის დადგმაც.

ყველა ამ პირობას მოქალაქეებისთვის არქიტექტურის სამსახურის მიერ მინერალ უარის წერილებშიც აღმოაჩინეთ, თუმცა ნიშანდობლივია ის, რომ ეს აკრძალვები პრივილეგირებულ ფირმებზე არ ვრცელდება. მაგალითად, „ლატარიის კომპანიის“ ჯიხური აკრძალულ ზონაში, რუსთაველის მეტროსთან აკრძალვის შემდეგ დაიდგა. ეს არქიტექტურის სამსახურის მიერ მონოდეპუტი მონაცემებითაც დასტურდება.

ლატარიის ჯიხური დარღვევით დგას ე.წ. დეზერტირების ბაზრის მიმდებარე ტროტუარზეც. იქ მოქალაქეების თავისუფლად გადაადგილება შეზღუდულია. არქიტექტურის სამსახურის ხელმძღვანელი ამბობს, რომ ჯიხურის

განთავსების შემდეგ ტროტუარზე მინიმუმ 1,8 მეტრი უნდა დარჩეს თავისუფალი. ზემოთ ნახსენებ ადგილას თავისუფალი მანძილი ბევრად ნაკლებია. თბილისში ასეთ სურათს ბევრგან შეხვდებით.

არქიტექტურის სამსახური მოქალაქეებს უარს ხშირად იმ მოტივით ეუბნება, რომ მათთვის სასურველ ადგილას უკვე არსებობს ჯიხური და კიდევ ერთი ჯიხურის დამატება რიგს გამოიწვევს, არის ბოჭოიძე აუდიო ჩანაწერში რიგს ასე განმარტავს:

„უარს ვეუბნებით იმ მოტივით, რომ რიგი არ უნდა წარმოიშვას, 50 მეტრიან რადიუსში არ უნდა იყოს ჯიხური. ასეთ შემთხვევაში, მაქსიმალურად ვცდილობთ არ გავცეთ ნებართვა“.

ჩვენ გადავიღეთ ადგილები, სადაც პრივილეგიებული ფირმების ჯიხურებს შორის მანძილი 50 მეტრზე ბევრად ნაკლებია, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია, ნებართვა მიეღოთ.

ტროტუარის შევიწროების და ჯიხურების რიგის გაჩენის გარდა, მერია მოქალაქეებს უარს ჯიხურების გაბარიტების გამოც ეუბნება. არქიტექტურის სამსახური მოქალაქეებს წერს, რომ დასაშვებია 2,5 მეტრამდე სიმაღლის და 6 კვ.მ. ფართობის მოცულობის ჯიხურის განთავსება.

თუმცა ჩვენ ექსპერიმენტი ჩავატარეთ და თბილისის ქუჩებში განთავსებული ჯიხურები გაეზომეთ, აღმოჩნდა, რომ ლატარიის კომპანიის ჯიხურების სიმაღლე ორნახევარ მეტრს ბევრად აღემატება, იურისტი მიიჩნევს რომ ამის კონტროლი ზედამხედველობის სამსახურს ევალება და ასეთი ჯიხურების დემონტაჟი უნდა განხორციელდეს. „ზედამხედველობის სამსახურს უფლება აქვს, განხორციელოს ასეთი ობიექტების დემონტაჟი, ვინაიდან ისინი კანონის დარღვევითაა განთავსებული“, – აცხადებს სულხან სალაძე.

უარის თქმის კიდევ ერთი მიზეზი ჯიხურის იერსახეა. მერია მოქალაქეებს სწერს, რომ მათ მიერ წარმოდგენილი ჯიხურის მაკეტი იმ კონკრეტული ადგილის განაშენიანებაში არ ეწერება. აქ საინტერესოა ერთი რამ: „ნუგეშის“,

„ლატარიის კომპანიის“, „2 წუთის“, „კოლხის“ ჯიხურები ერთნაირი დიზაინისაა, როგორც თბილისის ისტორიულ ნაწილში, ასევე გარეუბნებში. როგორ შეესაბამება ის დედაქალაქის ყველა რაიონის მიკრო არქიტექტურულ გარემოს?

ჯიხურების დემონტაჟი დახარჯული მილიონები

თბილისის მერიამ, ერთი მხრივ, ასეულობით ჯიხურის განთავსების ნებართვა გასცა, მეორე მხრივ კი, უსახური ნაგებობების, მათ შორის ჯიხურების დემონტაჟზე ბოლო 3 წელიწადში მილიონ ლარზე მეტი დახარჯა. ძველი ჯიხურების მეპატრონეები პირად საუბრებში ამბობენ, რომ ძველის ნაცვლად იმავე ადგილას ან მიმდებარედ ახალი ჯიხურები ჩნდება.

დღეს ათეულობით მოვაჭრე მისი ჯიხურის ალების შიშის ქვეშ ცხოვრობს, შიში ორმაგდება, თუ გვერდით ახალი ჯიხური გამოჩნდა. ჩვენ გადავიღეთ თემქაზე განთავსებული ძველი ჯიხურები, რომლებიც უნებართვოა და დემონტაჟის მოლოდინშია. „ამ თვეში თუ არა, იმ თვეში აიღებენ. რატომ, იცით? სულ ყველგან აღებულია, მართო ეს ნაწილია ასაღები. ერთბაშად იმიტომ არ ავიღეთ, რომ ხალხი არ აბუნტებულებოდა, ასე გვითხრეს. მაგ შიშში ვარ, 2 წელია. გეფიცებით შეილებს და შეილიშვილებს, მე თუ გუშინ 3 ლარის მეტი დამრჩენოდა, მოდი და იცხოვრე 3 ლარად. ალბათ მალე ამა-საც დაგკარგავთ. ჩვენ გვერდით უკვე გახსნეს ნუგეშის ჯიხური“, – გვითხრა ერთ-ერთი ჯიხურის მეპატრონემ.

ახალი ჯიხურების მიერ დაზარალებულთა შორისაა ნინო რუხაძე. რომელიც 10 წელი სანჯონაში, მე-8 სააგადმყოფოსთან პროდუქტს ყიდდა. 2010 წელს საგადასახადოს მოთხოვნით ჯიხური დაკეტა, 2-თვიანი უმუშევრობის შემდეგ დროებით გაახსნევინეს და მხოლოდ მეორადი ტანსაცმლის გაყიდვის უფლება მისცეს. მის სიახლოვეს პროდუქტს დღეს „ნუგეშის“ ჯიხური ყიდის.

„ჩვენი დახურვის შემდეგ, აგერ, მოპირდაპირე მხარეს გაიხსნა „ნუგეში“,


ძალიან კარგად მუშაობენ. მალე მეორე ჯიხურიც ჩაიდგა. ისიც ჩვენ რომ აგვიკრძალებს, ზუსტად მაშინ ჩაიდგა. იმან თუ აიღო ნებართვა, მაშინ მეც მომეცით. თქვენ სტანდარტს არ შეეფერებოთ, ასეთი იყო პასუხი.“ – აცხადებს ნინო რუხაძე.

რატომ ღუმს მერია

რატომ არიან პრივილეგიებული კომპანიები, რომლებსაც ათეულობით ჯიხური აქვთ და რატომ არის გართულებული რიგითი მოქალაქეებისთვის იმავე ნებართვის მიღება? რატომ აძლევენ ჯიხურის დადგმის ნებას ხელისუფლებასთან დაკავშირებულ კომპანიებს კანონით აკრძალულ ტერიტორიებზე? ამ და სხვა კითხვებზე პასუხების მიღება მერიის წარმომადგენლისგან ვცადეთ, თუმცა უშედეგოდ. სატელეფონო საუბრებში დაპირებების მიუხედავად, არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენლის კომენტარის მიღება ვერ შევძელით.

პრივილეგიებული ფირმების სტატისტიკა

თბილისის მერიის მიერ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისთვის“ მიწოდებული მონაცემების მიხედვით, 2009 – 2011 წლებში მერიას სულ 1515 ჯიხურის ნებართვა სთხოვეს. აქედან მერიამ ნებართვა 735 ჯიხურზე გასცა. ნებართვების უმრავლესობა ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილ პრივილეგიებულ კომპანიებზე მოდის. 14 ივლისის მდგომარეობით, დედაქალაქში გაცემული ნებართვებიდან „უაიდ დისტრიბუშენს“ 185 ეკუთვნის, „ნუგეშს“ – 85, „აუთდორ.ჯის“ – 50, „მაგი სტილი მედიას“ – 50; „საქართველოს ლატარიის კომპანიას“ – 17, შპს „2 წუთს“ – 15, „ჯორჯიან მენჯემენტ გრუპს“ კი 11 ნებართვა აქვს მიღებული.

მერიის მონაცემებით, ამ კომპანიების ჯიხურების უმრავლესობა თბილისის ცენტრალურ ადგილებშია განთავსებული. მაშინ, როცა რიგითი მოქალაქეებისთვის გარეუბანში ერთი ჯიხურის დადგმის უფლებაც ძნელად მოსაპოვებელია. 



ფოტორეპორტაჟი

"ძვანი დავნიდაბი" ძვანი პობლეაბით

ნოდარ ცხვირაშვილი







თბილისის ზღვის მახლობლად, ნახევრად დანგრეულ და მიტოვებულ შენობებში აფხაზეთიდან დევნილები 1993 წლიდან ცხოვრობენ.


ამ შენობებში მათ დღემდე არ აქვთ ბუნებრივი აირი და ელემენტარული საცხოვრებელი პირობები. გაუმართავია საკანალიზაციო მიწებიც.

გარდა საყოფაცხოვრებო პრობლემებისა, დევნილებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული საკითხი დასაქმებაა.





იმ ოჯახების უმრავლესობას, რომელთაც მუდმივი სამუშაო არ გააჩნია, რამდენიმე კვადრატულ მეტრზე ბოსტანი და ხეხილი აქვს გაშენებული. სწორედ ეს არის მათი კვების მთავარი წყარო.

ზამთრის მოახლოებასთან ერთად, დევნილების კიდევ ერთი საზრუნავი გათბობა ხდება. აქ ყველა, დიდი თუ პატარა, შეშას ან ხის ნაფოტს, ფიცრებსა და ტოტებს შინ ეზიდება. დევნილები ზამთრის მოახლოებას შიშით ელიან. 





ვისი მავთული ვის სახელში?



კაბა თოლორდავა
ჟურნალისტი

ამასწინათ თბილისის ერთ-ერთ სადარბაზოში, ბოლო სართულიდან ფეხით დაბლა რომ ჩავდიოდი, მეზობლების ჩხუბს შევესწარი. რადგანაც შენობაში ლიფტი არ მუშაობდა, მოჩუბრების და გამშვებლებების სართულზე გავეჩხირე. მეზობლების ერთი ჯგუფი იმ კონკრეტული სადარბაზოს უმახინჯეს გარეგნულ იერს აპროტესტებდა და სადარბაზოში გამოტანილი, დახლართული ელექტროგაყვანილობის მავთულების მიმართულებით იშვერდა თითს. იმდღევანდელმა თბილისურმა განევ-გამონევამ კიდევ ერთხელ შემახსენა, რომ თბილისზე თუ წერ, შეუძლებელია აქაური სადარბაზოების იერზე არაფერი თქვა. ეს კიდევ ერთი „უმნიშვნელო“ თემაა, რის გამოც „მნიშვნელოვანი“ თემების მოყვარულები შეიძლება გამინანყენდნენ, თუმცა მათ და დანარჩენებსაც შევასხენებ, რომ „ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერების“ ძირითადი ინტერესი ქალაქში მომხდარის კომენტირება კი არა, თვითონ თბილისი და მასთან ჩვენი, მოქალაქეების, მიმართებაა. ერთ დღეს, როდესაც „ჩანაწერები“ შეწყდება, „ლიბერალის“ მკითხველს თბილისის კონკრეტული პერიოდის კოლაჟური, ალბათ ოდნავ კუბისტური „პორტრეტი“ უნდა დარჩეს. აჩქარებული ტექსტით დახატული პორტრეტი. სწორედ ასე ჩავიფიქრეთ ჩვენ ეს რუბრიკა.

მამ ასე, თბილისური სადარბაზოები. ქალაქის ქუჩებში სეირნობისას არავის დარჩება შეუმჩნეველი ის, რომ გასული საუკუნის სამოციანი, სამოცდაათიანი თუ ოთხმოციანი ათწლეულები ჯერ კიდევ ჩვენთანაა, – არქიტექტურაში, დაგეგმარებაში, ზოგად ურბანულ იერში. ამ თვალსაზრისით, თბილისური სადარბაზოების უმრავლესობა ოთხმოცდაათიანებში, ენერგოკრიზისის ეპოქაშია გაჩხერილი და ძალიან, ძალიან უსიამოვნო სანახაობას წარმოადგენს. ცოცხალი და მკვდარი მავთულების გარეთ გამოყრილი, კანდინსკურ-პოლოკისეული ქაოტური სუ-

რათი ყველა ჩვენგანისათვის ნაცნობი უნდა იყოს, თუმცა „თელასის“ ოპერატორებთან საუბრისას დავრწმუნდი, რომ ამ შემთხვევაში შეიძლება ვცდები კიდევ, რადგანაც მათ არაფერი იცოდნენ ასეთი სადარბაზოების შესახებ. „ჩვენი სამსახური არავითარ გამოყრილ მავთულებს არ ტოვებს!“ – ამისწინეს მათ და ეს ალბათ ასეცაა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ყველაფერი ეს არც მერიის შესაბამის სამსახურებს ეხება და სა-



ბოლოო ჯამში, არც გამგეობებს. „თალიკო, სადარბაზოებში ელექტროგაყვანილობის მავთულების მონესრიგება ჩვენ გვევალება, თუ...?“ — შეეკითხა ერთი ოპერატორი მეორეს ჩემთან საუბრისას და მერე, – „არა, ბატონო, ეს ჩვენი საქმე არაა; ჩვენ სადარბაზოების რემონტის თანადაფინანსებაში ვუნყობთ ხელს მოქალაქეებს, მაგრამ ელექტროგაყვანილობის მავთულები ჩვენ არ გვყვება!“ ოდნავ გაუგებარია, არა?

საბოლოო ჯამში კი, ყველაფერი უფრო მარტივი აღმოჩნდა, ვიდრე მეგონა, – ეს პრობლემა თვითონ მოსახლეობამ უნდა გადაწყვიტოს, რაც გარკვეული თვალსაზრისით ლოგიკურიცაა, თუმცა ძირითადი გაუ-

გებრობაც აქედან იწყება. არა, „გაუგებრობა“ არცთუ სწორი სიტყვაა, უფრო სწორი იქნება თუ ასე ვიტყვი – ჩვეული გულგრილობა, რადგანაც როგორც ეს თბილისელებს გეჩვევია, ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც საკუთარი საცხოვრებელი სივრცის მიღმა არსებული საზოგადო სივრცის უგულვებლყოფასთან გვაქვს საქმე. თბილისელების დიდ ნაწილს, ძალიან დიდ ნაწილს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ფეხებზე ჰკიდიათ იმ სახლების სადარბაზოების გარეგნული იერი, სადაც ისინი ცხოვრობენ, მაგრამ რომ მოხდეს ისე, და მეზობლების რაღაც ნაწილმა ამ სადარბაზოების შელამაზების იდეა შესთავაზოს დანარჩენებს, ყველა ეს ადამიანი ისეთ გაუგებრობაში ამოყოფს თავს, რომ „რწყილი და ჭიანჭველა“ მონაგონი იქნება. ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ თბილისელებმა ამ განზრახვაზე საერთოდ ხელი უნდა აიღონ. პირიქით, „ახტა-დახტა“ დღეს ისე ჭრის, როგორც არასდროს, მაგრამ „ახტომა-დახტომა“ ძალისხმევას გულისხმობს, ძალისხმევა ენერგიის ხარჯვას, ენერგიის ხარჯვა ერთი ადგილის აწევის სურვილს და ეს უკანასკნელი კი გულგრილობის არქონას, პლუს შესაბამისი სამსახურების სურვილს, დაეხმაროს პრობლემების გადაჭრაში საკუთარ მოსახლეობას, გარკვეულ ხარჯებს და საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთისათვის მხრის შეგდებას. როგორც ხედავთ, არცთუ ურიგო სადღეგრძელო გამომივიდა, სადღეგრძელოები კი ქალაქის სადარბაზოების გარეგნული იერის შეცვლას არ გულისხმობს, უფრო სწორად, იდეაში გულისხმობს, სინამდვილეში კი არა. რა გვრჩება? ჩვეულებრივი ქართული მოჯადოებელი წრე, უაღრესად შეუხედავი სადარბაზოები და პერიოდულად მოვარდნილი აზრი, რომ ქალაქის პორტრეტი ყოველთვის თითოეული ჩვენგანის პორტრეტიცაა. ■



თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი
გორი, ქარელი, საშურნი
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია
ურეკი, ქობულეთი, ბათუმი
ფოთი, სენაკი, ზუგდიდი

FM 105.5

FM 103.0

FM 104.5

FM 101.0

FM 101.9



WWW.LIBERALI.GE

